ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 17 აგვისტო 1999 №155 (928) | ფასი 50 თეთრი


11

## ფრთხილად, მაღალი ძაბვაა!



ხრისტო სტოიჩკოვს დენმა დაარტყა და კინაღამ მოკლა

11

## რაიკაარდი უპირო კაცია



„რეინჯერსის“ ჰოლანდიელი თავდამსხმელი მიხაელ მოლსი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელს შემოსწყრა

13

## ეგრეა, ცხოვრება კიბეა



სერენა უილიამს—ჟული ალარის მოულოდნელმა ფინალმა კარტები არია

14

## ჰაკინენი ირვინს წამოეწია



## 1 ტური

«ა» ზონა

14 აგვისტო, შაბათი

| | |
|---|---|
| სიონი | 2 |
| თბილისი | 2 |
| სამგურალი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |

15 აგვისტო, კვირა

| | |
|---|---|
| ბათუმი | 1 |
| დინამო | 0 |

16 აგვისტო, ორშაბათი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 2 |
| არსენალი | 2 |

«ბ» ზონა

14 აგვისტო, შაბათი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 2 |
| ხობი | 3 |
| იბერია | 1 |
| მერანი | 1 |

15 აგვისტო, კვირა

| | |
|---|---|
| დილა | 1 |
| თსუ | 1 |

16 აგვისტო, ორშაბათი

| | |
|---|---|
| გორდა | 0 |
| ტორპედო | 2 |

# უზოსკამპო დინამოს კარნევალეს ბათუმმა მოუგო

ჩემპიონატი ოთხი ფრით, სტუმრების სამი გამარჯვებითა და ჩემპიონთა სენსაციური მარცხით დაიწყო



გუშინ ეროვნულზე: „ლოკომოტივი“ — „არსენალი“ 2:2.
არმიელთა მეკარე თემურ ჩლაიძემ კახი გოგიჩაიშვილს ბურთი ფეხიდან აართვა

# სარბიელმა დაგვასწრო, მწვრთნელი კორღალიძეა

## ამბობს რომან შოთაძე

საქართველოს ჩემპიონის — თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა რომან შოთაძემ გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა იოჰან ბოსკამპის მემკვიდრე — „დინამოს“ მწვრთნელად 38 წლის ოთარ კორღალიძე დაინიშნა.

არადა, თუ გახსოვთ, ეს ამბავი გასულ კვირაშიც გაუწყეთ, თუმცა მეორე დღესვე ინფორმაციის უარყოფა მოგვიხდა, რომან შოთაძემ მაშინ თქვა, „დინამოს“ დირექტორატს მსგავსი არაფერი გადაუწყვეტია, ახალ მწვრთნელს ორშაბათს ან სამშაბათს დავნიშნავთო.

ორშაბათიც დადგა, „დინამომ“ პრესკონფერენციაზე მიგვიწვია, რომან შოთაძემ კი გვითხრა:

— ამ დილით თბილისის „დინამოს“ დირექტორატი შეიკრიბა, ბევრი ვიმსჯელეთ, ვიფიქრეთ და საბოლოოდ გადავწყვიტეთ, გუნდი ოთარ კორღალიძისთვის ჩაგვებარებინა. ბოლოს ის თბილისის „არსენალს“ წვრთნიდა, ახალი სეზონი კი „თბილისთან“ ერთად უნდა დაეწყო, მაგრამ სხვაგვარად მოხდა, დღეს უკვე „დინამოს“ მწვრთნელია.

მასზე დიდი ხანია, თვალი გვეჭირა. ჩაფიქრებული გვქონდა, „დინამოში“ მოგვეწვია. ყველაფერი დროის ამბავი იყო და აგერ, ეს დროც დადგა. ბოსკამპის განთავისუფლების შემდეგ გუნდის მწვრთნელად კორღალიძე დავნიშნეთ. ისე, ოთარის ჩვენთან მუშაობა რამდენიმე დღის წინაც ფაქტობრივად გადაწყვეტილი გახლდათ, „სარბიელმა“ დაგვასწრო კიდეც, მაგრამ ყველაფერს ბეჭედი დღეს დაესვა.

მიმაჩნია, რომ კორღალიძე უკვე გამოცდილი მწვრთნელია, ბოსკამპისგანაც ისწავლა, იყო კოვერჩანოს მწვრთნელთა სკოლაში, უახლოეს მომავალშიც დავეხმარებით უცხოეთში ცოდნის გასაღრმავებლად გამგზავრებაში. კორღალიძის გარდა სხვა კანდიდატურა არც განხილულა. ის ერთადერთი იყო, ერთად იქამდე ვიქნებით, სანამ „დინამო“ ჩვენთვის სასურველ შედეგებს არ მიაღწევს. მის საქმეში არავინ ჩაერევა, თანაშემწე კი ისევ ძველი ეყოლება — გია გეგუჩაძე. ჩვენი მიზანი კვლავაც საქართველოს ჩემპიონობა და თასის მოპოვებაა, თუმცა კატასტროფა არ იქნება, თუ ვერც ერთს მივაღწევთ და ვერც მეორეს. ფეხბურთია, ვინ იცის, რა მოხდება.

რაც შეეხება იოჰან ბოსკამპის მოწვევას, გვსურდა, გუნდის მწვრთნელად უცხოელი მოგვესინჯა. მან ბევრი კარგი საქმე გააკეთა და არც ჩვენ ვუკარგავთ, თუმცა „ზიმბრუსთან“ წაგების შემდეგ იძულებულნი გავხდით, გაგვეთავისუფლებინა, თანაც კონტრაქტშიც ასე ეწერა. ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევაში ბოსკამპიც დარწმუნებული გახლდათ და კონტრაქტის პირველივე პუნქტში ასეთი რამ თავად, ძალად ჩაგვაწერინა. იყო მეორე პუნქტიც, რომლის თანახმადაც ბოსკამპს „დინამო“ უნდა დაეტოვებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში რეალური იქნებოდა „დინამოს“ გაყიდვა, თანაც უცხოელებზე. ამას კი ჩვენ არ დავუშვებდით. კონტრაქტის რამდენიმე პუნქტი წმინდად ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარეობდა...

პრესკონფერენცია დიდხანს აღარ გაგრძელებულა, „დინამოს“ ახალ მწვრთნელთან ინტერვიუ კი მეხუთე გვერდზე იხილეთ.

**ძოზა ინასარიძე**



რომან შოთაძემ ჟურნალისტებს „დინამოს“ ახალი მწვრთნელი წარუდგინა

საქართველოს 11 ჩემპიონატი — 1 ტური

# ბრავო, იტალიანო!


ექსბათუმელი სიჭინავა ექსდინამოელ ტუღუშს (№10) ბურთს ეცილება

ელგუჯა ფხაკაძე ბათუმიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა
ფრანკო იანიჩი

ბათუმი
15 აგვისტო
18 საათი
დინამო
5 000 (ტევადობა 20 000)

**ბათუმი 1:0 დინამო**

1:0 კობიძე (65)
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, პაპიძე, მ. მახარაძე, ზ. არჩვაძე, მინდაძე (ა. მუჯირი 52), კობიძე (კანტიძე 65), გელა ქორიძე, მაჭუტაძე, ტულუში, გადელია (რომანაძე 78)
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; თედორაძე, აფხაზავა, სიხარულიძე
**დინამო:** დონდტი, შაშიაშვილი (გ. შენგელია 85), გუჩუა, გ. დიდავა, კობიაშვილი, ი. ვაშაკიძე, ვ. გიგიაძე, ალექსიძე, წიტაიშვილი, აშვეთია (ზირაქიშვილი 60), სიჭინავა
*სათადარიგონი:* ლომაია; ა. სახვაძე, ს. გიგიაძე, პ. ჯინჭარაძე
**გაფრთხილება:** პაპიძე (5), გუჩუა (14), კობიძე (34), არჩვაძე (68)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია; კ. მეხხი (ორივე ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

**იუზა კაციტაძე ბათუმიდან**

ამ თამაშს ინტრიგა ახლდა, უკეთესს ვერც ინატრებდით. ყველაფერს რომ მოვყვეთ, ალბათ, ძალიან შორს წაგვიყვანს. ამიტომ მოკლედ და მთავარზე. „ბათუმი“ თუ „დინამო“? წინა სეზონში ყოველმხრივ ხელმოცარული ზღვისპირელები თუ აგერ, ორიოდ კვირის წინ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ზიმბრუსთან“ საშინლად შერცხვენილი ჩვენი უცვლელი ჩემპიონი? იტალიელი ჯანი კარნევალეს თუ ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპის (დიახ, ბოსკამპის, რადგანაც სულ ერთი კვირაა რაც ჰოლანდიელს „დინამო“ დაატოვებინეს) მიერ გაწვრთნილი ბიჭები? ვინ ვის? აი, მთავარი კითხვა, რომელზეც პასუხი გუშინწინ საღამოს უნდა მიგვეღო. უნდა მიგვეღო და მივიღეთ კიდეც, ოღონდ, მოდით, ყველაფერზე თანმიმდევრობით.

ბათუმში საკადრისად შეეგებნენ მეთერთმეტე ეროვნულს. ჩემპიონატის გახსნის პროცედურა უნაკლოდ შესრულდა. არბიტრმა სათამაშოდ უხმო გუნდებს და აი, პირველი დარტყმა, მეტად ამაღელვებელი. ბურთის თამაშში შეყვანა (თუნდაც სიმბოლური) საპატიო სტუმარს (სტუმარსო?!) ხვდა წილად. აბა, გრიგოლ გაგუას ვინ არ იცნობს. ქართული ფეხბურთის ბერმუხა, ლეგენდარული მოთამაშე და მწვრთნელი. 88 წლის ბერიკაცმა ისე მოხდენილად დაჰკრა ბურთს... ბათუმელებმა უხვად დაასაჩუქრეს ღვაწლმოსილი ვეტერანი.

მერე მატჩიც დაიწყო. ჯერ გუნდების სათამაშო განლაგებაზე მოგახსენებთ. კარნევალემ 3-5-2 არჩია. უკან ორი მახარაძე — ივანე და მალხაზი და პაპიძე, გაძლიერებულ ნახევარდაცვაში — მინდაძე, არჩვაძე, ტულუში, ქორიძე, კობიძე, წინ — მაჭუტაძე და გადელია.

„დინამოს“ დროებითმა თავკაცმა გია გეგუჩაძემ ბოსკამპის სათამაშო სქემას არ უღალატა: ოთხი ხაზზე (დიდავა, ვაშაკიძე, კობიაშვილი, შაშიაშვილი), ხაზელების წინ გუჩუა, ნახევარდაცვაში — შუაში სიჭინავა, ფლანგებზე — მარცხნივ ალექსიძე, მარჯვნივ ვასილ გიგიაძე და შეწყვილებული თავდასხმა — აშვეთია — წიტაიშვილი. რა თქმა უნდა, თამაშის მსვლელობისას, სიტუაციიდან გამომდინარე გადაადგილებებსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ძირითადად გუნდები მაინც თავდაპირველად არჩეული ტაქტიკური სქემით თამაშობდნენ.

რის დაზვერვა, რა დაზვერვა? მეტოქეებმა მაღალ ტემპში შეუტიეს ერთმანეთს. მეხუთე წუთი. მასპინძლები დინამოელთა იერიშისას ხელოვნურ თამაშგარეს ჰქმნიან, მაგრამ უხეიროდ და მარცხნიდან ალექსიძე მიიჭრის საჯარიმოში, დროულადაც ურტყამს, მაგრამ კუთხეა მაზვილი და ტოგონიძე არ აძეირებს თბილისელს. ასე არ უნდაო და რაღაც წამებში დონდტსაც აუფანცქალდება გული. ტულუშის მიერ 30 მეტრიდან ძლიერად დარტყმული ხარიხას წაჰკრავს. ამის შემდეგ თამაშს ოდნავ აკლდება სიმწვავე, გუნდები პოზიციურ ბრძოლაზე (უფრო ცენტრის დასაუფლებლად) გადადიან. მაგრამ ასეთ ვითარებაშიც დროდადრო იქმნება საგოლე მომენტები.

27-ე წუთზე ვასილ გიგიაძე მარცხნიდან კუთხურს აწვდის, ახლო ძელთან ბურთს წიტაიშვილი ხვდება და ზურგშექცევით სამკარეოს შორეულ კუთხისკენ გზავნის. დამუშავებული კომბინაციაა. ვაშაკიძე თაურითვე კარს უმიზნებს, მაგრამ არაზუსტად. შვიდ წუთში თითქმის ანალოგიურ სიტუაციაა, ოღონდ სტუმართა კართან. ტულუშის კუთხურის შემდეგ გადელია ურტყამს თავით კარში, დონდტი იგერიებს ურთულეს ბურთს, გადმოვარდნილს კობიძე ამატებს თორმეტიოდე მეტრიდან, მაგრამ ხარიხას აცილებს. შესვენებამდე მეტოქეები თითოჯერაც დააფრთხობენ ერთმანეთს.

42-ე წუთზე ვაშაკიძის გრძელი გადაცემის შემდეგ ალექსიძეს კარში დარტყმისას ბურთი ოდნავ მოეჭრა, თორემ... ტაიმის წამატებულ დროში ტულუშს ბელგიელ მეკარესთან პირისპირ გაჰყავს მაჭუტაძე, ოღონდ ამას ბურთი ფეხებში ებლანდება და დარტყმას ვერ ახერხებს. ასე მიილია მატჩის პირველი ნახევარი.

თამაშის განახლებიდან დაახლოებით 15 წუთი სტუმრები უფრო სოლიდურად გამოიყურებოდნენ. 52-ე და 56-ე წუთებზე „დინამოს“ დაწინაურებაც შეეძლო. მაგრამ პირველ შემთხვევაში ალექსიძემ ვერ ისარგებლა აშვეთიას კარგი პასით. დინამოელმა კარში კი დაარტყა, მაგრამ ტოგონიძემ აუღო. მეორე ეპიზოდში წიტაიშვილმა ოდნავ შეაყოვნა სიჭინავასგან საჯარიმოს კუთხეში მიღებული ბურთი და კარში ვეღარ დაარტყა, მართალია მერე კომამ კარის ხაზამდე ჩაღწია და გადაცემაც არ გამოუვიდა ურიგო, მაგრამ აქ უკვე პარტნიორებმა აღარ დაუფასეს, მასპინძელთა საჯარიმოში შეტევის დამგვირგვინებელი არავინ გაჩნდა.

ამის მერე იყო... ოჰ, ეს ხაზზე თამაში. ვერ ასწავლა ბოსკამპმა დინამოელებს და ეგ არის. ბათუმელები ცენტრში „დინამოს“ ნახევარზე ფლობდნენ ბურთს და სწორედ აქედან გაუჭრეს ბურთი წინ კობიძეს. დინამოელი მცველები (მანამდე თამაშგარეს „გაკეთება“ რომ დააპირეს) შეცდნენ, არასინქრონულად ამოვიდნენ, მერე კი გამოედევნენ ახალგაზრდა ფეხბურთელს, მაგრამ გვიანღა იყო. კობიძემ ბრძოლით მაინც შეაღწია საჯარიმოში და არცთუ ძლიერად, მაგრამ ზუსტად დაარტყა. „დინამოს“ აქ დონდტმაც ვეღარ უშველა. ბელგიელმა პირველი ქართული გოლი იგემა, კობიძე კი შესაცვლელი შეიქნა, მცველებთან ბრძოლისას კახამ ტრავმა მიიღო. კარნევალე უნდა გენახათ. როგორ უხაროდა! გოლი, რა თქმა უნდა.

მასპინძლებს ორ წუთში მეორეს გატანაც შეეძლოთ. მაჭუტაძემ კობიძის შემცვლელ კანტიძეს გადააწოდა ფლანგზე, ამან კი უმალ „დინამოს“ საჯარიმოში გადაგზავნა. გადელიას ფორტუნამ უმტყუნა, მისი თავური მცირედით ასცდა მიზანს. ეს იყო და, თამაშის დამთავრებამდე დარჩენილი დრო ჩემპიონის უპირატესობით აღინიშნა. „დინამო“ ბევრს უტევდა, ხშირად სახიფათოდაც. 70-ე წუთზე სიჭინავა — ალექსიძე — ზირაქიშვილის კომბინაცია ამ უკანასკნელის თავურით დასრულდა. ზირაქიშვილმა ოდნავ ააცილა ხარიხას. 74-ე წუთზე წიტაიშვილმა გატანის ასპროცენტიანი შანსი გაუშვა ხელიდან. იგი კარიდან ხუთიოდ მეტრში იდგა, დინამოელს ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ სიჩქარეში ჰაერში გაგზავნა. მერე ზირაქიშვილს ერთხელაც მიეცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა, მაგრამ ვერც ამჯერად იხეირა, ასე შვიდი მეტრიდან ააცილა. ორ წუთში კი სერგო კვარაცხელიას საფინალო სასტვენი გაისმა.

ზეიმობდა „ბათუმი“, ზეიმობდა ჯანი კარნევალე. რატომაც არა. იტალიელი მწვრთნელის ქართული დებიუტი სანაქებო გამოდგა, მისმა გუნდმა ათგზის ჩემპიონი დაამარცხა.

ვის არ ნახავდით კარნევალეს მიმლოცველთა შორის. საგანგებოდ „ბათუმი“ — „დინამოზე“ იტალიიდან ჩამოსული ორი კაციც იყო. რობერტო ლანდი ადრეც ყოფილა ჩვენთან. აი „იუვენტუსის“ სელექციონერ-მენეჯერის ფრანკო იანიჩის ბათუმში ხილვა ბევრისთვის მართლა მოულოდნელი იყო და ისე როგორ იქნებოდა, იტალიელ სპეციალისტს მატჩის დამთავრებისთანავე მოკლე ინტერვიუ ჩამოვართვით.

— *სინიორ ფრანკო, რას მივაწეროთ თქვენი ბათუმში სტუმრობა?*

— ჩემი უახლოესი მეგობრის ჯანი კარნევალეს და მისი ქართული გუნდის საქომაგოდ ჩამოვედი.

— *თვად თამაშზე რას იტყვით, მოგეწონათ?*

— მიუხედავად იმისა, რომ ბათუმლები ისეთ ძლიერ გუნდს ეთამაშებოდნენ, როგორიც თბილისის „დინამოა“, მათ ორივე ტაიმში ბურთის გატანის ბევრი შესაძლებლობა ჰქონდათ. მე გამოვყოფდი მეშვიდე ნომერს (კახა კობიძე — ი.კ.). ამ ფეხბურთელმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა და არა მარტო იმიტომ, რომ ბურთი გაიტანა. დანარჩენებმაც ვაჟკაცურად იბრძოლეს.

— *კარგად უმუშავია ჯანი კარნევალეს?*

— კმაყოფილი უნდა ვიყოთ, ჩვენც და თქვენც. ეს ისეთივე შემთხვევაა, ვთქვათ ქართველი მწვრთნელი რომ ჩამოსულიყო იტალიაში სამუშაოდ და ჩვენი ჩემპიონისთვის მოეგო პირველსავე მატჩში. მჯერა, რომ ჩემი მეგობარი საქმეს გააკეთებს, სამუშაო კი, გულახდილად გეტყვით, ძალიან ბევრი აქვს.

— *ამ მატჩში თუ დაინახეთ ისეთები, ვინც, ვთქვათ, იტალიურ გუნდებში შეძლებენ თამაშს?*

— არ არსებობს მარცვალი, რომელიც უგზოუკვლოდ დაიკარგოს. რა თქმა უნდა დავინახე რამდენიმე კარგი ახალგაზრდა, ოღონდ მათთან ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. რაც შეეხება ქართველების იტალიაში თამაშს, ეს უკვე ჩვენებური გუნდების გადასაწყვეტია. თავის დროზე ნემსაძე მე პირადად წავიყვანე იტალიაში. სამწუხაროდ ოპერაციის შემდეგ ნემსაძე ველარ თამაშობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი ცუდი ფეხბურთელია.

# პრიზები ვისღა ახსოვდა

ფოთი
14 აგვისტო
18 საათი
ფაზისი
1 500 (ტევადობა 6 300)

**კოლხეთი 2:3 ხობი**

1:0 ხუჭუა (42), 1:1 ხურცილავა (55), 2:1 ბულუხია (67), 2:2, 2:3 ჩიტაია (88, 90)
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე, ანჯაფარიძე (კედელაშვილი (58), ტრაპაიძე (ქუნთელია 58), მელაძე, ხუჭუა, ბულუხია (კრასოვსკი 85), ღალანიძე, ინიაშვილი
*სათადარიგონი:* ჩემია; ჯღარკავა, ჭოხონელიძე, პაპავა
**ხობი:** ბაბუაძე, ვ. ალანია, ზ. კვეკვესკირი, გედენიძე, ზურაბ აიანადი, კ. ხურცილავა, ლ. გვაზავა (ვ. ჩიტაია 46), თორია (გოგიტაძე 46), მ. ბუკია (დ. დანელია 74), ჭიჭინაძე, ზაზა აიანადი
*სათადარიგონი:* ნიქაბერიძე; ქაშიბაძე, ჯამბურია, ვართაგავა
**გაფრთხილება:** ზურაბ აიანადი (33), ჩიტაია (48), ზაზა აიანადი (61)
**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ის დელეგატი:** მ. იაშვილი

**თენგიზ ძოჩუა ფოთიდან**

აჰა, დაიწყო. 14 აგვისტოს საქართველოში მეთერთმეტე ეროვნულმა ჩემპიონატმა შემოაბიჯა და იმედი ჩაგვისახა, იქნებ ამ ახალ სეზონში მაინც ვიხილოთ ფეხბურთი, რომელსაც მართლა ფეხბურთი ჰქვია.

შაბათს ფოთში ადგილობრივი „კოლხეთი“ სეხნია ხობელებს მასპინძლობდა. ჩემპიონატის გახსნას აქაც ტრადიციულად შეხვდნენ: ერთ ხაზზე გამწკრივებული ფეხბურთელები, მსაჯები, ეროვნული დროშა, ჰიმნი და ლამაზი სანახაობის მოლოდინი.

ფოთელებს რომ ყოველთვის საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი გუნდი ჰყავს, ეს გასულმა სეზონმა დაამტკიცა. ისიც ნათელია, არც წლეულს დათმობენ უბრძოლველად არაფერს. ხობელები კი რა — მათ ნორმალური მოსამზადებელი პერიოდი არც გაუვლიათ და, მასპინძლებისაგან განსხვავებით, ამ სეზონს მოკრძალებული მიზნებით ხვდებიან — მთავარია, პირველ ლიგაში დარჩნენ.

7 წელზე ოდნავ მეტი გავიდა იმ დღიდან, რაც ხობელებმა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში ბოლო მატჩი ჩაატარეს. 1992 წელს მათ მეთოთხმეტე ადგილი დაიკავეს, მაგრამ ატყდა ომი და ხობშიც მიავიწყდათ ფეხბურთი, თუმცა, ეტყობა, დროებით და დიდი ბრძოლის შემდეგ ამ დღემდეც მოვიდნენ.

ახლა თვით მატჩზე. ფოთში საკმაოდ ცხელოდა, მაგრამ ამან სრულებით ვერ შეუშალა გუნდებს ხელი, საინტერესო და ლამაზი ფეხბურთი ეჩვენებინათ. მეტოქეებმა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყეს თამაში და თავიდანვე შეეცადნენ უპირატესობის მოპოვებას. ტაიმის პირველ ნახევარში ხობელები მაინც ნერვიულობდნენ, აშკარად ეტყობოდათ, რომ დებიუტანტები იყვნენ და თამაშის გამწვავებას ერიდებოდნენ. თანდათან ფოთელების უპირატესობა გამოიკვეთა, მაგრამ არა იმდენად, თამაშის ბედი პირველივე ტაიმში გადაეწყვიტათ. აშკარა საგოლე მომენტს ვერც ერთი გუნდი ვერ ქმნიდა. ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ პირველი ნახევარი უგოლოდ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ 42-ე წუთამდე პრაქტიკულად უშეცდომოდ მოთამაშე ხობელები მაინც შეცდნენ. მოედნის ცენტრში ტრაპაიძემ სტუმართა გადაცემა ჩაჭრა და ზუსტი გადაცემით დავით ხუჭუა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მანაც მშვენივრად შეირგო ეს საჩუქარი და გიორგი ბაბუაძე დაამწუხრა — 1:0. პირველი ტაიმიც ასე მორჩა.

ხობელთა მთავარმა მწვრთნელმა ფრიდონ გოცირიძემ შესვენებაზე შეცვლები გააკეთა. ჯერ კიდევ სასურველი ფორმიდან შორს მყოფი ლევან გვაზავას ნაცვლად ვლადიმერ ჩიტაია გამოიყვანა, რომელმაც, როგორც შემდეგ გამოჩნდა, ხობელებს გაუმართლა კიდეც იმედები.

მეორე ტაიმი ხობელებმა სხვაგვარად დაიწყეს — უფრო მრავალფეროვნად, სწრაფად და აქტიურად შეუტიეს და შედეგმაც არ დააყოვნა. 55-ე წუთზე ფოთელ მცველებს ხურცილავა გამოეპარათ და ისიც საჯარიმოში მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა, დროზე დაარტყა და გვასალიას შორეულ დაბალ კუთხეში გაუტანა.

ამის მერე ფოთელებიც გააქტიურდნენ, მაგრამ გოლის გატანას მაინც ვერ ახერხებდნენ. ორჯერ ზაველ ღალანიძემ შეაწუხა სტუმართა მეკარე, როცა შორი მანძილიდან საკმაოდ სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ვერ იხეირა. 67-ე წუთზე კი, ლამაზი, სამსვლიანი კომბინაციის შემდეგ (მელაძე — ტრაპაიძე — ბულუხია) ბულუხია საჯარიმოში კარის სიახლოვეს დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა და მასპინძლებს დაწინაურება არ გასჭირვებიათ.

ფოთელებმა საქმე მომთავრებულად ჩათვალეს და ოდნავ დათმეს პოზიციები, რაც საკმარისი აღმოჩნდა შეხვედრის ბედის შემოტრიალებისთვის, მაშინ, როცა ყველა უკვე მატჩის დამთავრებას ელოდა, ხურცილავა მარცხენა ფლანგზე ორ მეურვეს გასცდა და საჯარიმოში ჩააწოდა. აქ მამუკა გვასალია შეცდა, გამოსვლა დააგვიანა და ჩიტაიამ მეტად ლამაზად, თავურით გვასალიას აუღებლად დაურტყა. ხობელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და სოხუმელ არბიტრ დავით სანაიას თავად მოუწია სტუმართა დამშვიდება, რათა თამაში გაეგრძელებინათ. ხობელები შედეგით კმაყოფილი იყვნენ და მასპინძელთა ბოლო შტურმს დიდი მონდომებით იგერიებდნენ. ამ დროს... კვლავ ფოთელთა მეკარე შეცდა. თანაგუნდელებმა მას ბურთი დაუბრუნეს, მამუკას ბურთის ხელში აღების უფლება არ ჰქონდა, უმისამართო მოგერიებასაც მოერიდა და მის წინააღმდეგ მოთამაშე ჩიტაიას მოტყუება გადაწყვიტა, მაგრამ თავდამსხმელმა ნახტომში სუფთად აართვა ბურთი და ცარიელ კარში შეაგორა. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ სულ რაღაც წამებში მატჩიც მორჩა.

...და ფოთელებმაც ტრადიცია არ დაარღვიეს. უკვე მერამდენე წელია, სეზონის გახსნის მატჩს ისინი შინ აგებენ. უცნაური ტრადიცია, არა?

ფოთელთა მთავარი მწვრთნელი გია ტყებუჩავა საშინელ ხასიათზე იყო. მან ყოველგვარი კომენტარისგან თავი შეიკავა.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე მხოლოდ ფრიდონ გოცირიძე გამოცხადდა. მისი თქმით, ხობი ასეთ შედეგს არ ელოდა. საბრძოლველად კი ჩავიდნენ, მაგრამ მთავარი იყო, დიდი ანგარიშით არ წაეგოთ. შემდეგ პირველმა ტაიმმა აჩვენათ, რომ ბრძოლა შეიძლებოდა და მათაც თავდადებით შეუტიეს. საბედნიეროდ, არც ფორტუნამ აქცია ზურგი. „სეზონის ბოლოს ამ სამ ქულას შეიძლება ჩვენთვის ოქროს ფასი აღმოაჩნდეს“ — სიხარულს ვერ მალავდა ხობელთა თავკაცი.

ეს პრიზები რაღა შუაშია, იკითხავს მავანი. საქმე ისაა, რომ სტადიონზე ადგილობრივმა ინფორმატორმა თამაშის დაწყებამდე გულშემატკივრებს აცნობა, მატჩში საუკეთესო ფეხბურთელთათვის პრიზებია დაწესებულიო. ასეთი თამაშისა და შედეგის შემხედვარეთ კი რაღა ახსოვდათ — არავისთვის არაფერი გადაუციათ. რას იზამ, უარესიც ხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მლოცველნი უფალმა მოარიგა

გორი
15 აგვისტო
18 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

**დილა 1:1 თსუ**

0:1 ადამია (16), 1:1 მარლიაშვილი (73პ)
დილა: სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი (გ. ჩიტაია 64), რ. ხაჭაპურიძე, აკოფიანი, ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, ბ. ჩიტაია (სულთანიშვილი 54), ციცქიშვილი (არუთუნიანი 78), ლომიძე, მარლიაშვილი, შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* მდივანი; კარელიძე, ოლგესაშვილი, დ. მაისურაძე
თსუ: მერლანი, ნინუა, ახალაძე, წუწუნავა, დეკანოსიძე, მ. მესხი (გ. გოცირიძე 33, ბ. ნოზაძე 57), ადამია (გ. გვაზავა 74), თ. ბოკერია, ერაძე, კვიციანი, დ. არჩვაძე
*სათადარიგონი:* გუგუნავა, სვანაძე, ინწკირველი, გიორგი მიქაძე
გაფრთხილება: კვიციანი (31), დეკანოსიძე (44), შატაკიშვილი (49), ხაჭაპურიძე (53), ერაძე (77), ბ. ჩიტაია (45)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი), პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი), დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

**მამუკა კვანტალიანი გორიდან**

რა ხანია, „დილას“ ჩემპიონატის სადებიუტო მატჩი არ წაუგია. ის კი არა, უკვე მერამდენე სეზონია, შინიდან გახარებული არავინ გაუშვია. წაგებით არც გუშინ წაუგია, მაგრამ სტუმრებსაც ბევრი ვერა დააკლო და პატარა დღესასწაული ჩაუმწარდა.

გორში ნამდვილად იციან ფეხბურთის ფასი. ჩემპიონატს ისე არ დაიწყებენ, წინ საზეიმო ცერემონიალი არ წაუმძღვარონ. გასულ წლებში მართლაც რომ დღესასწაულს ემსგავსებოდა ჩემპიონატის დასაწყისი. ტარდებოდა კონცერტი, იყო მილოცვები, თამაშდებოდა ლატარია და რიგდებოდა პრიზები.

ქვეყნის გაჭირვებულმა ყოფამ გორსაც რომ უწია, აბა, ახალი ვისთვის იქნება, მაგრამ იქაურმა ხელმძღვანელებმა იხტიბარი მაინც არ გაიტეხეს, მოკრძალებულად, მაგრამ მაინც აღნიშნეს საფეხბურთო ჩემპიონატის განახლება. იყო მილოცვა, იყო ყვავილები და აღიმართა საქართველოს დროშა, რომელიც მეორე ტაიმში აფრიალდა, მაშინ, როცა ქარმა დაუბერა.

„დილამ“ ვერც საკადრისად ითამაშა. ფეხბურთელებს მოძრაობა უჭირდათ, თამაშის ბოლოსკენ კი აშკარად დაღლილობა დაეტყოთ. დაუღლელი არც სტუმრები ყოფილან, მეორე ტაიმში ისინიც გვარიანად ზანტობდნენ.

ვერავინ უარყოფს, გორში კვირას საკმაოდ ცხელოდა, მაგრამ მოთამაშეთა ინერტულობა, ალბათ, მათი სუსტი ფიზმომზადების ბრალია, რომლის აღმოფხვრას ბევრი ოფლისღვრა დასჭირდება.



თსუ-ელი თამაზ ბოკერია გორელ ქრისტეფორე შატაკიშვილს გაურბის

პირველი წუთიდანვე მიაწყდნენ გორელები სტუმართა კარს, მაგრამ თსუ დინჯად იცავდა თავს. მართალია, მარლიშვილმა შატაკიშვილის პასით გოლიც გაიტანა, მაგრამ თანამსაჯმა დოგრაშვილმა გახარება არ დააცალა, თამაშგარე დაფიქსირდა. დოგორაშვილმა მერეც არაერთხელ შეაჩერა „დილას“ სახიფათო გარღვევები და ამით გორელთა გულისწყრომაც დაიმსახურა, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი სამართლიანად სჯიდა.

თსუ-მ თავიდანვე კონტრიერიშებს მიმართა და თამაშის ბოლომდეც არჩეული სტილის ერთგული დარჩა, თუმცა, როგორც ვთქვით, პირველ ნახევარში სტუმრები უფრო ლაღად ირჯებოდნენ.

სასტარტო მღელვარებამ ჩაიარა თუ არა, თსუ-მ პირველადვე მწარედ უჩხვლიტა „დილას“ წუწუნავას მიერ საჯარიმოს ხაზიდან ძლიერად დარტყმულ ბურთზე სოლოლაშვილმა სანაქებო რეაქცია გამოავლინა — მარცხენა ცხრიანისკენ მფრინავი ბურთი მეკარემ კუთხურზე მოიგერია. ორივეზე ტაში ალალი იყო და მაყურებელსაც არ დაუყოვნებია.

სტუმართა ყველაზე სახიფათო მოთამაშემ, კახა წუწუნავამ სასარგებლო საქმე მაინც გაუკეთა თანაგუნდელებს და თსუ-ს გატანილი გოლიც, ავტორთან ერთად, მთლიანად მისი დამსახურება იყო. წუწუნავამ მახვილგონივრული გადაადგილებით ორი მცველი გაიტყუა და ახალაძეს გზა გაუხსნა, მერე, მიიღო თუ არა ბურთი, კიდევ ორ გორელს ჩაუქროლა და კარის გასწვრივ ჩააწოდა. სოლოლაშვილი ბურთს წაეტანა და მოიგერია, მაგრამ არეულობაში ადამიამ ყველას დაასწრო, რომლის დარტყმულსაც ვერავინ გადაელობა. უპირატესობა სტუმრებმა პირველ ტაიმში შეინარჩუნეს და გასახდელისკენ თავაწეულები გაეშურნენ.

განახლდა მეორე ტაიმი და დროის გასვლასთან ერთად გუნდებს დაღლაც დაეტყოთ. გორელებმა რა ნახეს, მეტოქეს სისწრაფეში ვერ ვჯობივართო, თავიანთ ერთადერთ კოზირს გამოცდილებას მიენდნენ და თამაში გახსნეს. ღია ბურთაობა გაჩაღდა, რამაც უპირატესობა მსპინძლებს მოუტანა. სწორედ ეს იყო სტუმართა შეცდომაც. თსუ რომ „დილას“ არ აჰყოლოდა, შინ სამი ქულით ხელდამშვენებული დაბრუნდებოდა, მაგრამ...

სტუმრები ჯერ შატაკიშვილის დარტყმის შემდეგ გადარჩნენ. ბურთი ხარიხას მოხვდა, თუმცა მალევე იმავე შატაკიშვილიმა კარგი პასით სულთანიშვილი გაიყვანა გარღვევაზე. გორელი სტუმარმა ნინუამ შეაჩერა, ოღონდ თერთმეტმეტრიანის ფასად.



სტუდენტები სვეტიცხოველში

ჩვენში მსგავს მომენტებზე იტყვიან, მსაჯმა პენალტი რომ დანიშნა, ამაში ვერავინ შეედავებოდა, მაგრამ რომ არ დაენიშნა, ქვეყანაც არ დაიქცეოდაო. საჯარიმოში შესულ სულთანიშვილს ნინუა ფეხებში ჩაუვარდა და თავდამსხმელსაც მაშინ წამოედო სტუმართა ლიბეროს ფეხი. ჯარიმაზე არ მითამაშია, უმტკიცებდა მერე მსაჯს. კრიჭაშვილმაც თავი დაუქნია, განზრახ ჯარიმაზე რომ გეთამაშა, პენალტთან ერთად გაძევებასაც გამოჰკრავდი ხელსო.

მარლიშვილმა თერთმეტმეტრიანი უნაკლოდ შეასრულა. მერე თამაშიც დასრულდა და ზოგიერთმა ადგილობრივმა გულშემატკივარმა მსაჯები გვარიანად შეამკო, თუმც საპასუხო და დამამშვიდებელი სიტყვები ისევ გორელებისგან მიიღეს, არბიტრებს რას ვერჩით, დღეს ჩვენებმა ვერ ითამაშესო.

მცხეთის სვეტიცხოველმაც თავისი მადლი არ მოაკლო კვირას თსუ-ს. სტუმრები სალოცავად შესულან გორში ჩასვლამდე. „დილას“ აქეთ გორიჯვარი აფარებდა მოწყალე კალთას და მაშინ რაღა გასაკვირია, თამაში რომ ფრედ დამთავრდა.

# მასპინძელი არც ერთი იყო...

თბილისი
14 აგვისტო
18 საათი
ეროვნული
1 000 (ტევადობა 75 000)

**იბერია 1:1 მერანი**

1:0 მეტრეველი (64), 1:1 დევიძე (75)
იბერია: ვარდანიძე, ბიწაძე, გ. ლურსმანაშვილი, გეგეშიძე, მიქელთაძე, მუმლაძე, გ. ნიკოლეიშვილი (რ. ცომაია 66), ფილიპაშვილი (დარსაძე 55), მ. ჯინჭარაძე, იეჩიანი (ნ. გიორგაძე 72), ზ. მეტრეველი
*სათადარიგონი:* გ. დოლიძე; ხმალაძე, ადეიშვილი, ოდიკაძე
მერანი: ნაჭყეპია, ლ. ამბიძე, ცქიფურიშვილი, ე. ალადაშვილი, ხარებავა (ივანიშვილი 69), ჭინჭარაული (ბაჯელიძე 61), დ. ჯიშკარიანი, თოლორდავა, დავითაშვილი, დევიძე, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; პ. ლურსმანაშვილი
გაფრთხილება: ნიკოლეიშვილი (38), ჯინჭარაძე (52), თოლორდავა (54), გეგეშიძე (80)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

**კობა ინასარიძე**

ყოველივე ახალს განსაკუთრებული ინტერესი ახლავს, ახლავს იმედიც და მოლოდინიც იმისა, რომ უწინდელზე უკეთესი თუ არა, უარესი მაინც არ იქნება.

ჩვენც ასე ველოდით XI ეროვნული ჩემპიონატის დაწყებას, ყურადღებაც გავიორმაგეთ მოსამზადებელი პერიოდისას, ვცდილობდით, გუნდების ავკარგი არ გამოგვრჩენოდა, ფეხბურთის ფედერაციის მუშაკებიც არ იყვნენ გულხელდაკრეფილნი, რეფორმა, რეფორმაო, გაიძახოდნენ ლამის ყოველდღიურად, საამისოდ სპონსორებიც კი მოიზიდეს, მაგრამ, აჰა, დაიწყო ახალი საფეხბურთო მარათონი და...

სიახლე გაინტერესებთ? ფაქტობრივად, არაფერი. ისევ ცარიელი ტრიბუნები და მთვლემარე გულშემატკივარი. გულასაჩუყებელი ფეხბურთი, შემსრულებლებიც იგივენი, წუწუნიც ადრინდელის მსგავსი, რა ვქნათ, მეტი არ შეუძლიათო.

ჩვენ რაღა ვქნათ? რა ვქნათ და, სხვა რა გზაა, შაბათს პირველი ტური იყო და უნდა დაველოდოთ — ჩემპიონატი რომ გახურდება, ეგებ საქმეც სხვანაირად აეწყოს.

ჯერჯერობით კი, იმ მატჩზე, რომელიც ნეიტრალურ მოედანზე, ეროვნულ სტადიონზე ჩატარდა და პირობით მასპინძლებად სამტრედიელები ითვლებოდნენ. ფედერაციამ „იბერიას“ „ეროსი მანჯგალაძის“ სტადიონზე თამაში დროებით აეკრძალა, „მერანიც“ და მისი „სინათლეც“ დროებით არიან „შერისხულნი“. პირველი მატჩიც დიდუბეში სწორედ ამიტომ გაიმართა.

დუნე და მონოტონური გამოდგა პირველი ტაიმი, აღსანიშნავიც ისეთი არაფერი მომხდარა, მელნის დასახარჯად ღირდეს. „იბერიასაც“ რა ადარდებდა, ბოლო-ბოლო, თბილისში თამაშობდა.

სცენარი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. 15-17 წუთიც ბეჯითი, მაგრამ უინტერესო ბურთაობა იყო...

ამასობაში 64-ე წუთმაც მოატანა, „იბერიას“ კონტრშეტევამ და ზურაბ მეტრეველის გოლმა, რომელშიც ლომის წილი მუმლაძემ და ალადაშვილმა დაიდეს. პირველის აქტივში მშვენიერი პასია, მეორე კი სამტრედიელს სისწრაფეში ჩამორჩა, თანაც ვერც პოზიცია შეარჩია ხეირიანად — მეტრეველს ნაჭყეპიასთან თითქმის პირისპირ დარჩენის შანსი მისცა... „იბერიაც“ დაწინაურდა.

„მერანი“ გაშმაგდა. უნდა გენახათ, რა დღეში იყო თბილისელთა ახალი მწვრთნელი თემურ ჩხაიძე, კაცი სკამზე ვერ ჩერდებოდა, განუწყვეტლივ მითითებებს აძლევდა შეგირდებს, შეტევებისკენ მოუწოდებდა. შეცვლაც გონივრული გააკეთა, გაშვებული გოლის შემდეგ „მერანის“ კაპიტანყოფილს, გამოცდილ ივანიშვილს მისცა თამაშის საშუალება. „მერანის“ საპასუხო ბურთიც სწორედ ივანიშვილის აქტიურობას მოჰყვა: მარჯვენა ფლანგზე სამტრედიელები მის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ, ლაშა ამბიძემაც საჯარიმოში ზედ თავზე დაასვა ბურთი დევიძეს, მანაც კარგად დაარტყა და ვარდანიძეც უშანსოდ დატოვა.



მერანელი სულიკო დავითაშვილი იბერიელთა კარისკენ მიიწევს

შეგულიანებული „მერანი“ აღარ ცხრებოდა. ფაქტობრივად, ცალკარაც გაჩაღდა. ბურთი ცენტრის ხაზსაც აღარ სცილდებოდა. მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე კი გეგეშიძეს რომ არ ემარჯვნა, „იბერია“ მეორედაც დამწუხრდებოდა: დავითაშვილმა მეტოქის საჯარიმოში ლამის ნახევარი სამტრედია გააპამპულა და კარშიც დაარტყა, რომ გეგეშიძემ ფეხი გაშალა და დააფარა. ბურთიც ხარიხას დაეცა.

მერე საინტერესო აღარაფერი მომხდარა. ქულების გაყოფითაც ორივე გუნდი კმაყოფილი უნდა იყოს. ვითომ მასპინძელმა სამტრედიელებმა თბილისში ითამაშეს, „მერანმა“ კი ავჭალიდან დიდუბეში ჩაინაცვლა. მასპინძელიც არც ერთი იყო...

# შავი დათოს ყვავილები

ბოლნისი
14 აგვისტო
18 საათი
თემურ სტეფანია
2 000 (ტევადობა 3 000)

**სიონი 2:2 თბილისი**

0:1 კვარაცხელია (10), 1:1 მოსეშვილი (41), 2:1 მ. სამხარაძე (58), 2:2 ისიანი (70)
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი (ლ. გაგუა 46), შაკიაშვილი, სიდამონიძე, დიმიტრიშვილი, დათუაძე, ნ. მინდიაშვილი, მ. გოგოლაძე (დ. სვანიძე 72), თ. სამხარაძე, დ. გოდერძიშვილი (მ. სამხარაძე 46), მოსეშვილი
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; მ. მინდიაშვილი, ტარულაშვილი, დ. ჯაფარიძე
**თბილისი:** ბათიაშვილი, ქემოკლიძე, აბრამიძე, ზამთარაძე, ო. გველესიანი, გ. კვარაცხელია, ლ. ბურდული, ი. შენგელია (ზ. ხიზანიშვილი 55), ვალერი გაგუა (კანდელაკი 78), ლ. მელქაძე (ისიანი 46), გ. მიქაძე
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი; ნორაკიძე, დ. ტყუბეჩავა, ებრალიძე
**გაფრთხილება:** კვარაცხელია (21), კ. გოდერძიშვილი (24), შაკიაშვილი (33), ვ. გაგუა (63), ქემოკლიძე (64), გველესიანი (65), ლ. გაგუა (75)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. ორდინიძე (ონი), ზ. დოლიძე (თბილისი); კ. თბილელი (თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** გ. ძამუკაშვილი

პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან

„ალა და ფანები" — ასეთი წარწერა ამშვენებდა ტრიბუნის წინ გამოფენილ ერთ-ერთ აბრას. „თემურ სტეფანიაზე" თვალსასეირო სხვაც ბევრი იყო. ერთ რამედ ღირდა კოხტად შეღებილ-მოვლილი სტადიონის ცქერა. სათამაშო მინდვრის გვერდით ბოლნისელებს პატარა საფეხბურთო მოედანიც გაუმართავთ და მალე ხელოვნური საფარითაც შემოსავენ. ერთი სიტყვით, ბოლნისის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძე და ფირმა "ვარციტი" სერიოზულად მოჰკიდბიან საქმეს. მათი შეწევნით „სიონიც" წელგამართული და ამაღლებული განწყობილებით შეხვდა სეზონის გახსნას.

სანამ ეროვნულ დროშას საზეიმოდ აღმართავდნენ, მოედანზე ყვავილებით ხელდამშვენებული სამი წლის ზანგი ბიჭუნა შეცუნცულდა. დათომ (სწორედ ასე უხმობდნენ მას და სხვათა შორის, მადლიან ქართულ ენასთან არ იყო მწყრალად) რატომღაც მეკარეები ამოირჩია და მისმა ორმა თაიგულმაც ბათიაშვილისა და ვოლკოვის ხელში გადაინაცვლა. შაბათს ორივე გოლკიპერმა ორ-ორი გოლი გაუშვა...

მატჩის დებიუტში ნათელი გახდა, რომ ოთარ კორღალიძე, სტუმართა მთავარი მწვრთნელი, ბოსკამპისეული კონცეფციის ერთგული რჩება — „თბილისმა" დაცვაში ხაზზე თამაში ირჩია და ამან თავიდან გაუმართლა კიდეც. საწყის ოც წუთში ხაზზე თამაშით სტუმრებმა რვაჯერ გამოიჭირეს მასპინძლები თამაშგარე მდგომარეობაში, შემდეგ კი გამოჩნდა, რომ ბოსკამპის ნოვატორული სისტემა ქართული გუნდებისთვის ცოტა ძნელად ასათვისებელია. ყოველ შემთხვევაში, „თბილისმა" ბოლნისურ მატჩში ამის საუკეთესო მაგალითი გვიჩვენა, თუმცა ამაზე ქვემოთ.

სტუმრებმა დასაწყისშივე მოიპოვეს ტერიტორიული უპირატესობა და მეცხრე წუთზე მიქაძეს თავის გამოჩენაც შეეძლო — შენგელიას მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებულს კარგად დაუხვდა, ორი მცველიც მოატყუა, თუმცა ხუთიოდე მეტრიდან მეკარეს სუსტად დაურტყა და ვოლკოვსაც ბურთის აღება არ გასჭირვებია. ორი წუთის შემდეგ კი ანგარიში საკმაოდ მოულოდნელად გაიხსნა: მოედნის ცენტრში გაგუამ ორი მეტოქე მოატყუა და საჯარიმოს ხაზთან მიახლოებულმა კარში დარტყმა გადაწყვიტა, მაგრამ მცველმა ხელი შეუშალა. უკან გამოვარდნილ ბურთს ოცდაათიოდე მეტრიდან კვარაცხელიამ ეფექტურად დაჰკრა და სტადიონზე სამარისებური სიჩუმე გამეფდა — 0:1. გოლმა მასპინძლები გამოაცოცხლა და მშვენიერი ბურთაობაც გაჩაღდა, ყოველივეს კი მოულოდნელად ორივე გუნდის სწრაფი თამაში დაერთო, მომენტი მომენტს ცვლიდა. სექტორი — „ალა და ფანებიც" აგუგუნდა და მე-16 წუთზე „სიონმა" კინაღამ გაათანაბრა ანგარიში — გოდერძიშვილმა მოსეშვილი კარგ პოზიციაში გაიყვანა, თუმცა საჯარიმოში შეჭრილი ბოლნისელი მცველთან ჭიდილში ზედმეტად გაერთო და საბოლოო დარტყმა გააცუდა. მოსეშვილს პირველი ნახევრის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრეც შეეძლო თავის გამოჩენა, როცა „თბილისის" საჯარიმოში ბოლომდე იბრძოლა და გველესიანს ბურთი მოჰპარა. იმ ეპიზოდში ბახვამ კარშიც მოახერხა დარტყმა, მაგრამ ბათიაშვილი ზამთარაძემ დააზღვია და მანაც შეძლო კარის ხაზიდან ბურთის გამოტანა. მოსეშვილის ეს ორი მომენტი „თბილისის" ხაზზე მოთამაშე მცველების შეცდომას მოჰყვა. ღმერთი ხამობითო და „სიონმა" მესამე შეცდომა ძვირად დაუსვა მეტოქეს. საგოლე კომბინაცია ვოლკოვმა დაიწყო, რომლის ჩაწოდებული ბურთი საჯარიმოს სიახლოვეს, მეტოქის კარიდან ზურგით მდგომ დავით გოდერძიშვილს მოუვიდა. მან ოდნავ დააყოვნა და უზუსტესი პასი მიაწოდა საჯარიმოში შეჭრილ მოსეშვილს, ვინაც მეტოქე მცველები ხელოვნურ თამაშგარეზე გამოიჭირა და ახლო მანძილიდან ბათიაშვილს შანსი არ დაუტოვა — 1:1.

მეორე ნახევარი ბოლნისელთა გააფთრებული შეტევებით დაიწყო. შეცვლაზე შესული მირზა სამხარაძე და ლავრენტი გაგუა აქტიურად ჩაერთნენ თამაშში. სწორედ ამ ორი ფეხბურთელის მცდელობის შედეგად დაწინაურდა „სიონი". 58-ე წუთზე მასპინძლებმა კიდევ ერთხელ გამოიჭირეს ხაზზე სტუმრები — სამხარაძემ გაგუას ჩინებული პასი შეირგო, აუღებელი დაურტყა ბათიაშვილს და „თემურ სტეფანიამ" ვულკანივით იფეთქა. „სიონი" კვლავ არ ეშვებოდა მეტოქეს. მომდევნო ათი წუთის განმავლობაში გაგუამ და მოსეშვილმა მოწინააღმდეგის კარის დალაშქვრის კარგი შანსი დაკარგეს. მერე კი ბოლნისელებს დაღლა დაეტყოთ და ამით უმალ ისარგებლა „თბილისმა". ჩინებული გოლი გაიტანა 70-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა შალვა ისიანმა: კართან ზურგით მდგომი ბურთიანად შემოტრიალდა და ვოლკოვს მარჯვენა „ცხრიანში" აუღებელი დაურტყა. დარჩენილ დროში დაღლაშეპარულ გუნდებს გაუჭირდათ. სადღა იყო ეფექტური პასები, ფლანგური გარღვევები, მაღალი ტემპი. შეგეცოდებოდათ მისავათებული ფეხბურთელები. თუმცა, მიუხედავად ამისა, შეხვედრის ბოლო წუთზე შალვა ისიანმა ახლო მანძილიდან დარტყმა მოახერხა და ძელის ნაცვლად ბადეში რომ მოეხვედრებინა ბურთი, სტუმრები მოიგებდნენ კიდეც.

უნდა შევუნდოთ ორივე გუნდს ბოლო წუთების ჩავარდნა. მით უფრო, რომ ეს ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩი იყო, თანაც 70 წუთიც არ დავივიწყოთ — დრო, რომელიც მშვენიერ, ლაღ ბურთაობაში გაილია. და ერთიც, ბოლნისში ერთობ ცხელოდა და ამანაც დაასვა დაღი შეხვედრას.

ბოლოს კი ცუდი რამ მოხდა. პატარა დათოს ჩაშხამდა ეგზოტიკურად გახსნილი საზეიმო ცერემონიალი. მატჩის გასრულების შემდეგ მსაჯთა ოთახისკენ მიმავალ სფფ-ის ინსპექტორ გია ძამუკაშვილს გზად მავანი გულშემატკივარი (თვითმხილველთა თქმით, იგი ბოლნისელი არ ყოფილა) დაუხვდა და ფიზიკურად გაუსწორდა. იმ დღეს ძამუკაშვილს „გასასწორებელი" ნამდვილად არაფერი სჭირდა, მავანმა კი სხვაგვარად განსაჯა. ამგვარი რამ ეროვნულ ჩემპიონატს არ ეკადრება და ისიც ცუდი, მატჩის მომსახურე პირველივე ტურში რომ გაილახა. ისე, ბოლნისურმა მატჩმა სხვა კრიტერიუმითაც იპირველა — გივი კვარაცხელიას გოლი პირველი გამოდგა XI ეროვნულ ჩემპიონატში.



[illegible] ფოტო

გიორგი მეგრელაძის (მარცხნივ) ამ თავურს „გორდას" კარში მეორე გოლი მოჰყვა

# დღეს უფულოდ ვინ დაუსტვენს?

რუსთავი
16 აგვისტო
18 საათი
ფოლადი
1 000 (ტევადობა 10 700)

**გორდა 0:2 ტორპედო**

0:1 გოგიაშვილი (35), 0:2 მეგრელაძე (81)
**გორდა:** მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბექაური, ინასარიძე, გაბელაია, თელიაშვილი, ლაბაძე (მ. სახვაძე 46), ა. ბუკია (მიშველიძე 46), კიტეიშვილი (ბაჩილავა 56), კ. ჩიგოშვილი, ლ. ალადაშვილი
*სათადარიგო:* გონგაძე
**ტორპედო:** გრ. ჭანტურია, შეყრილაძე, თურმანიძე, ხვადაგიანი (ვ. მაისურაძე 83), ახვლედიანი, კ. კვეტენაძე, ვაჩიბერაძე, გოგიაშვილი, იონანიძე (იმედაძე 82), დ. ჯანაშია, მეგრელაძე (მ. ბობოხიძე 89)
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; თავბერიძე, ამისულაშვილი
**გაძევება:** მჭედლიძე (65)
**მსაჯები:** გ. ასკაროღლი (ქარელი); ს. კახიანი, ა. მეშკოვი (ორივე თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში)
**სფფ-ის ინსპექტორი:** კ. ყრუაშვილი

პაატა კვანტალიანი რუსთავიდან

ტალინური გამოცდის ხუთიანზე ჩამბარებელ გუნდს მასპინძელთა დასამარცხებლად დიდი ძალისხმევა არც დასჭირვებია. „ტორპედომ" იოლ გამარჯვებას მიაღწია და ამ მოგებით „ბ" ზონაში პირველ საფეხურზეც ალზევდა.

მასპინძლები ხასიათწამხდარნი დაუხვდნენ თასის მფლობელებს. მიზეზი? აბა, უფულობის გარდა სხვა რა იქნებოდა. ჯერ კიდევ მატჩამდე ნახევარი საათით ადრე შეხვედრის ჩატარებაც საეჭვო იყო. რუსთაველები საწევრო 10000 ლარის გადახდას აგვიანებდნენ. ამის გამო „ფოლადზე" ერთობ დაძაბული სიტუაცია სუფევდა. ამ ფაქტის შესახებ დაწვრილებით ხვალინდელ „სარბიელში" მოგითხრობთ. ღმერთმა გადმოხედა რუსთაველებს და დიდი სირცხვილი აცილა თავიდან...

ქუთათურებმა საამმატჩოდ მოწამლული ჩხეტიანი მოისაკლისეს. „ტორპედოს" მატჩის დასაწყისშივე შეეძლო დაწინაურება. მეორე წუთზე შეყრილაძის საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი გოგიაშვილმა თავით დაუგდო მეგრელაძეს, ამ უკანასკნელის ახლო მანძილიდან დარტყმული მკერდით მოიგერია გამოცდილმა ქორიძემ. შემდეგ იყო ნახევარწუთიანი არეულობა რუსთაველთა საჯარიმოში, რასაც იონანიძის სახიფათო დარტყმა მოჰყვა — ბურთმა სანტიმეტრებში ჩაუარა „გორდას" კარის მარცხენა ძელს. აქედან მოყოლებული 35-ე წუთამდე (ბევრი არც ამის შემდეგ შეცვლილა) მატჩი საკმაოდ უინტერესოდ გაგრძელდა. „ტორპედო" საოცრად დამძიმებული ჩანდა. მაღალ ტემპს ვინ ჩივის, ქუთათურები გადაცემების სიზუსტეშიც მოიკოჭლებდნენ. ეს მხოლოდ გოგიაშვილზე არ ითქმის. იგი მართლაც საუკეთესო იყო მოედანზე. მისი თითოეული პასი ფილიგრანული სიზუსტით მიდიოდა პარტნიორამდე. ის ნათელი 35-ე წუთიც ხომ გოგიაშვილის იყო — გიორგიმ ჩინებული საჯარიმო დარტყმა განახორციელა, ბურთი კედელს შემოევლო და უცნაური ტრაექტორიით ზედა ძელის დახმარებით მეკარისგან შორეულ კუთხეში ჩაეჭედა.

წაგებული გუნდის ქება სად გაგონილა, მაგრამ „გორდას" ურიგო გუნდის შთაბეჭდილება სულაც არ დაუტოვებია. იასონ ალადაშვილის შეგირდები გულიანად, ბოლომდე იბრძოდნენ, მეორე ნახევარში ბურთს მეტოქეზე ხშირად აკონტროლებდნენ, ის კი არა, ტანმორჩილ ბექაურს იღბალიც რომ წახმარებოდა... სახვაძის კუთხურზე მან „ტორპედოს" ახოვან მცველებს წამით დაასწრო, ზამბარასავით დაიჭიმა და თავით გადაგზავნა ბურთი ჭანტურიას კარისკენ. ბურთი სულ მცირედ აცდა ზედა ძელს, შემდეგ კი ყიფიანი წამოიჭრა სათადარიგოთა სკამიდან და „ტორპედომაც" მოუმატა. ერთ რამედ ღირდა ჯანაშიას ნახვა 65-ე წუთზე. თურმანიძის პასზე ჯანაშია ხუთი მეტრით ჩამორჩებოდა მჭედლიძეს, მაგრამ ისეთი სისწრაფით ჩაუქროლა გორდელს, ამ უკანასკნელს წესის დარღვევის გარდა არაფერი დარჩენოდა. მჭედლიძემ ხელით შეაჩერა დაწინაურებული და წითელი ბარათიც სამართლიანად იხილა.

10-კაციან „გორდას" რაღა უნდა გაეწყო გამოცოცხლებული სტუმრების წინააღმდეგ და 81-ე წუთზე მანამდე ორჯერ ხელმოცარულმა მეგრელაძემ ვაჩიბერაძეს გარჯა დაუფასა — მის ჩაწოდებულზე თავით ახლო მანძილიდან დაამწუხრა ქორიძე.

# გახსოვდეს ბელფასტი!

თბილისი
16 აგვისტო
18 საათი
ეროვნული
1 000 (ტევადობა 75 000)

**ლოკომოტივი 2:2 არსენალი**

1:0 მიქაძე (24), 2:0 რუსია (60), 2:1 გონჩაროვი (69), 2:2 თარგამაძე (81)
**ლოკომოტივი:** ასლანაძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ლ. მიქაძე, მ. ქობულაძე, ვ. გველესიანი (დ. ბაქრაძე 68), ჩომახიძე, ბარამიძე (რუსია 59), შავგულიძე (კაციაშვილი 46), გოგიჩაიშვილი, ქებაძე
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე; ჩაჩუა, კ. მელქაძე
**არსენალი:** ჩლაიძე, ცოტაძე, ასპინძელაშვილი, ლაცაბიძე, ვ. ღუდუშაური, მ. მაისურაძე, თარგამაძე (კვირკველია 85), გ. სულაძე (გონჩაროვი 46), ამირიძე, კაკაშვილი (ხოსროშვილი 46), ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* კუპატაძე; ვახტანგ გაგუა, რობაქიძე, ირემაშვილი
**გაფრთხილება:** ჩიხრაძე (68), მიქაძე (85)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); ა. სამხარაძე (სოხუმი)
**სფფ-ის დელეგატი:** ა. ზაჩუკაშვილი

გიორგი ვაშაკიძე

გუშინ XI ეროვნულის ფერხულში უეფას თასის მონაწილეებიც ჩაერთვნენ და თუ „ტორპედომ" რუსთავში იოლად იმარჯვა — 2:0, „ლოკომოტივი" არმიელებთან ფრეს დასჯერდა. მას მოგების შანსი ჰქონდა, მაგრამ...

თამაშის დაწყებამდე მატჩის ოქმს რომ ჩავხედე, ერთი რამ მომხვდა თვალში — რკინიგზელების სათადარიგოთა შორის გუნდში მობრუნებული მეკარე ლევან დოლაბერიძეც იყო. არადა, ვიცოდით, ლევანი ჩემპიონატისთვის „ბათუმში" ემზადებოდა და ზღვისპირელებმაც უმალ შეიყვანეს იგი საჩემპიონატო განაცხადში, თუმცა „ლინფილდთან" გასულ ხუთშაბათს უხეშობისთვის დავით ჯანელიძე რომ გააძევეს, რკინიგზელთა ხელმძღვანელობა ხმამაღლა აცხადებდა, გუნდში ერთადერთი მეკარე ასლანაძე დაგვრჩა, მესამე გოლკიპერი ივარდავა კი გვყავს, მაგრამ იგი ჯერ ახალგაზრდაა და გამოუცდელიაო. ასეა თუ ისე, „ლოკომოტივის" „ორი წუთის მეფე" კვლავ გუნდშია.

რა ხდებოდა გუშინ „ეროვნულზე" საინტერესო? მე თუ მკითხავთ, დიდი არაფერი. იყო კურიოზული გოლი, ნელი, მონოტონური თამაში, მატჩის ბოლოს ხურცილავას გაწბილებული სახე, მოზეიმე არმიელები... და არ იყო ფეხბურთი. იმას, რაც გუშინ ეროვნულზე ხდებოდა, ძნელია, ფეხბურთი უწოდო. ორივე გუნდის მოთამაშეები, უფრო კი რკინიგზელები, უმეტესწილად ინდივიდუალური ოსტატობით ცდილობდნენ ფონს გასვლას. პირობითად მასპინძელთა ტაქტიკა ორ კაცზე, თავდასხმაში გამწესებულ ლევან ქებაძესა და კახა გოგიჩაიშვილზე იყო აგებული. ამ დროს კი სად იყო ჩახავა და მისი „არსენალი"? მწვრთნელმა შესვენებაზე ორი ცვლილება გააკეთა — გონჩაროვის და ხოსროშვილის გამოყვანით არმიელთა თამაში უფრო დალაგდა. შედეგი — ფაქტობრივად წაგებული თამაში შემოატრიალეს. ამიტომაც იყო, ალბათ, სტუმრები სიხარულს რომ ვერ მალავდნენ.

26 აგვისტოს „ლოკომოტივს" უეფას თასის საპასუხო შესარჩევი მატჩი უწევს ბელფასტში, „ლინფილდთან", თუ რკინიგზელებმა იქაც ისე ითამაშეს, როგორც გუშინ, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, „უინძორ პარკზე" მურთაზ ხურცილავას შეგირდებს ძალიან გაუჭირდებათ. ღმერთმა ქნას ვცდებოდე.

ზემოთ კურიოზული გოლი ვახსენე. ასეა, 69-ე წუთზე, კუთხურის მოწოდებისას, არმიელი ამირიძე ბურთს მოწაზე დაუშვებლად ძლიერად ურტყამდა. ტყვიასავით გაფრენილმა ბურთმა კარის ნაცვლად იქვე, ამირიძის გვერდზე მყოფი გონჩაროვის მხარი მონახა და რიკოშეტით ძელიდან ასხლეტილი, ასლანაძის თავგანწირვის მიუხედავად, ბადეში აღმოჩნდა.

მეტი რა იყო? არაფერი.

წყალტუბო
14 აგვისტო
18 საათი
26 მაისი
1000 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 0:1 ვიტ ჯორჯია**

0:1 ქორიძე (37)
**სამგურალი:** ო. ბობოხიძე, ჯავახაძე (ზურაბიანი 46), ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე, ვოსკანოვი, სადილიანი, სუხიაშვილი, ლონლაძე (ზ. ფხაკაძე 46), ზ. ქუთათელაძე, ი. ხაჭაპურიძე (ნებიერიძე 46), ძოძუაშვილი
*სათადარიგონი:* ბოდოკია; გაბლაია, დ. ქელიძე, კოხრეიძე
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ჭანკოტაძე, ბარქაია, ხართიშვილი, საჯაია, კ. ალადაშვილი, კოტორაშვილი (ზ. გვაზავა 65), ლ. ნოზაძე, მაზიაშვილი (ჯ. მუჯირი 77), ვ. გოჩაშვილი (რ. გოცირიძე 68), გიორგი ქორიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ს. თოდუა, დ. დოლიძე, ა. ბოკერია
**გაფრთხილება:** ჯავახაძე (40), ვოსკანოვი (40), ქორიძე (73)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, მ. ელიკაშვილი (ყველა თბილისი); თ. ხუჭუა (სამტრედია)
**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა

# სუნთქვა ჭირდა და...



მამუკა დარჩია წყალტუბოდან

„სამგურალის“ მეკარე ოთარ ბობოხიძე გიორგი ქორიძის ამ დარტყმულს კი ვეღარ მისწვდა

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

ამ შეხვედრაში ფავორიტად სტუმარ გუნდს მიიჩნევდნენ და, არცთუ უსაფუძვლოდ. „ვიტ ჯორჯიას“ ფინანსურად არ უჭირს, დიდი მიზნები დაუსახავს ახალ გათამაშებაში და შესაბამისადაც მოემზადა. ვეტერინარებმა ორი სრულფასოვანი შეკრება გაიარეს. „სამგურალმა“ კი რა? ბოლო თასის ფინალისტი საგრძნობლად შესუსტდა. მოგეხსენებათ, ძველი შემადგენლობიდან გუნდი თორმეტმა ფეხბურთელმა დატოვა, სათანადო შევსების მიღება კი ვერა და ვერ მოხერხდა. უსახსრობის გამო იყო, რომ წყალტუბოელები ადგილზე ერთობ პრიმიტიულად ემზადნენ მეთერთმეტე ჩემპიონატისთვის.

ყოველივე ამის მიუხედავად „26 მაისზე“ სადებიუტო მატჩში მაინც მძაფრ ბრძოლას ველოდით. მასპინძლები, რომლებიც ბოლო ოთხი დღე უმთავარმწვრთნელოდ იყვნენ დარჩენილნი (რევაზ ბურკაძე თამაშის დღეს შეუერთდა გუნდს), „ვიტ ჯორჯიასთან“ არაფრის დათმობას არ აპირებდნენ.

თამაშის დაწყებას ჩემპიონატის გახსნის სავალდებულო ცერემონია უძღვოდა. მეტოქე გუნდების კაპიტნებმა გიორგი სუხიაშვილმა და კახა ალადაშვილმა სახელმწიფო ჰიმნის თანხლებით ალამი აღმართეს.

რასაც ვვარაუდობდით, ის მოხდა. სულთამხუთავ სიცხეში მოედანზე თავიდანვე უკომპრომისო ბრძოლა გაჩაღდა. სტუმრებმა წინ ორი მოთამაშე გიორგი ქორიძე და ვლადიმერ გოჩაშვილი გაამწესეს. სწორედ ქორიძე იყო, რომელმაც ამ მატჩში პირველი საგოლე მომენტი შექმნა. მე-8 წუთზე მან პარტნიორისგან კარგი გადაცემა მიიღო, სწრაფად შეიჭრა „სამგურალის“ საჯარიმოში და ძალზე სახიფათოდ დაარტყა კარში. სუხიაშვილი რომ არა, ანგარიში აქ გაიხსნებოდა. დაცვაში ჩასულმა კაპიტანმა აშკარა გოლისგან იხსნა თავისიანები, ქორიძის დარტყმულს უშიშრად გადაეღობა და ეპიზოდიც მხოლოდ კუთხურით მორჩა.

გავიდა ხუთი წუთი და ისევ სუხიაშვილი აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში. სტუმართა ცენტრალური მცველი ჭანკოტაძე შეცდა, იგი საჯარიმოს გარედან თავით გულარხეინად უბრუნებდა ბურთს საკუთარ მეკარეს, წყალტუბოელმა კი იმარჯვა და ჭურაძეს დაასწრო, ბურთი გვერდზე ოდნავ მარცხნივ გაიგდო და ცაციათი ცარიელი კარისკენ დაარტყა — სტუმართა იღბალი, რომ ბურთი მხოლოდ გარედან მოხვდა ბადეს.

მერე მთელი ნახევარი საათი ბურთი უმეტესად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. დიდი მცდელობის მიუხედავად, უპირატესობის დაუფლებას ვერც ერთი ახერხებდა და ვერც მეორე. მცველები თავდამსხმელებს სჯობდნენ, თანაც სტუმარ-მასპინძელთაგან ერთი ისეთი არ გამოჩნდა, ვინც თამაშს დაალაგებდა. ასეთი, ცოტა არ იყოს, მოსაბეზრებელი ბურთაობის შემდეგ ისევ ვიტელებმა გამოიღეს ხელი. 35-ე წუთზე საჯაია მარჯვენა ფლანგიდან ჩაერთო იერიშში და წყალტუბოელთა საჯარიმოში გოჩაშვილი შეატოვა ჯერაც ტრავმამოუშუშებელ მეკარე ბობოხიძეს. ვიტელმა ახლოდან თავით მარცხენა დაბალ კუთხეში დაურტყა მეკარეს, გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ ბობოხიძემ ჩინებულად ითამაშა, თავგანწირულ ნახტომში მოიგერია.

აქ კი გადარჩნენ მასპინძლები, მაგრამ ორ წუთში მაინც მიიღეს გოლი. ქორიძემ საჯარიმოს წინ მიიღო ბურთი პარტნიორისგან, მარჯვედ დაუსხლტდა ორ მცველს, მესამე — სადილიანი ბოლოს ფეხებში ჩაუხტა, მაგრამ გვიანღა იყო, ვიტელს დარტყმა მოესწრო, ხოლო ბობოხიძე მისი ამღები აღარ იყო.

„სამგურალს“ ტაიმის მიწურულს მიეცა გათანაბრების შესაძლებლობა. ზვიად ქუთათელაძემ მეკარესთან პირისპირ გაიყვანა [illegible]. სუხიაშვილიც საჯარიმოში შეიჭრა და კარისკენ დაარტყა. [illegible] ერთდროულად ნელებით და მკერდით მოიგერია ბურთი. წონასწორობა დაკარგულმა, ლამის წაქცეულმა სუხიაშვილმა ერთხელაც მოახერხა დარტყმა. ბურთი შიგნიდან მოხვდა ხარიხას და პერპენდიკულარულად დაეცა ძირს. კარის ხაზზე, ხაზს იქით თუ ხაზს აქეთ? ეს უკვე თანამსაჯის გადასაწყვეტი იყო. მამუკა ელიკაშვილმა არბიტრს თამაში გააგრძელებინა და... ტრიბუნებიდან გვარიანადაც შეუკურთხეს, ერთსაც და მეორესაც. ელიკაშვილმა არადა, ალექსანდრე შილაკაძემ ეს ამბავი, ეტყობა, ვერ აიტანა და მისსავე მაგინებლებს ვალში არ დაურჩა, მოედნიდანვე შეეპასუხა.

ძალიან ცხელოდა თამაშის დროს, სიოც არ იძვროდა, თქვენ ჯვარი გწერიათ, სუნთქვაც კი ჭირდა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ შესვენებისას რამდენიმე წყალტუბოელმა მთავარ მწვრთნელს შეცვლა მოთხოვა. ბურკაძე იძულებული შეიქნა ერთდროულად სამი ახალი მოთამაშე შეეყვანა მოედანზე, მათთგან ორი სრულიად გამოუცდელი — ნებიერიძე და ზურაბიანი. ამათ საერთო ჯამში გუნდის თამაში არ წაუხდენიათ, მაგრამ ვერც ვერაფერი არგეს, ისევე როგორც დანარჩენმა წყალტუბოელებმა, რა თქმა უნდა, სუხიაშვილის გამოკლებით.

მეორე ტაიმში თამაშის ტემპი საგრძნობლად დაეცა. სტუმრებმა ანგარიშის შესანარჩუნებლად იზრუნეს და ბოლომდეც მიიყვანეს საქმე. მასპინძლებს კი, მონდომების მიუხედავად, თამაშში გარდატეხის შესატანად ძალა არ ჰყოფნიდათ. ისე, დაქანცულმა წყალტუბოელებმა ორჯერ მაინც შეუქმნეს ხიფათი ვიტელთა კარს. 50-ე წუთზე სუხიაშვილის კუთხურის შემდეგ ფხაკაძე აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ მისი დარტყმული ჭურაძემ მოიგერია. საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე სუხიაშვილის მიერ 20-მეტრიდან შესრულებულ საჯარიმოსაც „ვიტ ჯორჯიას“ მეკარე გადაეღობა.

# კორღალიძეს არ ეშინია

## ბოსკამპი რომ მოდიოდა, კორღალიძე მიდიოდა



ბაჩანა კიკიბაძის ფოტო

**ოთარ კორღალიძე**

დაიბადა 1960 წლის 2 სექტემბერს თბილისში
თამაში დაიწყო თბილისის „ლოკომოტივში“
1982-86 — ქუთაისის „ტორპედო“
1987-88 — თბილისის „დინამო“ (I ნახევარი)
1988 — ლანჩხუთის „გურია“
სსრკ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგა ჩაატარა 141 მატჩი („ტორპედო“ — 112, „დინამო“ — 29). გაიტანა 22 გოლი („ტორპედო“ — 18, „დინამო“ — 4)
ევროპის საკლუბო ტურნირები — 6 მატჩი
სსრკ ჩემპიონატების პირველი ლიგა ჩაატარა 99 მატჩი („გურია“ — 57, „ტორპედო“ — 42). გაიტანა 32 გოლი („ტორპედო“ — 24, „გურია“ — 8)
საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგა ჩაატარა 137 მატჩი („გურია“ — 102, „ალაზანი“ — 27, „დინამო“ — 5, „ოდიში“ — 3). გაიტანა 105 გოლი („გურია“ — 81, „ალაზანი“ 23, „დინამო“ — 1)
1990-91 წლების ვერცხლის პრიზიორი
1990 — თასის მფლობელი
საქართველოს ნაკრებში ითამაშა 1 მატჩი
საქართველოს 1991 (14 გოლი) და 1991-92 (40) წლების ჩემპიონატთა საუკეთესო ბომბარდირი
თამაშობდა ავსტრიულ „ზალცბურგსა“ და „ვინერ შპორტკლუბში“, აზერბაიჯანულ „ნეფთჩიში“ და ესტონურ „ფლორაში“

„დინამოს“ გუშინდელ პრესკონფერენციაზე ახალ მწვრთნელ ოთარ კორღალიძეს ბევრი არაფერი უთქვამს, დირექტორატს მადლობა გადაუხადა, დიდი ნდობა გამომიცხადეს, ვეცდები, გავამართლოო, ცოტაც გუნდის სამომავლო ტაქტიკაზე თქვა და...

მერე „სარბიელისთვისაც“ მოიცალა, საუბარზე სიამოვნებით დაგვთანხმდა და სახელდახელო ინტერვიუც შედგა.

**— ელოდით „დინამოს“ მწვრთნელად დანიშვნას?**

— არა. მე „თბილისი“ ჩამაბარეს და მისი მომზადებით ვიყავი დაკავებული. ყველაფერი „დინამოს“ კიშინიოვის „ზიმბრუსთან“ წაგების შემდეგ მოხდა.

**— შემოთავაზებულ წინადადებას დაუფიქრებლად დათანხმდით?**

— ხუთი დღე-ღამე თითქმის გავასწორე. ვფიქრობდი, ჩემი შესაძლებლობები ავწონ-დავწონე და როცა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ გუნდის გაძღოლა შემეძლო, მხოლოდ მას შემდეგ განვაცხადე თანხმობა.

**— და არ გეშინიათ? „დინამოს“ მწვრთნელობა ხომ დიდი ტვირთია?**

— საშიში არაფერია. კლუბის დირექტორატმა ყოველმხრივი დახმარება აღმითქვა და უფლებებიც საკმაოდ დიდი მომეცა.

**— გამოცდილების გეიმედებათ?**

— ვინ იცის, ეგებ ზოგიერთი გამოუცდელი ბევრ გამოცდილსაც სჯობდეს. ისე, სამწვრთნელო პრაქტიკა არ მაკლია — ოთხი თვე ტალინის „ფლორა“ მებარა, ნახევარი სეზონი „არსენალი“, „გურიაში“ მოთამაშე-მწვრთნელი ვიყავი, თვე-თვენახევარი „თბილისშიც“ მომიწია მუშაობამ.

**— თქვენს მასწავლებლად ვის თვლით?**

— გივი ნოდიას. რაც მთავარია, სწორედ მისგან ვისწავლე ფეხბურთელებთან ურთიერთობა. სწორად გამიგეთ, შეგირდებთან ხელიხელგადახვეული არასდროს ვყოფილვარ, არც ვიქნები, ყოველთვის დისტანციაა საჭირო, მაგრამ ერთმანეთთან კაცურ ურთიერთობას, თბილ მოპყრობას არაფერი სჯობს.

**— შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ ბოსკამპის საქმეს გააგრძელებთ?**

— ბოსკამპისგან ბევრი რამ ვისწავლე, საკმაოდ ძლიერი მწვრთნელია. მისი მეთოდიც ჭკვიანურია, თუმცა ვეცდები, გუნდს ჩემი ხელი ნელ-ნელა დავატყო, ყველაფრის უმალ შეცვლა არ შეიძლება, დრო საჭირო.

**— ბოსკამპი საკმაოდ მკაცრიც იყო...**

— მეც ასევე. ურთიერთობა რომ ვახსენე, ბუნებრივია, ის არ მიგულისხმია, დასასჯელს რაიმე ვაპატიო. დისციპლინა გუნდში უპირველესია. ვინც ჩემს მოთხოვნებს არ დაემორჩილება, ვინც რეჟიმს დაარღვევს, პირველ შემთხვევაში გვარიანი თანხით დაჯარიმდება, გაიმეორებს და ტრანსფერზე დადგება. თუ გუნდის წევრი ხარ, მწვრთნელსა და პარტნიორებს ანგარიში უნდა გაუწიო. ბოსკამპს მკაცრ დისციპლინაშიც ვეთანხმები. უამისოდ გუნდი დაინგრევა.

**— კიდევ რა ისწავლეთ ბოსკამპისგან?**

— ყველაფერს ვერ ჩამოგითვლით.

**— ყველაზე მნიშვნელოვანი?**

— ბოსკამპი რომ „დინამოს“ მწვრთნელად დაინიშნა, მე კოვერჩანოს მწვრთნელთა სკოლაში გავემგზავრე. თანაც ვიცოდი, ჰოლანდიელი გუნდს ხაზზე განლაგებული მცველებით რომ ათამაშებდა. იტალიაში სწორედ ამის თაობაზე ვითხოვე რამდენიმე გაკვეთილის ჩატარება, შემდეგ ბოსკამპმაც ამიხსნა უფრო დაწვრილებით. ყოველთვის ვუყურებდი მის მიერ ჩატარებულ ვარჯიშებს, ვუსმენდი თეორიებს. ამით იმისი თქმა როდი მსურს, რომ ამიერიდან „დინამოს“ მცველებიც მუდამ ხაზზე განლაგდებიან, მაგრამ უპირატესობას ასეთი ნახაზით თამაშს ვანიჭებ. ისე კი, ტაქტიკას მოწინააღმდეგის გათვალისწინებით შევარჩევ.

**— ნოდია ახსენეთ, ბოსკამპის მეთოდები. ისიც, რომ მცველთა ხაზზე თამაშს არჩევთ, ეს კი აქცენტის თავდასხმაზე გაკეთებას ნიშნავს. ესე იგი, შემტევი ფეხბურთის მიმდევარი ბრძანდებით. ისევე როგორც ნოდია, ბოსკამპი...**

— დიახ, ასეა. ვაფასებ შეტევას, თავადაც წინ წაწეული ნახევარმცველი გახლდით. თუმცა, შეტევა უკანმოუხედავად როგორ იქნება. კარგად თავდასხმა თუ იცი, დაცვაშიც უნდა ყოჩაღობდე. ყველაფერი კი მაინც შემსრულებლებზეა. როგორი ფეხბურთელებიც გყავს, იმის შესაბამისადაც გმართებს თამაში.

**— შარშანდელი ჩემპიონატის მიწურულს „დინამოს“ მწვრთნელი, ხურცილავა, ბოსკამპით შეცვალეს, ახლაც ასე რომ მოხდეს... დავუშვათ, მწვრთნელად ვინმე სხვა, უფრო გამოცდილი სპეციალისტი ჩამოიყვანეს...**

— ეგ მოხდეს და... მერე რა, დავრჩები გუნდში. ხურცილავა „დინამოდან“ არავის გაუშვია, მან გუნდი თავის ნებით დატოვა. იგი დიდი პიროვნებაა და ბოსკამპის თანაშემწეობა არ იკადრა. მე კი დავრჩები, გამოცდილი მწვრთნელისგან კიდევ მეტს ვისწავლი. ახალგაზრდა ვარ.

**— ფეხბურთელებს უკვე შეხვდით?**

— არა.

**— არც თქვენი მწვრთნელობის ამბავი იციან?**

— არა მგონია, დღეს დამნიშნეს და...

**— გუნდთან შეხვედრისას პირველად რას გააკეთებთ?**

— ვარჯიშის წინ გავესაუბრები. ჩემსას ვეტყვი, ვინც გაიზიარებს, ხომ კარგი, ვინც არა, დავემშვიდობები.

**— თქვით, გუნდს ჩემს ხელს დავატყობო. ეს ბუნებრივია, მაგრამ არ გითქვამთ, რას შეცვლით.**

— რაღაც რაღაცები მაქვს ჩაფიქრებული.

**— კერძოდ, რა, პირველი რა იქნება?**

— ვეცდები, უკეთ ვასწავლო ბიჭებს გუნდური თამაში. მთელი გუნდით შეტევა და დაცვა, ბურთის ჯგუფურად ართმევა, მუდმივად მოძრაობა, ფიზიკური მომზადება...

**— ფიზიკურად, მგონი, კარგად არიან მომზადებულნი...**

— ბოსკამპის დამსახურებაა. დიდი მადლობა მას, ამ მხრივ მართლაც არანაირი პრობლემა არ არის და როგორი ფეხბურთის მიმდევარიც ვარ, საამისოდ ბიჭები, ვფიქრობ, მზად არიან.

**ბონა ინასარიძე**

## ინგლისი

# გულიტს მესამე ტურში გაუსამდა

III ტური

### საუთჰემპტონი 4:2 ნიუკასლი

0:1 შირერი (22პ), 1:1 კაჩლოული (58), 2:1 პახარსი (66), 3:1 კაჩლოული (68), 4:1 ჰიუზი (78), 4:2 სპიდი (84)
საუთჰემპტონი: ჯონსი, ჰილი, რიჩარდსი, ლუნდეკვამი, ბენალი, ოუკლი (რიპლი 45), ჰიუზი, კაჩლოული (ბრიჯი 88), ლე ტისიე (სოლტედტი 45), ოსტენსტადი, პახარსი
ნიუკასლი: კარლსი, ბარტონი, დომი, შირერი, ქეცბაია, სპიდი, გომა, ჰიუზი, სოლანო, სერანტი (მარიჩი 13, რობინსონი 71), დაიერი
გაფრთხილება: ჰიუზი, ბენალი
მსაჯი: ელერეი

### მანჩესტერი 2:0 ლიდსი

1:0, 2:0 იორკი (76, 80)
მანჩესტერი: ბოსნიჩი (ვან დერ გოუ 21), ნევილი, ირვინი, ბერგი, სტამი, ბექემი, კინი, სქოულზი (ბათი 69), კოული, იორკი (შერინგემი 81), გიგზი
ლიდსი: მარტინი, ჰარტი (ჰიდენი 75), რადებე, ვუდგეიტი, ბრიჯისი (ჰოფკინი 19), კიუელი (ბეკი 83), ბაუერი, ჰაკერბი, მილსი, დაბერი, ბატი
გაფრთხილება: გიგზი
მსაჯი: ბერი

### ბრედფორდი 1:1 შეფილდი

0:1 დრეიერი (39 ს.კ.), 1:1 ბიგრი (89პ)
ბრედფორდი: უოლში, ჰალე, ვეზეროლი, დრეიერი, ჯაკობსი, ლაურენსი (სონდერსი 62), რედფერნი, ვილი, ბიგრი, უინდასი, მილსი
შეფილდი: პრესმანი, ატერტონი, ტომი, უოლკერი, ნიუსომი, ჰინჩკლიფი (ბრისკო 48), იონკი (ბუთი 78), რუდი, ალექსანდერსონი, კარბონე, დე ბილდე (დონელი 78)
გაფრთხილება: ვეზეროლი, ბიგრი, ნიუსომი
მსაჯი: გალაჰერი

### ლესტერი 2:2 ჩელსი

1:0 ჰესკი (10), 1:1 უაიზი (48), 2:1 იზეტი (90პ), 2:2 სინკლერი (90 ს.კ.)
ლესტერი: ფლაუერსი, სინკლერი, ტაგარტი (გილკრისტი 86), იზეტი, ლენონი, ჰესკი, გუპი, სავიჯი, ელიოტი, იმპი, კოტი (მარშალი 72)
ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ, ბაბაიარო, ჰოგი, ლებეფი, პოიეტი, უაიზი, ლე სო (გოლდბეკი 23), ფერერი, ფლო, ძოლა (სატონი 69)
გაფრთხილება: ლენონი, ელიოტი, უაიზი, პეტრესკუ, პოიეტი, ბაბაიარო, ფერერი
მსაჯი: ლოჯი

### სანდერლენდი 0:0 არსენალი

სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, ბოულდი (ჰელმერი 54), ბატლერი, გრეი, ბელი, სამერბი, რეი, შვარცი, ოსტერი (მაკენი 45), ფილიპსი (ქუინი 78)
არსენალი: მენინგერი, დიქსონი, კიოუნი, უპსონი, სილვინიო, პარლოუ, ვიეირა, პეტი (ლუნგბერგი 41), ანრი, ბერხკამპი (ბოა მორტე 45), კანუ
გაფრთხილება: ბელი, შვარცი, მაკინი, ვიეირა, უპსონი, დიქსონი
მსაჯი: რენიე

### ტოტენჰემი 3:2 ევერტონი

0:1 ანსუორთი (24პ), 1:1 შერვუდი (34), 1:2 ანსუორთი (77პ), 2:2 ლეონარდსენი (82), 3:2 ივერსენი (86)
ტოტენჰემი: უოლკერი, კერი, პერი, სკაილზი, ტარიკო, ანდერტონი (ფროინდი 85), შერვუდი, ლეონარდსენი, ჟინოლა, ივერსენი, ფერდინანდი
ევერტონი: ჟერარდი, ვეიერი, გაფი, ანსუორთი, დინი, უორდი (კლელანდი 72), ჯემილი (ჰატჩისონი 72), კოლინზი, ბარმბი, კემპბელი, ჯეფერსი (კადამარტერი 80)
გაფრთხილება: უოლკერი, ჯემილი, უორდი
მსაჯი: ელკოქსი

### უიმბლდონი 1:1 ქოვენთრი

1:0 კორტი (67), 1:1 მაკალისტერი (90პ)
უიმბლდონი: სილივანი, კანინგემი, რობერტსი, ბლექველი, ტაჩერი, კორტი, ერლი (ეუელი 59), ჰართსონი, გეილი (ერდლი 79), პედერსენი, ანდერსენი
ქოვენთრი: ჰედმანი, ბაროუზი, უილიამსი, შოუ, ველანი, ალოიზი, მაკალისტერი, ჰაჯი (ფროგატი 76), ტელფერი, ბრენი, ჩიპო
გაფრთხილება: ჰართსონი, პედერსენი
მსაჯი: ჰესლი

### დერბი 1:3 მიდლსბრო

0:1 დინი (9), 0:2 ციგე (20), 1:2 ბარტონი (41), 1:3 რიკარდი (66პ)
დერბი: პოომი, პრიორი, ლაურსენი, კარბონარი, ერანიო (ბოჰინენი 71), პოუელი, იონსონი, დელაპი, ბაიანო (ბორბოკისი 46), ბეკი (შნური 46), ბარტონი
მიდლსბრო: შვარცერი, ციგე, ვიკერსი, ფესტა, გორდონი (თაუნსენდი 59), სტამპი, ინსი, მუსტო, ონილი, დინი, რიკარდი (არმსტრონგი 83)
გაფრთხილება: კარბონარი, ბარტონი, ბოჰინენი, ციგე, ონილი
მსაჯი: ბენეტი

### ლივერპული 0:1 უოტფორდი

0:1 მუნი (14)
ლივერპული: ვესტერველდი, მატეო, ჰიპია, კარაგერი, ჰეგემი (სონგი 81), ბერგერი, რედნაპი, გერარდი (ტომპსონი 57), შმიცერი (რიდლე 62), ფაულერი, კამარა
უოტფორდი: დეი, ლიტლი, კენედი, პალმერი, პაჯი, რობინსონი, ნგონგე (ფოლი 69), ჰიდი, მუნი, იონსონი (ისტონი 52), უილიამსი
გაფრთხილება: ტომპსონი, პაჯი, მუნი
მსაჯი: უიკლი

### ასტონ ვილა 2:2 ვესტ ჰემი

1:0 დაბლინი (5), 1:1 საუთგეიტი (7ს.კ.), 2:1 დაბლინი (53), 2:2 სინკლერი (90)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, დილენი, საუთგეიტი, ეპიოგუ, კალდერვუდი, რაიტი, ტეილორი, ბოატენგი (ჰენდრი 46), თომფსონი (სტოუნი 88), დაბლინი, იოაკიმი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, პოტსი, მინტო, ფერდინანდი, პირსი, სინკლერი, ფოე, მონკური (კიტსონი 82), ლამპარდი, დი კანიო, ვანჩოპე
გაფრთხილება: ლემპარდი, მონკური, რაიტი
მსაჯი: რილი



REUTERS საუთჰემპტონიდან

საუთჰემპტონი — ნიუკასლი 4:2. თემურ ქეცბაია თავის გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო

რუუდ გულიტს კრიტიკა არ აკლდა, „საუთჰემპტონმა" კი ჭრილობაზე მარილი მოაყარა — გოლით ჩამორჩენილმა საქმის მოტრიალება და ნიუკასლელთა დამარცხება შეძლო. ამრიგად, დიდი ჰოლანდიელის, ჩვენთვის კი ქართველი ფეხბურთელის თემურ ქეცბაიას გუნდმა პრემიერლიგის ახალდაწყებულ სეზონში ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია.

წინა ტურებში განსაკუთრებული კრიტიკის ობიექტს გულიტისეული დაცვა წარმოადგენდა, რომელმაც არც ამჯერად უღალატა საძაგელ ტრადიციას — მეორე ტაიმში ოთხი გოლი გაუშვა, რომელთაგან სამის ათ წუთში მოახერხა.

ისევე, როგორც მეორე მატჩში, „ტოტენჰემ ჰოთსპურის" წინააღმდეგ („ნიუკასლმა 1:3 წააგო), გულიტელებმა ამჯერადაც მეტოქეზე უკეთ დაიწყეს და შედეგიც შესაბამისი ჰქონდათ: კეირონ დაიერი კლაუს ლუნდეკვამმა წააქცია, რისთვისაც პენალტი დაინიშნა. თერთმეტმეტრიანიდან ალან შირერმა დაარტყა უშეცდომოდ.

აღსანიშნავია, რომ ინგლისის 21 წლამდელთა ნაკრების მოთამაშე დაიერი ამის შემდეგაც უქმნიდა მასპინძლებს პრობლემებს და შირერის პენალტიდან ოთხი წუთის შემდეგ კინაღამ გაზარდა ანგარიში, მაგრამ მეორე ტაიმში მოედანზე უკვე სხვა სურათი გამოიხატა. „საუთჰემპტონის" გაყოჩაღება ორმა ცვლილებამ გამოიწვია, მინდორზე რიპლი და სოლტედტი გამოჩნდნენ.

ცვლილებებმა ნაყოფი გამოიღო. რიპლიმ, რომელიც „ბლექბერნ როვერსის" შემადგენლობაში გახლდათ პრემიერლიგის ჩემპიონი, მარჯვენა ფრთაზე ორ მოწინააღმდეგეს ჩაურბინა და მაროკოელ თანაგუნდელს, ჰასან კაჩლულს გამოზომილი პასი ჩააწოდა. რვა წუთის შემდეგ იმავე რიპლიმ სტუმართა დაცვის სიღრმეში გონივრულად შეაგდო ბურთი, რომელსაც ლატვიელი მარიან პახარსი შეჰყვა და მეორე გოლი გაიტანა „ნიუკასლ იუნაიტედის" კარში. ამის შემდეგ მესამე გოლის ჯერი დადგა. უელსის ნაკრების მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა ზემოხსენებულ კაჩლულს დაუგდო ბურთი — მაროკოელმა შეცდომა არ დაუშვა, ხოლო თავაზიანობას თავაზიანობითვე უპასუხა და ათ წუთში ჰიუზს გაატანინა შეხვედრის ყველაზე ლამაზი გოლი.

საფინალო სასტვენამდე ხუთიოდ წუთით ადრე ანგარიშის სხვაობა გარი სპიდმა შეამცირა, მაგრამ მხოლოდ სხვაობის შემცირება საბრალო რუუდ გულიტისთვის, ბუნებრივია, ბევრი ვერაფერი ნუგეში იქნებოდა.

რაკიღა ისევ ნიუკასლელთა ჰოლანდიელი მწვრთნელი ვახსენეთ, მასთან დაკავშირებით ისიც აღვნიშნოთ, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ მას სასჯელი გამოუტანა, რადგან ჰოლანდიელმა პირველი ტურის შეხვედრის არბიტრის მიმართ უპატივცემულობა გამოამჟღავნა. გეხსომებათ, რომ ამ მსაჯმა, მაშინ, მოედნიდან გააძევა ნიუკასლელთა კაპიტანი და ბომბარდირი ალან შირერი, არადა, ფეხბურთელი აქამდე კარიერაში არავის გაეძევებინა.

„ნიუკასლზე" ასეთი დაწვრილებითი საუბრის შემდეგ აღიარებული ლიდერები, „არსენალი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" მოვიკითხოთ.

ლონდონელებმა სანდერლენდში ერთობ არაფრისმთქმელი ფეხბურთი ითამაშეს. „არსენალის" ჰოლანდიელი ვარსკვლავი, დენის ბერხკამპი ყოფილ თანაგუნდელ სტივ ბოულდთან ერთობ სასტიკი შეჯახების გამო დაემშვიდობა მოედანს. საექიმო კაბინეტში გადაინაცვლა ბოულდმაც. ბუნებრივია, „არსენალთან" ფრემ „სანდერლენდი" ერთობ გაახარა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა" კი „ლიდსს" მოუგო 2:0. ორივე გოლი ერთმა და იმავე ფეხბურთელმა, დუაიტ იორკმა გაიტანა. მისი ორივე გოლი თავური გახლდათ.

თავიდან იორკმა ჩინებულად აუღო ალღო ფილიპ ნევილის ჩაწოდებულს, ხოლო რაღაც ოთხ წუთში დევიდ ბექემმა საჯარიმოდან თავისებურად ჩაჰკიდა და ფორვარდმა ამჯერადაც იყოჩაღა.

„მანჩესტერ იუნაიტედთან" დაკავშირებით აღსანიშნავია მისი ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის, როი კინის ამბავიც. „ლიდს იუნაიტედთან" გამარჯვების შემდეგ გავრცელებულ განცხადებაში კლუბი წერს: „მანჩესტერ იუნაიტედი" გულდაწყვეტილია, რომ კინმა, ივლისიდან დაწყებული, მრავალი ცდისა და მოლაპარაკებების მიუხედავად, არ განაახლა კლუბთან კონტრაქტი, მაგრამ ჩვენთვის მისი ლოგიკა გასაგებია. იმედი მაინც გვაქვს, რომ კინი კარიერის ბოლომდე „იუნაიტედის" ფეხბურთელად დარჩება, ხოლო კლუბის თანამშრომლები და მით უფრო გულშემატკივრები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს".

მოკლედ, 28 წლის მოთამაშემ კლუბთან კონტრაქტი არ განაახლა და განაცხადა, ჩემს მომავალს სეზონის ბოლომდე გავარკვევო.

მესამე ტურში საინტერესო თამაშმა უწია „ტოტენჰემ ჰოთსპურს". „ევერტონმა" მას ორი პენალტი გაუტანა, ორივეს მიზეზი გოლკიპერის, იან უოკერის მიერ ფრენსის ჯეფერსის წაქცევა გახლდათ და ორივე დევიდ ანსუორთმა გაუტანა, მაგრამ ლონდონელებმა იხტიბარი არ გაიტეხეს და 3:2 გაიმარჯვეს. ერთი გოლი ტიმ შერვუდმა შეაგდო, ხოლო ორი ნორვეგიელებმა, ოივინდ ლეონარდსენმა და სტეფენ ივერსენმა გაიტანეს.

**მიხეილ სურგულაძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:1 | 6 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 2 | ასტონ ვილა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 3 | არსენალი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 4 | ტოტენჰემი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 3 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 5 | მიდლსბრო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 3 | 6 |
| 6 | საუთჰემპტონი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | -1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 7 | ჩელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 8 | ვესტ ჰემი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 9 | ლიდსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 |
| 10 | ბრედფორდი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 11 | უიმბლდონი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 0 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 |
| 12 | ლესტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 13 | სანდერლენდი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |
| 14 | ლივერპული | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 15 | უოტფორდი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 |
| 16 | ქოვენთრი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | -2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 17 | დერბი ქაუნთი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 18 | ევერტონი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 0 |
| 19 | შეფილდ უენსდი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | -4 | 1 |
| 20 | ნიუკასლი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | -4 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| იორკი (მანჩესტერი) | 4 |
| ბრიჯისი (ლიდსი) | 3 |
| რიკარდი (მიდლსბრო) | 3 |
| კორტი (უიმბლდონი) | 3 |

### IV ტური

21 აგვისტო

არსენალი — მანჩესტერი
ჩელსი — ასტონ ვილა
ქოვენთრი — დერბი
ევერტონი — საუთჰემპტონი
ლიდსი — სანდერლენდი
მიდლსბრო — ლივერპული
ნიუკასლი — უიმბლდონი
შეფილდი — ტოტენჰემი
უოტფორდი — ბრედფორდი
ვესტ ჰემი — ლესტერი

## I დივიზიონი

III ტური

### ბარნსლი 2:3 კრისტალ პალასი

0:1 როჯერი (23), 1:1 ბერნარდი (44პ), 1:2 ოსტინი (60), 2:2 შერონი (64), 2:3 ბრადბერი (75)

### ბოლტონი 2:1 ქუინზ პარკი

1:0 ჰოლდსუორტი (11პ), 1:1 პიკოკი (38პ), 2:1 გუდიონსონი (63)

### ფულემი 0:0 სიტი

### ნორვიჩი 0:1 ბირმინგემი

0:1 მაკართი (11)

### ნოტინგემი 2:1 გრიმსბი

1:0 ფრიდმანი (26), 1:1 გროვესი (49პ), 2:1 პალმერი (87)

### პორტ ვეილი 1:2 ვესტ ბრომვიჩი

0:1 ჰიუზი (14), 1:1 მინტონი (38პ), 1:2 კილბანი (55)

### შეფილდ იუნ. 1:1 უოლსოლი

1:0 მერფი (1), 1:1 უარკი (38)

### სტოკპორტი 2:1 ტრანმერი

0:1 ჰენრი (33), 1:1 კონელი (79), 2:1 დინინგი (85პ)

### ვულვზი 1:1 პორტსმუთი

0:1 ალენი (36), 1:1 კინი (48)

### ჰადერსფილდი 3:2 ბლექბერნი

1:0 გრეისონი (26ს.კ.), 2:0 სტიუარტი (51), 2:1 კარლსლი (65), 2:2 ბრუმესი (90), 3:2 ედვარდსი (90)

### სვინდონი 1:4 იფსვიჩი

1:0 გრაციოლი (16), 1:1 ჯონსონი (45), 1:2, 1:3 ნეილორი (55, 68), 1:4 ჯონსონი (73)

### ქრიუ — ჩარლტონი

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იფსვიჩი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| სტოკპორტი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| პორტსმუთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| კრ. პალასი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ბირმინგემი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ვესტ ბრომვიჩი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ვულვერჰემპტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბოლტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ჩარლტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ქუინზ პარკი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ჰადერსფილდი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| ნოტინგემი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ფულემი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| უოლსოლი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ქრიუ | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბლექბერნი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ნორვიჩი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| პორტვეილი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ტრანმერი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| სიტი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| შეფილდ იუნ. | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| სვინდონი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| გრიმსბი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ბარნსლი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |

## II დივიზიონი

ბლექპული — რექსემი 2:1; ბორნმუთი — კემბრიჯი 2:1; როვერსი — ბრენტფორდი 0:0; ბერი — ჯილინგემი 2:1; კარდიფი — მილუოლი 1:1; ჩესტერფილდი — კოლჩესტერი 0:1; ნოტსი — ლუტონი 0:0; ოლდემი — პრესტონი 0:1; რედინგი — ბრისტოლი 2:1; სტოკი — ოქსფორდი 1:2; უიგანი — სკანთორპი 3:0; უიკომბი — ბარნლი 1:1

## III დივიზიონი

ბრაიტონი — მანსფილდი 6:0; კარლაილი — ლეიტონი 2:1; ჩელტენემი — როჩდეილი 0:2; ჩესტერი — ბარნეტი 0:2; ექსეტერი — ჰალი 1:0; ჰალიფაქსი — დარლინგტონი 0:1; ლინკოლნი — როტერჰემი 2:1; მაკლსფილდი — ნორთჰემპტონი 1:0; პეტერბრო — ჰარტლპული 2:1; შრუსბერი — ტორკი 1:2; საუთენდი — პლიმუთი 2:1; იორკი — სუონსი 1:0

## გერმანია

I ტური

### ლაუტერნი 1:0 დორტმუნდი

1:0 მარშალი (66)
კაიზერსლაუტერნი: რენკე, კომლიენოვიჩი, რამზი, კოხი, შიონბერგი, ვაგნერი, სფორცა (ჯორკაეფი 68), ხრისტოვი (რაიხი 85), ბუკი, მარშალი, პეტერსონი (ტარე 89)
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, როიტერი, კოლერი, რიკენი (რეინა 68), სტევიჩი, ნერლინგერი (მიოლერი 72), დედე, ბობიჩი, ჰერლიხი (იკპება 82), ბარბარესი
გაფრთხილება: მარშალი, რამზი, რაიხი, შიომბერგი, ვაგნერი, დედე, კოლერი, რიკენი, სტევიჩი
გაძევება: ბარბარესი
მსაჯი: ჰაინემანი

### დუისბურგი 0:0 ლევერკუზენი

დუისბურგი: სტაუჩე, ემერლინგი, მ. შნაიდერი, ვოლეტი, ოსთჰოფი, ჰაიტო, ტიოფტინგი (ზაიერი 68), ჰირხი, ვოლტერსი, ბუგერა (ანდერსენი 74), ბაიერლე
ლევერკუზენი: მატიშეკი, ჟივკოვიჩი, რ. კოვაჩი, ნოვოტნი, ჰაპე, რამელო, ბ. შნაიდერი (მამიჩი 80), ბალაკი, პონტე (ჰეიდუკი 89), ნოივილი (ბრდარიჩი 74), კირსტენი
გაფრთხილება: ემერლინგი, ჰაიტო, ოსთჰოფი, პონტე, რამელო
გაძევება: ჟივკოვიჩი
მსაჯი: ვაკი

### შტუტგარტი 0:0 ვერდერი

შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ტოდტი, ბორდონი, კელერი, სოლდო, ჯორჯევიჩი (ენდრესი 58), კარნელი, ბალაკოვი, განეა (კატიცონე 67), კუკა (დანდი 76)
ვერდერი: ფ. როსტი, ფ. ბაუმანი, ბარტენი, ტიკუზუ (დაბროვსკი 73), ვიდენერი, ფრინგსი, აილტსი, ვიკი, მაქსიმოვი, ზეიდელი (ბოგდანოვიჩი 72), ბოდე
გაძევება: სოლდო
მსაჯი: დარდენე

### ბაიერნი 2:2 ჰამბურგი

1:0 ბაბელი (33), 1:1 ნ. კოვაჩი (35), 1:2 პრაგერი (83), 2:2 ელბერი (90)
ბაიერნი: დრეერი, მათეუსი (შტრუნცი 63), ბაბელი, ლინკე, ლიზარაზუ, იერემისი (ელბერი 72), ტარნატი, შოლი, სილიჰამიჯიჩი (ბასლერი 67), ციკლერი, იანკერი
ჰამბურგი: ბუტი, გრავესენი, ჰერტცხი, პანადიჩი, ნ. კოვაჩი, გროტი, გრამოზისი, კარდოზო (ფ. ერნსტი 90), მაჰდავიკია, პრაგერი, იებოა (ჰაშემაინი 63)
გაფრთხილება: იანკერი, შოლი, კარდოზო
მსაჯი: მერკი

### შალკე 1:1 არმინია

1:0 ნემეცი (45), 1:1 ლაბადია (67პ)
შალკე: რეკი, დე კოკი, ვალდოხი, ტონი, აიგენრაუხი (ჰელდი 79), ბუსკენსი, ნემეცი, გოსენსი, ვილმოტსი, ასამოა, სანდი
არმინია: კოხი, სტრატოსი, პეტერსი, ბორგესი, ჰოფშნაიდერი (ვატერინკი 53), მაისნერი, ვიდლევიცი, მ. ვაისენბერგერი (ბიომე 61), მაული, ვან დერ ვენი (გიოქტანი 65), ლაბადია
გაფრთხილება: მ. ვაისენბერგი
მსაჯი: შტაინბორნი

### აინტრახტი 3:0 უნტერჰახინგი

1:0 გუე-ნიენი (38), 2:0 ფიორტოფტი (47), 3:0 სალუ (88)
აინტრახტი: ნიკოლოვი, იანსენი, ბინდევალდი, კრახტი, ცამპახი (დომბი 46), ვებერი, გუე-ნიენი, ჰელდტი (ფალკი 68), გებარდტი, სალუ, ფიორტოფტი (იანგი 85)
უნტერჰახინგი: ვიტმანი, ბერგენი, სეიფერტი, გრასორი, შტრემელი, მატ. ციმერმანი (მარკ ციმერმანი 71), შვარცი, კიოგლი, ობერლაიტნერი, რაკლი (ბ ერტლი 71), საიცი
გაფრთხილება: ფიორტოფტი, ვებერი, მატ. ციმერმანი, შვარცი
გაძევება: კიოგლი
მსაჯი: კემლინგი

### ვოლფსბურგი 2:1 მიუნხენი

0:1 ტომსენი (17), 1:1 ბანზა (75), 2:1 ნოვაკი (89)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ონილი, ტომსენი, კრიგერი, ნოვაკი, გრეინერი, ვაიზერი (ბაუმგარდტი 74), ჩ. აკონორი, მუნტიანუ (ბანზა 52), იუსკოვიაკი (ვუკი 52), აკპობორი
მიუნხენი: ჰოფმანი, ვანენბურგი, ჟელიჩი, კურცი, ტისე, პროსენიკი, ჩერნი, პურკი, ჰესლერი, შროტი, მაქსი
გაფრთხილება: ტომსენი, ჩერნი
გაძევება: ჟელიჩი, პროსენიკი
მსაჯი: ფანდელი

### ჰერტა 5:2 ჰანზა

0:1 რ. შნაიდერი (7), 1:1 ელერსი (14), 2:1 დაეი (33), 3:1 ვოში (51), 4:1 ტრეტჩოკი (61), 4:2 არვიდსონი (68), 5:2 დაისლერი (76)
ჰერტა: ტირალი, კონსტანტინიდისი, ჰერცოგი, სვერისონი, დაისლერი (სანე 77), დარდაი, ტრეტჩოკი, ჰარტმანი, ვოში (შმიდტი 79), პრეეცი, დაეი (არაჩიჩი 58)
ჰანზა: პიკენჰაგენი, რ. შნაიდერი (ოსვალდი 71), ვეილანდტი, ელერსი, ლანგე (რამდენე 46), ვიბრანი, იასერი, მაიაკი, ბრეიკროიცი, აგალი, კოვაჩეჩი (არვიდსონი 54)
გაფრთხილება: დარდაი, სვერისონი, ელერსი, ვიბრანი
მსაჯი: კრუგი

### ულმი 1:1 ფრაიბურგი

0:1 გრაუერი (2), 1:1 გორა (48პ)
ულმი: ლაუქსი, ბოდოგი, გრაუერი, შტადლერი, რადოკი (მარკესი 80), პლოილერი, ოტო, გორა, როსლერი (უნსოლდი 75), ვან დერ ჰარი, ჟდრილიჩი (ტრკულია 46)
ფრაიბურგი: გოლცი, ჰერმელი, შუმანი (მიულერი 46), კონდე, ვილი (კოლი 48), ზაიერი, გიუნეში, ბაია, კობიაშვილი, ბენ სლიმანი, ფ. ბრუნსი (ჰამპლი 80)
გაფრთხილება: გორა, ოტო, როსლერი, ჰერმელი, კონდე, შუმანი
მე-60 წუთზე კობიაშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი
მსაჯი: ფროლიხი



ბაიერნი — ჰამბურგი 2:2. ჰამბურგელი ტონი იებოა (№17) ბავარიელი ტომას ლინკეს წინააღმდეგ

REUTERS მიუნხენიდან

# რაც ცუდი უნდა ყოფილიყო, კარგი გახდა

ბრაზილიელი ელბერის მიერ ბოლოწამს გატანილმა გოლმა გერმანიის ჩემპიონი, მიუნხენის „ბაიერნი", ახალი პირველობის პირველსავე შეხვედრაში მარცხს გადაარჩინა.

ჯოვანი ელბერს ტრავმამ ექვსი თვე გააცდენინა და აი, საზეიმო დაბრუნება: მუხლმორჩენილმა მიუნხენელმა, რომელიც მოედანზე შემცვლელად შევიდა, ზუსტი თავური დარტმით იხსნა ჩემპიონთა თასის გასული გათამაშების ფინალისტი.

„ჰამბურგი", რომელიც ბრაზილიელის საბედისწერო დარტყმამდე ნიკო კოვაჩისა და ახალწვეული როი პრეგერის მეცადინეობით 2:1-ს იგებდა, ისტორიულ მომენტთან ძალიან ახლოს გახლდათ — ამ კლუბს მიუნხენში, „ბაიერნთან" ისტორიაში ერთადერთხელ, 1982 წელს ჰქონდა მოგებული 4:3.

ანგარიში „ბაიერნმა" გახსნა. მცველის, მარკუს ბაბელის თავურმა, რომელიც მიხაელ ტარნატის ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა, ტაბლოზე 1:0 აანთო, მაგრამ გამოხდა ორი წუთი და სტუმართა ხორვატმა ნახევარმცველმა, ნიკო კოვაჩმა, წონასწორობა აღადგინა.

აღსანიშნავია, რომ მიუნხენელებს ორი წამყვანი ფეხბურთელი, მეკარე ოლივერ კანი და გამთამაშებელი შტეფან ეფენბერგი აკლდათ. ორივენი დაშავებულნი არიან. არ იყო ორი მნიშვნელოვანი შენაძენიც, ბრაზილიელი ნახევარმცველი პაულუ სერჟიო და პარაგვაელი თავდამსხმელი, ყმაწვილკაცი როკე სანტა კრუსი. პაულუ სერჟიოს საზარდული ჯერაც არ დაამებია, ხოლო საგანგებოდ ნიჭიერ კაცად მიჩნეული სანტა კრუსი მხოლოდ შემდგომ კვირაში მიიღებს თამაშის უფლებას.

„შეხვედრის წინ რომ გეკითხათ, გიპასუხებდით, ფრე 2:2, ცუდი შედეგია — მეთქი. ჩვენ ძალიან გვჭირდებოდა გამარჯვება, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ბოლოს ოღონდ ფრისთვის მიგვეღწია და სხვას აღარაფერს ვნატრობდი" — განაცხადა მატჩის შემდეგ მიუნხენელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა.

ჰამბურგელთა გუნდის თავკაცი, ფრანკ პაგელსდორფი კი აღელვებული ჩანდა, მაგრამ იმავდროულად არც უკმაყოფილო გახლდათ.

„მიუნხენში მატჩის 2:2 დასრულება აშკარად კარგი შედეგია, თუმცა გამარჯვებასთან ასე ახლოს ყოფნა და ბოლოწამს მისი ხელიდან გაშვება, დამეთანხმებით, ძალიან გულდასაწყვეტი რამ გახლავთ. „ბაიერნიც", თავის მხრივ, იმსახურებდა ფრეს, ვინაიდან ერთი წამითაც არ შეგუებია დამარცხებას" — აღნიშნა მან.

„კაიზერსლაუტერნმა" დორტმუნდის „ბორუსიას" 1:0 სძლია. ეს ერთადერთი გოლი დორტმუნდელთა კარში გერმანიის ეროვნული გუნდის თავდამსხმელმა ოლაფ მარშალმა გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ „ბორუსიამ" ბოლო 14 წუთი რიცხვობრივ უმცირესობაში ითამაშა: მსაჯისთვის ღრიალის გამო წითელი ბარათი ბოსნიელმა ნახევარმცველმა სერგეი ბარბარესმა იხილა.

მეორე ბუნდესლიგის გამარჯვებულმა ბილეფელდის „არმინიამ" გულშემატკივრებს ასიამოვნა და იმედი ჩაუსახა. „არმინია" „შალკესთან" 0:1-ს აგებდა, მაგრამ შეხვედრის ფრედ დამთავრება მოახერხა.

1997 წლის უეფას თასის მფლობელი ჩეხი ნახევარმცველის, ირჟი ნემეცის, გოლის წყალობით დაწინაურდა, თუმცა გერმანიის ნაკრებში ნათამაშევმა თავდამსხმელმა ბრუნო ლაბადიამ, რომელიც გასულ სეზონში მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ, ბილეფელდელების გასახარად ანგარიში გაქვითა.

„უნტერჰახინგს" კი ბუნდესლიგაში ცუდი დებიუტი ჰქონდა — ფრანკფურტში, „აინტრახტთან" 0:3 წააგო. „აინტრახტი", მოგეხსნებათ, ის გუნდია, რომელიც გასულ სეზონში გავარდნას ებრძოდა და მისდა საბედნიეროდ ეს ბრძოლა წარმატებით დაასრულა, ახალ სეზონში კი, როგორც ხედავთ, სტარტი ერთობ წამრატებული და კეთილის მანიშნებელი გამოუვიდა. ამ შეხვედრაში სტუმრებს ვეტერანი ნახევარმცველი, ლუდვიგ კიოგლი გაუძევეს მოედნიდან. მიზეზი: კიოგლმა ორჯერ დაიმსახურა ყვითელი ბარათი.

გასული ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი, ლევერკუზენის „ბაიერი", დუისბურგში სტუმრობისას მეათხე წუთზევე კაცნაკლული დარჩა მოედანწე — მეტოქე თავდამსხმელის, მარკუს ბაიერლეს წაქცევისთვის ხორვატი მცველი, ბორის ჟივკოვიჩი გაუძევეს.

მატჩის საუკეთესო შანსი ლევერკუზენელთა ახალ შენაძენს ოლივერ ნოივილს ჰქონდა, მაგრამ შესვენებიდან სამ წუთში მის მიერ ახლოდან დარტყმული ბურთი მიზანს აცდა.

**ბაბუნა ძედია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ჰერტა | 1 | 1 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 | აინტრახტი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 | ვოლფსბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 | ლაუტერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 5 | ბაიერნი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 | ჰამბურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 7 | შალკე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 8 | არმინია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 9 | ულმი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 10 | ფრაიბურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 11 | დუისბურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 12 | ლევერკუზენი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 13 | შტუტგარტი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 14 | ვერდერი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 15 | მიუნხენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | −1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | −1 | 0 |
| 16 | დორტმუნდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | −1 | 0 |
| 17 | ჰანზა | 1 | 0 | 0 | 1 | 2:5 | −3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:5 | −3 | 0 |
| 18 | უნტერჰახინგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | −3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | −3 | 0 |

### II ტური

21 აგვისტო

მიუნხენი - ულმი
არმინია - ჰერტა
დორტმუნდი - ვოლფსბურგი
ფრაიბურგი - აინტრახტი
უნტერჰახინგი - დუისბურგი
ჰამბურგი - შტუტგარტი
ვერდერი - შალკე
ლევერკუზენი - ბაიერნი
ჰანზა - ლაუტერნი

## მეორე ბუნდესლიგა

I ტური

### ხემნიცი 2:0 გლადბახი

1:0, 2:0 დიტგენი (73, 87)

### ზტ. პაული 0:0 ფიურტი

### კოტბუსი 2:0 ფორტუნა

1:0 ლატუნდი (61), 2:0 ლაბაკი (84)

### მაინცი 1:1 ოფენბახი

1:0 დემანდტი (35), 1:1 შტონი (40)

### კიოლნი 1:0 ობერჰაუზენი

1:0 შპრინგერი (71)

### ნიურნბერგი 3:0 მანჰეიმი

1:0 ციმერი (5), 2:0 ფაინბიერი (66), 3:0 კოსი (70)

### ალემანია 4:1 კიკერსი

1:0 ბერტოლდი (37), 1:1 ტ. მარიჩი (44), 2:1 ლემერმანი (50), 3:1 დიანე (76), 4:1 ჰეერენი (87)

### ჰანოვერი 2:3 ბერლინი

0:1 კოპადო (14), 1:1 კროიცი (18პ.), 2:1 ლინკე (24), 2:2 ჩირიჩი (33), 2:3 ოუაკილი (68)

### კარლსრუე — ბოხუმი

*იხილეთ მე-16 გვერდი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალემანია | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ნიურნბერგი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ხემნიცი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| კოტბუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ბერლინი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| კიოლნი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| მაინცი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ოფენბახი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ზტ. პაული | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ფიურტი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| კარლსრუე | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ბოხუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ჰანოვერი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ობერჰაუზენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| გლადბახი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ფორტუნა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| კიკერსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| მანჰაიმი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

## შოტლანდია

III ტური

**დანდი იუნ. 2:1 სელტიკი**
1:0 ისტონი (12), 2:0 დოდზი (41), 2:1 ბერკოვიჩი (82)

**რეინჯერსი 4:1 მოზერუელი**
1:0, 2:0, 3:0, 4:0 მოლსი (42, 45, 69, 81), 4:1 მაკალოხი (90)

**სტ. ჯონსტონი 2:0 კილმარნოკი**
1:0 ბოლანი (53), 2:0 ლაუდენსი (58)

**აბერდინი 0:2 დანდი**
0:1, 0:2 ფალკონერი (29, 39)

**ჰიბერნიანი 1:1 ჰართსი**
1:0 ლატაპი (42პ), 1:1 მაკსვიგანი (79)

„რეინჯერსის" ჰოლანდიელი მიხაელ მოლსი შეუჩერებელი ხდება. ევროთასების გათვალისწინებით, ბოლო სამ კვირაში მან უკვე შვიდი ბურთი გაიტანა. ამ უქმეებზე მოლსისა და „რეინჯერსის" მსხვერპლი „მოზერუელი" გახდა. ჩემპიონებმა 4:1 მოუგეს მოწინააღმდეგეს და ოთხივე გოლი მოლსის ანგარიშზეა. სტუმარმა მაკალხმა მხოლოდ ბოლო წუთზე შეძლო ერთი საპასუხო ბურთის შეგდება.

„რეინჯერსისთვის" ეს უქმეები ორმაგად სასიხარულო გამოდგა. მთავარმა კონკურენტმა და მოსისხლე მტერმა „სელტიკმა" ჯონ ბარნსის მწვრთნელობით პირველად წააგო და ჩემპიონებიც სატურნირო ცხრილს კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობენ. 5 გოლით მოლსი ტურნირის ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა. 3-3 ბურთი კი მისმა ამერიკელმა თანაგუნდელმა კლაუდიო რეინამ, სელტიკელმა მარკ ვიდუკამ, დანდელმა ვილი ფალკონერმა, ჰიბერნიანელმა დირკ ლემანმა და მოზერუელელმა ლი მაკალხმა გაიტანეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 9 |
| დანდი იუნ. | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| სელტიკი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:2 | 6 |
| ჰიბერნიანი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:6 | 5 |
| ჰართსი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| დანდი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:6 | 3 |
| კილმარნოკი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| სტ. ჯონსტონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | 3 |
| მოზერუელი | 3 | 0 | 2 | 1 | 5:8 | 2 |
| აბერდინი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:9 | 0 |



REUTERS

რეინჯერსი — მოზერუილი 4:1. გლაზგოელი ტონი ვიდმარი მოზერუელელ რობ მატეის გაექცა

## ნორვეგია

XIX ტური. ბრანი — სტრიომსგოდსეტი 2:2; მოსი — ლილესტრიომი 1:3; ოდ გრენლანდი — ტრომსიო 2:1; რუსენბორგი — ვოლერენგა 4:2; სკეიდი — მოლდე 3:5; სტაბეკი — კონგსვინგერი 1:1; ვიკინგი — ბოდიო გლიმტი 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 19 | 14 | 2 | 3 | 56:19 | 44 |
| მოლდე | 19 | 13 | 2 | 4 | 38:24 | 41 |
| ლილესტრიომი | 19 | 12 | 2 | 5 | 48:30 | 38 |
| ბრანი | 18 | 11 | 1 | 6 | 31:28 | 34 |
| სტაბეკი | 19 | 9 | 4 | 6 | 40:35 | 31 |
| ოდ გრენლანდი | 19 | 9 | 2 | 8 | 27:36 | 29 |
| ტრომსიო | 18 | 8 | 3 | 7 | 43:32 | 27 |
| ვიკინგი | 19 | 8 | 3 | 8 | 34:30 | 27 |
| ბოდიო გლიმტი | 19 | 7 | 4 | 8 | 36:40 | 25 |
| სტრიომსგოდსეტი | 19 | 6 | 2 | 11 | 30:42 | 20 |
| მოსი | 19 | 6 | 1 | 12 | 29:37 | 19 |
| სკეიდი | 19 | 5 | 2 | 12 | 24:49 | 17 |
| ვოლერენგა | 19 | 4 | 3 | 12 | 27:42 | 15 |
| კონგსვინგერი | 19 | 4 | 1 | 14 | 27:46 | 13 |

## ავსტრია

VIII ტური. გრაცერი — ბრეგენცი 3:0; ზალცბურგი — ტიროლი 1:0; აუსტრია — რიდი 0:2; ლინცერი — რაპიდი 0:1; ლუსტენაუ — შტურმი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 8 | 7 | 0 | 1 | 15:3 | 21 |
| რაპიდი | 8 | 6 | 1 | 1 | 12:3 | 19 |
| შტურმი | 8 | 5 | 2 | 1 | 17:6 | 17 |
| რიდი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:8 | 10 |
| გრაცერი | 8 | 3 | 1 | 4 | 9:12 | 10 |
| ზალცბურგი | 8 | 3 | 1 | 4 | 4:8 | 10 |
| ლუსტენაუ | 8 | 2 | 2 | 4 | 10:12 | 8 |
| აუსტრია | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | 8 |
| ბრეგენცი | 7 | 2 | 0 | 5 | 5:15 | 6 |
| ლინცერი | 8 | 0 | 2 | 6 | 5:17 | 2 |

## სლოვენია

III ტური: დომზალე — სობოტა 1:0; ველენიე — აიდოვშინა 2:1; პრევალიე — მარიბორი 2:4; რუსე — დრავოგრადი 1:3; ბელტინჩი — ცელიე 0:0; ნოვა გორიცა — ოლიმპია 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 3 | 3 | 0 | 0 | 12:4 | 9 |
| ოლიმპია | 3 | 2 | 0 | 1 | 9:2 | 6 |
| აიდოვშინა | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| დრავოგრადი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ველენიე | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| ნოვა გორიცა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| სობოტა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:2 | 3 |
| ცელიე | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| დომზალე | 3 | 1 | 0 | 2 | 3:9 | 3 |
| ბელტინჩი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:5 | 2 |
| პრევალიე | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | 1 |
| რუსე | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

## ფეხბურთის რუკასთან



**რუმინეთის** ჩემპიონატის მეხუთე ტური. ბრაშოვი — ოცელული (გალატი) 3:0, რესიტა — ასტრა (პლოიეშტი) 2:5, როკარი (ბუქარესტი) — გლორია (ბისტრიცა) 3:1, პეტროლული (პლოიეშტი) — ექსტენსივი (კრაიოვა) 2:0, ფარული (კონსტანცა) — ბაკეუ 3:0, ონეშტი — ჩაჰლაული (პიატრა ნიმი) 1:1, რაპიდი (ბუქარესტი) — არჯეში (პიტეშტი) 1:0, ნაციონალი (ბუქარესტი) — სტიაუა (ბუქარესტი) 3:0, უნივერსიტატია (კრაიოვა) — დინამო (ბუქარესტი) 1:2. ჩემპიონატს ხუთი თამაშიდან ხუთი მოგებით ბუქარესტის „დინამო" ლიდერობს. მეორე-მეოთხე ადგილზე მყოფი გუნდები ლიდერს ზუსტად ექვსი ქულით ჩამორჩებიან.

**ისრაელის ჩემპიონატის პირველი ტურის თამაშები შაბათ-კვირას გაიმართა: ჰაპოელი (თელ ავივი) — ჰაპოელი (ფეთახ თიქვა) 2:0, მაქაბი (ფეთახ თიქვა) — მაქაბი (თელ ავივი) 2:1, ბნეი იეჰუდა — ჰაპოელი (ქფარ სავა) 1:1, მაქაბი (ჰაიფა) — ირონი (რიშონ ლეზიონი) 4:1, ჰაპოელი (იერუსალიმი) — ბეითარი (იერუსალიმი) 0:2, მაქაბი (ერზლია) — ჰაპოელი (ჰაიფა) 0:0, მაქაბი (ნათანია) — ირონი 0:6.**

**ბულგარეთის** ჩემპიონატის მეორე ტური. ცსკა (სოფია) — ველბაჟდი (კისტენდილი) 3:1, სპარტაკი (ვარნა) — მინიორი (პერნიკი) 1:0, შუმენი — ლევსკი (სოფია) 1:4, დობრუჯა (დობრიჩი) — ლოვეჩი 1:3, ჩერნომორეცი (ბურგასი) — ლოკომოტივი (სოფია) 1:1, ბოტევი (პლოვდივი) — ბელასიცა (პეტრიჩი) 2:0, პირინი (ბლაგოევგრადი) — ბეროე (ტევენი) 2:1, სლავია (სოფია) — ნეფტოხიმიკი (ბურგასი) 1:1. პირველები 6-6 ქულით სოფიის „ლევსკი" და ვარნას „სპარტაკი" არიან. მესამე ადგილზე 4-4 ქულით ერთბაშად სამი კლუბია.

**უნგრეთის ჩემპიონატის მეორე ტური. სპარტაკუსი — დებრეცენი 2:1, დიორ ეტო — დიოშ დიორი 4:0, ზალაეგერშეგი — შიოფოკი 4:0, ვაცი — ნაგიკანიშა 3:4, მტკ (ბუდაპეშტი) — ლომბარდი 3:0, სომბათჰეი — შევუდი 2:1, ვაშაში (ბუდაპეშტი) — ჰონვედი 2:0, დუნაფერი — უპეშტი 4:0, გაზცერი — ფერენცვაროში 3:2. სატურნირო ცხრილის სათავეში 6-6 ქულით ბუდაპეშტის „ვაშაში" და „გაზცერი" არიან. მესამე ადგილზე 4 ქულით ერთბაშად ოთხი კლუბია.**

**ირლანდიის** ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა ამ შაბათ-კვირას: დროგჰედა იუნაიტედი — შემროკ როვერსი 0:4, სენტ პატრიკზი — დერი სიტი 1:2, შელბურნი — გელვეი იუნაიტედი 1:1, უოტფორდ იუნაიტედი — ბოჰემიანსი 0:0. სლიგო როვერსი — უნივერსიტი დაბლინი და ფინ ჰარპსი — კორკ სიტი გადაიდო.

**ჩრდილოეთ ირლანდიის ჩემპიონატი გასულ უქმეებზე დაიწყო: კლიფტონვილი — ნიური 3:2, კოლრეინი — გლენტორანი 1:2, გლენავონი — ბოლმინა იუნაიტედი 0:0, ლისბერნ დესტილერი — პორტდაუნი 2:1. კრუზეიდერსისა და ლინფილდის დაპირისპირება გადაიდო.**

**აფრიკის** თასის გათამაშების შესარჩევი მატჩში, კვირას რომ გაიმართა, ზიმბაბვემ 4:0 დაამარცხა ერითრია. ერთი გოლი ადამ ნდლოვუმ გაიტანა, ხოლო აგენტ სავუმ ჰეთ-თრიქი შეასრულა. ერთი დღით ადრე, კოსაფას თასის გათამაშებაში, ანგოლამ ბეტინიოს პენალტით 1:0 დაამარცხა ზამბია.

**გერმანული კლუბის, დორტმუნდის „ბორუსიის" წარმომადგენელთა განცხადებით, ბრაზილიის ნაკრების მცველი ევანილსონი მათ გუნდში გადადის. დორტმუნდელთა მწვრთნელი, მიხაელ სკიბე ევანილსონის კონფედერაციათა თასის გათამაშებაზე დაინტერესდა და ფეხბურთელი მოსწონებია. მისი თქმით, „დორტმუნდი" ევანილსონის კლუბს, ბელუ ორიზონტეს „კრუზეიროს" 5,4 მილიონ დოლარს გადაუხდის, სანაცვლოდ კი ფეხბურთელი გუნდთან ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს.**

**ჰოლანდიის** ნაკრებს ოთხშაბათს, დანიელებთან ამხანაგურ მატჩში ვერ დაეხმარება დენის ბერხკამპი, რომელმაც ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „სანდერლენდთან" 0:0 დასრულებული შეხვედრისას ზურგის ტრავმა მიიღო. ჰოლანდიური პრესის თქმით, ბერხკამპს არნემის „ვიტესში" მოთამაშე პიერ ვან ჰოაიდონკი შეცვლის. დენის ბერხკამპმა ნაკრებში ბოლოჯერ არგენტინელებთან დაპირისპირებისას ითამაშა შემოდგომით.

**ინგლისის თასის ბოლო ორი წლის ფინალისტმა „ნიუკასლ იუნაიტედმა" ჰოლანდიელი მეკარე იონ კარელსე შეიძინა. კარელსე უმაღლესი ლიგიდან გავარდნილ „ბრედაში" თამაშობდა. ჩრდილოინგლისელთა თქმით, კარელსემ მათთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მისმა კლუბმა „ბრედამ" კი სანაცვლოდ 750 ათასი გირვანქა, ანუ 1,2 მილიონი დოლარი მიიღო.**

**საფრანგეთის** ჩემპიონის, „ბორდოს" პრესატაშეს, ჟან ფილიპ კოლომბოს განცხადებით, კლუბის ესპანელი მცველი ვიქტორ ტორეს მესტრე უახლოეს მომავალში გუნდს დატოვებს და სამშობლოში, პრიმერა დივიზიონის კლუბ „ალავესში" გადავა. აღსანიშნავია, რომ ტორეს მესტრე „ბორდოში" გასული სეზონის დასაწყისში გადავიდა ბარსელონას „ესპანიოლიდან" და კლუბს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში დაეხმარა.

**ესპანეთის პრიმერა დივიზიონის კლუბმა „ოვიედომ" საფრანგეთის 1996 წლის ჩემპიონ „ოსერიდან" მცველი ფრედერიკ დეუ შეიძინა. დეუს ქვეყნის უმაღლეს დივიზიონში, „ოსერის" შემადგენლობაში 109 მატჩი უთამაშია და იმ გუნდის ლიბერო გახლდათ, 1996 წელს ჩემპიონატიც რომ მოიგო და თასიც. „ოსერს" ტრანსფერის შესახებ არაფერი უთქვამს. ფრენკ რაბანიროვის შემდეგ ფრედერიკ დეუ „ოვიედოს" მეორე ფრანგი ლეგიონერი იქნება.**

**ნორვეგიელი** თავდამსხმელი სიგურდ რუშფელდტი ლისაბონის „ბენფიკაში" აღარ გადადის. რუშფელდტის კლუბის, ტრონჰეიმის „რუსენბორგის" წარმომადგენელთა თქმით, განახლდა მოლაპარაკებები ესპანეთის, სანტანდერის „რასინგთან". რუშფელდტის ტრანსფერი „ბენფიკაში" იმიტომ ჩაიშალა, რომ ლისაბონელებმა საჭირო თანხის დროზე გადახდა ვერ შეძლეს. ესპანელები ნორვეგიელი ფეხბურთელის შეძენას თითქმის ორი თვეა, ცდილობენ. შეგახსენებთ, რომ „რუსენბორგი" ფორვარდის სანაცვლოდ ხუთ მილიონ დოლარს ითხოვს.

## რუსეთი

XX ტური

**ცსკა 0:4 სპარტაკი**
0:1 ბარანოვი (22), 0:2 ტიტოვი (66), 0:3, 0:4 ბეზროდნი (79, 83)

**ლოკომოტივი 2:1 ჩერნომორეცი**
0:1 კამნევი (6), 1:1 ლოსკოვი (48), 2:1 სმერტინი (90)

**ნ. ნოვგოროდი 2:1 ალანია**
0:1 დემეტრაძე (35პ), 1:1 ავაქოვი (38), 2:1 ლიპკო (80)

**ჟემჩუჟინა 1:0 დინამო**
1:0 კოვალენკო (30)

**ტორპედო 3:1 ურალანი**
1:0 კამოლცევი (24), 2:0 შკაპენკო (43), 2:1 მიკალაიუნასი (45), 3:1 შკაპენკო (56პ)

**სატურნი 2:0 კრილია**
1:0 გრიაზინი (43), 2:0 მენშიკოვი (71პ)

**როსტსელმაში 0:0 შინიკი**

**როტორი 2:2 ზენიტი**
1:0 კრივოვი (18), 2:0 ოსინოვი (33პ), 2:1 პანოვი (45), 2:2 ლეპეხინი (66)

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ნორვეგიული „მოლდესთან" სირცხვილნაჭამი ცსკა რუსეთის ჩემპიონატის მე-20 ტურში „სპარტაკმა" გაანადგურა. არადა, ბოლო 17 წლის განმავლობაში არმიელებს „სპარტაკთან" დიდი ანგარიშით მხოლოდ ორჯერ (0:3, 0:6 1993 წელს) წაეგოთ. მწვრთნელ ოლეგ დოლმატოვის ხელმძღვანელობით ცსკა-მ ასეთი რამ პირველად შაბათს ჩაიდინა. ოლეგ რომანცევის გუნდმა კი სეზონში მეცხრე მატჩი მოიგო სამი და მეტი ბურთის სხვაობით. უფრო კარგი მაჩვენებელი „სპარტაკს" მხოლოდ 1993 და 1994 წლის ჩემპიონატებში ჰქონდა. შესაბამისად, 14 და 10 — დიდი ანგარიშით გამარჯვება.

აღნიშვნის ღირსია „ლოკომოტივი" — „ჩერნომორეცის" შეხვედრა. უდავო ფავორიტებად მონათლულმა მასპინძლებმა მატჩის ბოლო წუთზე მოახერხეს სტუმართა ძლევა. თუმცა საქმე თავად ლოკომოტიველებმა, კერძოდ, ლოსკოვმა და ჩუგაინოვმა გაართულეს. ორივემ თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა 51-ე და 71-ე წუთებზე. ჩვენებური ზაზა ჯანაშია დიდად არ გამორჩეულა, მაგრამ 48-ე წუთზე ერთი საგოლე პასი მაინც გააკეთა.

ამ სეზონში რკინიგზელებმა მეექვსედ დააღწიეს თავი მდევრის როლს და გაიმარჯვეს კიდეც. ეს კი რუსეთის ახალი რეკორდია.

რეკორდებზე თუ მიდგა საქმე, გიორგი დემეტრაძის დავიწყება დაუშვებელია. „ალანიას" ქართველმა ფორვარდმა ამ გუნდში თამაშისას (შარშანდლიდან მოყოლებული) ზედიზედ 12 პენალტის გატანა შეძლო. ასეთი შედეგი რუსული ფეხბურთის ისტორიაში (ალბათ, არა მარტო იქ) აქამდე არავის ჰქონია. გიორგი ბომბარდირთა დავაშიც დაწინაურდა — მან 17 შეხვედრა ჩაატარა და 17 გოლიც მიითვალა. თუ დემეს მიერ „როტორთან" თამაშში (გაუქმებულში) გატანილ ბურთსაც სათვალავში ჩავაგდებთ, გამოდის, რომ ჩვენებური ბოლო შვიდი მატჩია, უგოლოდ არ ტოვებს მოედანს. ესეც ახალი რეკორდია რუსეთისთვის...

„ალანიას" „ნიჟნი ნოვგოროდთან" დამარცხებას კი ერთმა გარემოებამ შეუწყო ხელი — გუნდი მთავარი მწვრთნელის გარეშე თამაშობდა. მატჩამდე 5 წუთით ადრე ვლადიკავკაზელთა თავკაცი ვალერი გაზაევი შეუძლოდ გამხდარა და სასწრაფოდ ექიმების გარემოცვაში აღმოჩენილა. შესამჩნევი არითმია, პირის სიმშრალე და მაღალი წნევა — ამ სიმპტომებმა ვალერი გიორგევიჩს საშუალება არ მისცა, შეხვედრისთვის ეყურებინა. უფრო მეტიც, მატჩის შემდეგ „ალანია" კიდევ 1 საათს ელოდა თავისი დამრიგებლის მომჯობინებას. ნიჟნი ნოვგოროდის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოთავსებულ გაზაევს ადგილობრივმა მედპერსონალმა ჰიპერტონული კრიზისის დიაგნოზი დაუსვა.

დაბოლოს, ჩვენგან წყალწაღებულად მონათლულმა „ჟემჩუჟინამ" ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო. ამ გამარჯვების წყალობით სოჭელებმა პირველად მოარიდეს თავი ცხრილის ბოლო ორ საფეხურს. ვითომ აღმავლობის გზას დაადგნენ?..

**ხვიჩა სანიძიძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| დემეტრაძე (ალანია) | 17 |
| ტიხონოვი (სპარტაკი) | 16 |
| ტერიოხინი (დინამო) | 10 |
| ავაქოვი (ნ. ნოვგოროდი) | 10 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 24 | 17 | 5 | 2 | 54:18 | 56 |
| ლოკომოტივი | 20 | 13 | 4 | 3 | 44:21 | 43 |
| ცსკა | 20 | 10 | 7 | 3 | 36:18 | 37 |
| ტორპედო | 21 | 9 | 9 | 3 | 28:24 | 36 |
| დინამო | 20 | 9 | 5 | 6 | 33:27 | 32 |
| ალანია | 19 | 9 | 4 | 6 | 41:26 | 31 |
| როსტსელმაში | 18 | 7 | 6 | 5 | 20:19 | 27 |
| ზენიტი | 20 | 6 | 8 | 6 | 26:25 | 26 |
| ნ. ნოვგოროდი | 20 | 7 | 4 | 9 | 24:31 | 25 |
| როტორი | 21 | 6 | 4 | 11 | 27:40 | 22 |
| სატურნი | 21 | 5 | 6 | 10 | 20:30 | 21 |
| კრილია | 21 | 5 | 4 | 12 | 26:36 | 19 |
| ჩერნომორეცი | 20 | 4 | 5 | 11 | 18:34 | 17 |
| ჟემჩუჟინა | 20 | 3 | 8 | 9 | 15:32 | 17 |
| ურალანი | 19 | 4 | 4 | 11 | 13:27 | 16 |
| შინიკი | 20 | 3 | 7 | 10 | 13:30 | 16 |

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

## საფრანგეთი

### III ტური

**ლიონი 2:2 რენი**
1:0 ანდერსონი (31), 1:1 ბასილა (45), 1:2 ნონდა (74), 2:2 კარტერონი (89)

**მარსელი 3:3 სენტ ეტიენი**
1:0 რავანელი (5), 1:1 პედრონი (35), 2:1 ბაკაიოკო (50პ), 2:2 პედრონი (60), 3:2 მორისი (79), 3:3 სარი (86)

**პსჟ 2:1 მეცი**
1:0 ალჟერინო (5), 1:1 მეირო (10), 2:1 ოკოჩა (29)

**ოსერი 3:1 სედანი**
1:0 გივარში (16), 2:0 სიეშელსკი (36), 2:1 დი როკო (82), 3:1 ტაინიო (83)

**ნანსი 3:0 ლე ავრი**
1:0 ბოტელენი (50), 2:0 ბიანკალანი (52), 3:0 კასკარინო (89)

**ბორდო 4:0 ტრუა**
1:0, 2:0 ზიანი (45, 47), 3:0, 4:0 ლასლანდი (75, 90)

**მონაკო 4:0 ბასტია**
1:0, 2:0, 3:0 ტრეზეგე (40, 75, 78), 4:0 ჟიული (88პ)

**ნანტი 0:1 ლანსი**
0:1 ჟობი (51)

**სტრასბური 2:0 მონპელიე**
1:0 პაასი (45), 2:0 ბერტენი (82პ)

# გაუმართლებელი სიახლე




ლიონი — რენი 2:2. რენელმა კრისტიან ბასილამ (მუქ ფორმაში) ამ თავურით ანგარიში გაათანაბრა

ტურის ყველაზე საინტერესო და ლამაზი მატჩი მარსელში, იქაურ „ველოდრომზე" გაიმართა და ჩვენც მისით დავიწყოთ. „ოლიმპიკი" პირველ დივიზიონში წლეულს დაბრუნებულ „სენტ ეტიენს" მასპინძლობდა. სტუმრებმა „მარსელს" ტოლი არაფერში დაუდეს და გახარებულებმა შინ დამსახურებული ერთი ქულა წაიღეს. თუმცა „მარსელიც" არ უნდა ყოფილიყო გულნაკლული, სულ უქულოდ რომ არ დარჩა.

ვიცე-ჩემპიონის დაცვა ნოვატორული იყო. მის ცენტრში დეკრუას გვერდით ნახევარმცველობას მიჩვეული ლუქსენი ირჯებოდა, მარჩვენა ფლანგი ფიშერს ებარა, მარცხენა კი — გალასს. სიახლე ყოველთვის რომ არ ამართლებს, „სენტ ეტიენის" თავდასხმამაც დაამტკიცა, რომელმაც მეტოქეს სამი გოლი გაუტანა და სხვა ბევრი სახიფათო მომენტებიც შექმნა. მასპინძელთა საბედნიეროდ, მათი წინა ხაზი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და მოწინაალმდეგის თითქმის ყველა შეცდომა გოლად აქცია. ერთი სიტყვით, ორივე გუნდის თავდასხმამ დაცვაზე გაცილებით ძლიერად და კარგად ითამაშა და ამიტომაც შეხვედრა სანახაობრივი თვალსაზრისით ძალიან საინტერესო გამოდგა.

თამაში ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო. „მწვანეებმა" მარსელელთა შეტევების გაუვნებლება ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობების შექმნით სცადეს. ტაქტიკამ თავიდან (ორჯერ) კი გაამართლა, მაგრამ მეხუთე წუთზე სენტეტიენელები თავისივე დაგებულ მახეში გაებნენ. ლეკლერმა ბურთი „მარსელის" ნახევარზე დაკარგა და ბაკაიოკო კარგი პასის შემდეგ მარჯვენა ფლანგზე მარტოდმარტო აღმოჩნდა. იგი სწრაფად მიუახლოვდა მეტოქის საჯარიმო მოედანს და დაბალი პასი მისცა რავანელის, რომლის დარტყმის შემდეგ ანგარიში გაიხსნა.

მასპინძლები უკეთეს დასაწყისს ვერც ინატრებდნენ. მათ პრესინგს მიმართეს და რამდენჯერმე კიდევ ძალიან სახიფათოდ შეუტიეს. მე-13 წუთზე რავანელისთან ბრძოლაში თამაშის წესების აშკარა დარღვევა იყო, მაგრამ მსაჯმა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის დანიშვნისგან რატომღაც თავი შეიკავა. მე-17 წუთზე პირესის საჯარიმოში ჩაწოდებულს კინაღამ მეორე გოლი მოჰყვა ალონზოს კარში, მაგრამ მცველებმა რის ვაი-ვაგლახით შეძლეს ბურთის კუთხურზე გადაგდება.

ამის მერე თამაში შედარებით გათანაბრდა. „სენტ ეტიენის" ნახევარდაცვამ მოედნის ცენტრის დაპყრობა მოახერხა და თავის თავდამსხმელებსაც კარგად ამარაგებდა პასებით. 30-ე წუთზე პორატოს კართან კუთხური დაინიშნა, რომლის მოწოდების შემდეგ სარმა მეტომოს თავის გამოჩენის კარგი საშუალება მისცა, მაგრამ ამაოდ. 35-ე წუთზე კი ანგარიში მაინც გათანაბრდა — გუელი — ალოიზიო — პედრონის ულამაზესი კომბინაციის შემდეგ ეს უკანასკნელი მარსელელთა მეკარესთან პირისპირ დარჩა და აჯობა კიდეც პორატოს. პირველი ტაიმი „მწვანეების" უპირატესობით დასრულდა, მეორის დასაწყისში კი მათი ცნობა თითქმის შეუძლებელი იყო.

შესვენების შემდეგ ხუთი წუთი იყო გასული, ბაკაიოკომ პენალტით კვლავ მასპინძლები რომ დააწინაურა. თერთმეტმეტრიანი კი საფრანგეთის ნაკრების წევრმა კრისტოფ დიუგარიმ გამოიმუშავა. ალონზოსთან პირისპირ გასულმა მსოფლიოს ჩემპიონმა მეკარის მოტყუება სცადა, მაგრამ მან წესების დარღვევით შეაჩერა იგი. 52-ე წუთზე კვლავ დიუგარის ეთამაშნენ უხეშად, ოღონდ ამჯერად საჯარიმო მოედნის ფარგლებს გარეთ. თუმცა რავანელიმ კინაღამ მაინც მოახერხა დუბლის შესრულება — მისი დარტყმის შემდეგ ბურთი ძელმა მოიგერია.

„სენტ ეტიენი" ცხვირჩამოშვებული ჩანდა, თუმც მხოლოდ ერთი შეხედვით. 56-ე წუთზე გუელს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ პორატომ მშვენივრად ითამაშა. ცოტა ხანში კი მანაც ვერაფერი გააწყო. სტუმართა მორიგი შეტევისას რეველმა მას ხელი შეუშალა და ბურთი ფეხებს შორის გაუძვრა, პედრონს მიუვიდა, რომელმაც ანგარიშში თანაფარდობა მეორეჯერ აღადგინა. მალევე ალოიზიოს შეეძლო, თავისიანები დაეწინაურებინა, მაგრამ ამჯერად პორატო უკვე მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

78-ე წუთზე რავანელი მორისმა შეცვალა და მანაც ბურთთან პირველივე შეხებისას ანგარიში 3:2 გახადა. თუმცა „მწვანეები" დამარცხებას ნამდვილად არ იმსახურებდნენ და სარის მშვენიერი გოლი სავსებით ლოგიკური იყო.

ტურის მეორე ფრე ლიონში დაფიქსირდა, სადაც „ლიონი" „რენს" ეთამაშებოდა. არც ერთ გუნდს წაგების უფლება არ ჰქონდა. „რენს" მე-16 ადგილისთვის თავის დაღწევა უნდოდა, „ლიონს" კი თავისი ჩემპიონობისთვის მებრძოლი კლუბის სახელი უნდა გაემართლებინა.

შეხვედრის დამთავრებამდე ორიოდ წუთით ადრე წინ ბრეტონელები იყვნენ, რაც ლიონელი ქომაგებისთვის ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე შინ სლოვენიურ „მარიბორთან" მარცხის (0:1) შემდეგ უკვე მეტისმეტი იქნებოდა და იქნებ მათაც ბერნარ ლაკომბის გადაგომა მოეთხოვათ. მაგრამ მასპინძლებს წარმოშობით ბრეტონელი პატრის კარტერონის გოლმა უშველათ. თუმცა მასში „რენის" მეკარე მალიკის წვლილიც დიდია. მასპინძელთა მარჯვენა მცველმა სწორედ მალიკის შეცდომის წყალობით მოუტანა თავისიანების ერთი ქულა.

მანამდე კი „ბარსელონასგან" 116 მილიონ ფრანკად (დაახლოებით 38,3 მილიონი ლარი) ნაყიდმა ბრაზილიელმა სონი ანდერსონმა თავისი პირველი გოლი გაიტანა „ლიონის" მაისურით. თითქოს პოლ ლე გუენის გუნდის დაცვა ამის მერე უნდა მოშლილიყო და მასპინძლებს იოლი გამარჯვებაც უნდა მოეპოვებინათ... მოხდა საწინააღმდეგო. „რენი" უფრო ძლიერად ათამაშდა და ჯერ ტაიმის მიწურულს ბასილამ, მერე კი 74-ე წუთზე საბანი ნონდამ კუპეს კარში ორი ბურთი შეაგდეს. რომ არა რევოს შემცვლელი მალიკის დასანანი შეცდომა...

ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი კი „პარი სენ ჟერმენი" გახდა, რომელმაც ზედიზედ მესამე თამაში მოიგო. ამჯერად დედაქალაქელებმა „მეცს" სძლიეს. ფილიპ ბერჟეროს ხელი გუნდს აშკარად სასიკეთოდ დაეტყო. პირველი გოლი განაპირა მცველმა ჯიმი ალჟერინომ გაიტანა. მას ალი ბენარბია და ბრუნო როდრიგესი მიეხმარნენ „პარკ დე პრენსზე" თავმოყრილი გულშემატკივრების გახარებაში. თუმცა სიხარული ხანმოკლე გამოდგა. ფრედერიკ მეირომ ანგარიშის გათანაბრება ხუთიოდ წუთში მოახერხა. გამარჯვების გოლიც პირველივე ტაიმში გაიტანეს პარიზელებმა. ეს შაბათს 26 წლის გამხდარმა ნიგერიელმა ჯეი-ჯეი ოკოჩამ შეძლო.

გათამაშების ცხრილში მეორე საფეხურზე „ბორდო" დამკვიდრდა, რომელმაც შანსი არ დაუტოვა დებიუტანტ „ტრუას" და 4:0 გაანადგურა. ამავე ანგარიშით გააცამტვერა „მონაკომ" „ლუი II"-ზე კორსიკული „ბასტია". სათავადოში ჩატარებული მატჩი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ დავიდ ტრეზეგემ სეზონის პირველი ჰეთ-თრიქი შეასრულა და ბომბარდირთა დავაშიც დაწინაურდა.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| ბორდო | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 7 |
| ნანტი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 6 |
| ლანსი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 6 |
| ოსერი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| სტრასბური | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| მარსელი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 5 |
| მონაკო | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 4 |
| მეცი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| ლიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| მონპელიე | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ნანსი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| ბასტია | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| სედანი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| სენტ ეტიენი | 3 | 0 | 2 | 1 | 5:7 | 2 |
| რენი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| ლე ავრი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |
| ტრუა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

### მეორე დივიზიონი

III ტური. ნიორი — კაენი 0:0; ვასკეალი — კანი 0:2; აიაჩო — სოშო 0:2; შატორუ — გენიონი 0:1; ლავალი — გენგამი 0:2; ლუანი — ლორიანი 0:1; კრეტეი — ლე მანი 1:1; ტულუზი — ვალანსი 2:0; ნიმი — ამიენი 2:2; ნიცა — ლილი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლორიანი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ლილი | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 7 |
| ტულუზი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 |
| სოშო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| კანი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| კრეტეი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ამიენი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| ლე მანი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| გენიონი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| კაენი | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 5 |
| ვალანსი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| ნიმი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ნიორი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| გენგამი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| შატორუ | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| ნიცა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| აიაჩო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ვასკეალი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ლავალი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ლუანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

## ბელგია

### II ტური

**აალსტი 2:3 ლიერსი**
1:0 კურემენი (15), 1:1 ვან მეირი (46), 1:2 კავენსი (66), 2:2 კურემენი (73), 2:3 ვან მეირი (78)
ლიერსი: დემანი, ლარემანსი, ჰოფკენსი, ვან მეირი, პოორტერსი (შეყილაძე 79), ლეენი, სომერსი, ზდებელი, კავენსი, სპიტერი (ჰუისმანსი 71), ვან დე ვეიერი (სნოქსი 28)

**ვესტერლო 2:1 სტანდარდი**
0:1 მ. მპენზა (35), 1:1, 2:1 ბრონიო (45პ, 75)

**ჰარელბეკი 1:1 მუსკრონი**
0:1 ვანდენჰაგე (60 პ), 1:1 ვერჰოენი (75)

**ლოკერენი 2:5 ბრიუგე**
0:1 ენგლებერი (25), 1:1 იანსენსი (37), 1:2 იანკაუსკასი (41), 1:3 კლემანი (44), 2:3 იანსენსი (66), 2:4 იანკაუსკასი (72), 2:5 ვერჰეიენი (90)

**ანდერლეხტი 5:2 ბევერენი**
1:0 კოლერი (10), 2:0, 3:0, 4:0 რადზინსკი (20, 50, 63), 5:0 კოლერი (72), 5:1 ვან დენ ედე (75), 5:2 ბონეტო (86)

**გენტი 0:2 გენკი**
0:1 ულარე (23), 0:2 ტორდურ გუდიონსონი (78)

**სენტ ტრუიდენი 1:1 გეელი**
1:0 დელო (22), 1:1 ლენდვაი (76)

**მეხელენი 2:1 შარლერუა**
1:0 ელიასი (20), 2:0 ვან ჰოუტი (81 პ), 2:1 ჰიმი (90)

**ბეერსხოტი 3:1 ლომელი**
1:0 დემკინი (35), 2:0 დეგრიზი (39), 3:0 სევერეინსი (66), 3:1 ვან დიესტო (90)

შესვენებაზე „ლიერსი" 0:1-ს აგებდა, თუმცა რომ არა „აალსტის" თავდამსხმელების უიღბლობა და დემანის კარგი თამაში, ანგარიშში სხვაობა გაცილებით დიდიც შეიძლებოდა ყოფილიყო. გასახდელში ვალტერ მეუვსმა თავისიანები კარგად დამოძღვრა და მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ვან მეირმა ანგარიში გაათანაბრა. მადა ჭამაში მოდისო და „ლიერსიც" მოწინააღმდეგის კარს მიეძალა. შედეგად კავენსმა თავისიანები დააწინაურა — ვან მეირის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა და ცარიელ კართან მდგომ სტუმართა ნახევარმცველს მიუგორდა. მასაც გოლის გატანა არ გასჭირვებია. რამდენიმე წუთში კურემენმა ულამაზესი გოლით კვლავ აღადგინა წონასწორობა, მაგრამ ვან მეირმა თავური დარტყმით გამარჯვება თავისიანებს მოუტანა. მესამე გოლის შემდეგ მეუვსმა დაცვის გაძლიერება გადაწყვიტა და ჩვენებური გელა შეყილაძეც მაშინ ჩართო თამაშში. ეს გელასთვის ამ სეზონში პირველი საჩემპიონატო მატჩი იყო. იმედია, იგი კიდევ არაერთხელ ისარგებლებს თავისი მწვრთნელის ნდობით და მოედანზეც უფრო ხშირად გამოჩნდება.

მეორე ქართველ ლეგიონერ ლაშა ჯაკობიას არ უთამაშია. მისი „სტანდარდი" „ვესტერლოსთან" სტუმრად დამარცხდა. როგორც ბელგიელი ჟურნალისტები წერენ, წაგების ძირითადი მიზეზი „სტანდარდის" თავკაცის ხორვატი ტომისლავ ივიჩის უცნაური ტაქტიკა იყო. უცხოელზე ამბობენ, თვითონაც არ იცოდა, მოთამაშეებს რას თხოვდაო. „ბოროტი ხმებისგან" იმასაც გაიგონებთ, ივიჩის დღეები დათვლილია, მან ახალი სამუშაოს ძებნა უნდა დაიწყოსო, თუმცა ეს ვარაუდი რამდენად რეალურია, ჯერჯერობით ამაზე საუბარი ნაადრევია.

ერთნაირი ანგარიშებით მოიგეს ბელგიურმა გრანდებმა — „ანდერლეხტმა" და „ბრიუგემ". „ანდერლეხტის" ხუთივე გოლი ლეგიონერების ანგარიშზეა. ჩეხმა კოლერმა ორჯერ ისახელა თავი, კანადელმა რადზინსკიმ კი ჰეთ თრიქის შესრულება შეძლო.

მოიგო ჩემპიონმა „გენკმაც". ამჯერად მისი დაცვა შედარებით უშეცდომოდ თამაშობდა და პირველი ტურისგან განსხვავებით გოლი საერთოდ არ გაუშვია (არათუ ექვსი). „გენკის" რიგებში საუკეთესო იყო სულეიმან ულარე, რომელიც, შეიძლება მალე თურქულ „ფენერბახჩეში" გადაბარგდეს.

**დავით სიჭინავა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 2 | 2 | 0 | 0 | 9:2 | 6 |
| ანდერლეხტი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:4 | 6 |
| ლიერსი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 6 |
| გენკი | 2 | 1 | 1 | 0 | 8:6 | 4 |
| ვესტერლო | 2 | 1 | 1 | 0 | 8:7 | 4 |
| გენტი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| აალსტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ბეერსხოტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| სტანდარდი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| შარლერუა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| მეხელენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ლომელი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| მუსკრონი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ჰარელბეკე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| გეელი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | 1 |
| სენტ ტრუიდენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | 1 |
| ლოკერენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| ბევერენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

## შვეიცარია

### VIII ტური

**არაუ 1:3 ლოზანა**
1:0 რ. ივანოვი (27), 1:1, 1:2 მ. კუზბა (52, 69), 1:3 რენი (88)

**ბაზელი 2:0 ლუცერნი**
1:0 კუმანტარაკისი (43), 2:0 ჰუგელი (82)

**გრასჰოპერი 2:2 სენტ გალენი**
0:1 მიულერი (27), 0:2 ლუისი (42), 1:2 იაკინი (52), 2:2 მაგრო (59)

**ლუგანო 1:1 ციურიხი**
1:0 ლომბარდო (32), 1:1 ჯამარაული (41)

**ქსამაქსი 3:2 სერვეტი**
1:0 კელერი (46), 2:0 სამბასი (53), 2:1 ლოფარტი (55), 2:2 ტურე (60), 3:2 კოხი (79)

**ივერდონი 3:1 დელემონი**
1:0 ფონსეკა (8), 2:0 ადაონზინიო (48პ), 2:1 ბუი (75), 3:1 ფონსეკა (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 7 | 4 | 2 | 1 | 13:7 | 14 |
| გრასჰოპერი | 8 | 3 | 4 | 1 | 14:7 | 13 |
| ბაზელი | 7 | 3 | 4 | 0 | 10:4 | 13 |
| სერვეტი | 8 | 4 | 1 | 3 | 14:11 | 13 |
| ივერდონი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:8 | 12 |
| ქსამაქსი | 8 | 2 | 5 | 1 | 13:14 | 11 |
| ლუცერნი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:9 | 11 |
| ლოზანა | 8 | 2 | 3 | 3 | 9:8 | 9 |
| არაუ | 8 | 2 | 2 | 4 | 10:17 | 8 |
| ლუგანო | 8 | 1 | 4 | 3 | 9:11 | 7 |
| ციურიხი | 8 | 1 | 4 | 3 | 6:12 | 7 |
| დელემონი | 8 | 1 | 2 | 5 | 10:19 | 5 |

# სპორტული ლატარია "CROCO"
# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩააბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. IV ტური** | | | |
| 17.08 | 001 | გენგამი — ნიმი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 002 | ლავალი — კრეტეი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 003 | კაენი — ლე მანი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 004 | კანი — ნიორი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 005 | ვალანსი — ვასკეალი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 006 | ლორიანი — ტულუზი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 007 | გენიონი — ლუანი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 008 | სოშო — შატორუ | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 009 | ლილი — აიაჩო | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | 010 | ამიენი — ნიცა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | | **შვედეთი. გადადებული მატჩი** | | | |
| 18.08 | 011 | ტრელებორგი — ელფსბორგი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | | **ინგლისის ლიგის თასი. I ეტაპი. I მატჩი** | | | |
| 17.08 | 012 | ტორკი — პორტსმუთი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | | **იტალიის თასი. I ეტაპი. II ტური** | | | |
| 18.08 | 013 | ლეჩე — ტერნანა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 014 | ფ. ანდრია — ლუკეზე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 015 | ჩეზენა — სავოია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 016 | სამპდორია — პალერმო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 017 | ემპოლი — ჯენოა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 018 | ლუმეცანე — მონცა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 019 | პისტოიეზე — ატალანტა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 020 | კრემონეზე — კიევო | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 021 | რეჯინა — გუალდო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 022 | ტრევიზო — კოზენცა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 023 | ფერმანა — სალერნიტანა | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | 024 | ნაპოლი — კომო | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 025 | რეჯანა — სტაბია | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | 026 | ბრეშა — პესკარა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | 027 | ვიჩენცა — სპალ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 028 | ალძანო — რავენა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | | **ბელგიის ლიგის თასი** | | | |
| 17.08 | 029 | ბევერენი — მუსკრონი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩი** | | | |
| 18.08 | 030 | ჩესტერი — ნორთჰემპტონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | | **იტალია. ბერლუსკონის თასი** | | | |
| 17.08 | 031 | მილანი — იუვენტუსი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | | **ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები** | | | |
| 18.08 | 501 | სლოვენია — ალბანეთი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 502 | იუგოსლავია — ხორვატია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | |
| 18.08 | 503 | ბელგია — ფინეთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 504 | ბელარუსი — რუსეთი | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| | 505 | დანია — ჰოლანდია | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | 506 | ნორვეგია — თურქეთი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 507 | პოლონეთი — ესპანეთი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | 508 | ჩეხეთი — შვეიცარია | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 509 | ჩრდ. ირლანდია — საფრანგეთი | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| | 510 | კვიპროსი — რუმინეთი | 6,5 | 3,2 | 1,5 |
| | 511 | შვედეთი — ავსტრია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 512 | უკრაინა — ბულგარეთი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 513 | პორტუგალია — ანდორა | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| | 514 | ესტონეთი — სომხეთი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 515 | უნგრეთი — მოლდოვა | 1,3 | 3,8 | 8,0 |

**შესავსები ქვითრის მარცხენა სვეტში არჩეული წყვილის შესაბამისი ნომრის მითითება აუცილებელია**
(ნომრისა და წყვილის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტულად ჩაწერილი წყვილი ჩაითვლება)

| რომელი გუნდი გაიმარჯვებს | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2,5 |
| მილანი | 2,5 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ლაციო | 4,0 |
| ფიორენტინა | 5,0 |
| პარმა | 5,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| არსენალი | 7,0 |
| ჩელსი | 7,0 |
| დორტმუნდი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 10,0 |
| ვალენსია | 10,0 |
| მალიორკა | 15,0 |
| ჰერტა | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ფეიენოორდი | 15,0 |
| ეინდჰოვენი | 15,0 |
| პორტუ | 15,0 |
| დინამო (კიევი) | 15,0 |
| სპარტაკი | 25,0 |
| რუსენბორგი | 25,0 |
| კროაცია | 25,0 |
| პარტიზანი | 25,0 |
| გენკი | 25,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |
| აეკ | 50,0 |
| გალათასარაი | 50,0 |
| ბეშიქთაში | 50,0 |
| ბოავიშტა | 50,0 |
| ცსკა | 50,0 |
| რეინჯერსი | 50,0 |

## ჩემპიონთა თასი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

| რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს | |
|---|---|
| იტალია | 2,0 |
| ესპანეთი | 2,4 |
| ინგლისი | 2,4 |
| გერმანია | 3,0 |
| საფრანგეთი | 5,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| უკრაინა | 15,0 |
| ნორვეგია | 25,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| ბელგია | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

## უეფას თასი

UEFA CUP

| რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს | |
|---|---|
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 3,0 |
| ინგლისი | 3,0 |
| გერმანია | 5,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 12,0 |
| ბელგია | 15,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| შვედეთი | 25,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| ნორვეგია | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| რუმინეთი | 50,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.*
*იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.*

კროკოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა 67, მეორე სართული.
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| რომელი გუნდი გაიმარჯვებს | |
|---|---|
| იუვენტუსი | 3,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 7,0 |
| ტოტენჰემი | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| აიაქსი | 7,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| ნიუკასლი | 10,0 |
| ვერდერი | 15,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ჰამბურგი | 15,0 |
| დუისბურგი | 15,0 |
| ვესტ ჰემი | 15,0 |
| მონაკო | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| რენი | 25,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| სპორტინგი | 25,0 |
| ვიტებსკი | 25,0 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) | 25,0 |
| ჰაიდუკი | 25,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 25,0 |
| ბრიუგე | 25,0 |
| ანდერლეხტი | 25,0 |
| სელტიკი | 25,0 |
| გიოტებორგი | 50,0 |
| პაოკ | 50,0 |
| პანათინაიკოსი | 50,0 |
| როდა | 50,0 |
| სლავია (პრაღა) | 50,0 |
| ზენიტი | 50,0 |
| ფენერბაჰჩე | 50,0 |
| გრასჰოპერი | 50,0 |
| ლიერსი | 50,0 |
| ლოკერენი | 50,0 |
| სტ. ტრუიდენი | 50,0 |
| სტიაუა | 50,0 |
| დინამო (ბუქარესტი) | 50,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოლანდია

I ტური

**სპარტა 0:2 ტილბურგი**

0:1 სესაი (18), 0:2 ბომბარდა (21)

**დენ ბოსხი 0:4 ფეიენოორდი**

0:1 კრუსი (21), 0:2 დალ ტომასონი (34), 0:3, 0:4 კრუსი (48პ, 56)

**გრააფსხაპი 0:0 როდა**

**კამბური 1:1 ვიტესი**

1:0 ნელისე (2), 1:1 ვან ჰოიდონკი (45)

**სიტარდი 1:2 ალკმაარი**

0:1, 0:2 ვან ხალენი (21, 53), 1:2 პაციორეკი (65)

**ეინდჰოვენი 4:1 მაასტრიხტი**

1:0 ვან ბომელი (15), 1:1 იანსენი (19), 2:1, 3:1, 4:1 ვან ნისტელროოი (20, 57, 85)

**ვალვაიკი 1:1 ტვენტე**

0:1 კარნებეუკი (41), 1:1 უგენდორფი (65)

**უტრეხტი 1:0 ნაიმეგენი**

1:0 ვან დერ ხააგი (13)

**აიაქსი 3:2 ჰერენვენი**

0:1 ტალინი (22), 1:1 ლაუდრუპი (51), 2:1 მახლასი (62), 3:1 არველაძე (72), 3:2 ჰაკასონი (81)

აიაქსი: გრიმი, დე კლერი (პიკე 83), ვან ჰალსტი (დანი 46), ვერლაატი, ნოივენბურგი, ვინტერი, კნოპერი, ვიჩხე, მახლასი, ლაუდრუპი, არველაძე

დაიწყო ჰოლანდიის მორიგი ჩემპიონატიც.

კვლავ გაიტანა ამსტერდამის „აიაქსის" ქართველმა თავდამსხმელმა შოთა არველაძემ — მესამე სეზონია, იგი ჰოლანდიურ ჩემპიონატს გოლით ხსნის.

„აიაქსის" გამარჯვების მიუხედავად, პირველი მაინც როტერდამის „ფეიენოორდია" — ჩემპიონებმა ლიგაში ახლადაწეული „დენ ბოსხი" არ დაინდეს და 4:0 გაანადგურეს...

ამსტერდამელები ახალ სეზონს თითქმის მთლიანად განახლებული შემადგენლობით შეხვდნენ. „ჰერენვენს" დაპირისპირებული აიაქსელებიდან გასულ სეზონში გუნდის შემადგენლობაში უმეტესწილად მხოლოდ ოთხი — შოთა არველაძე, რიხარდ ვიჩხე, დანი და რიჩარდ კნოპერი ასპარეზობდა. ახლა სულ სხვა „აიაქსი" წარსდგა გულშემატკივრების წინაშე და იქნებ ამ გუნდმა მეტი გააკეთოს, ვიდრე წინამორბედმა.

როცა შოთა არველაძემ „ჰერენვენის" სამხრეთაფრიკელ მეკარეს, ჰანს ვონკის კარის მარცხენა მაღალ კუთხეში გაიტანა გოლი, ანგარიში უკვე მასპინძელთა სასარგებლოდ იყო. უკვეო, იმიტომ ვამბობთ, რომ თავდაპირველად „ჰერენვენი" დაწინაურდა, მერე კი „აიაქსის" ჯერიც დადგა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „აიაქსის" მწვრთნელი იან ვოუტერსი იტყვის: „შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ გუნდის თამაშით — არა. შეგვეძლო, უკეთ გვეთამაშა დაცვაში, მაგრამ არ გამოგვივიდა. „აიაქსს" ხარვეზები აშკარად ეტყობა. ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში გუნდი უფრო შეიკვრება".

დაცვაში ამსტერდამელები მართლაც მოიკოჭლებდნენ — „ჰერენვენის" ორივე გოლი სწორედ რომ ამ რგოლის სინდისზეა.

„აიაქსი" კვირას ჩაება ჩემპიონატში, მანამდე კი ჰოლანდიური ფეხბურთის სამი გრანდიდან ორმა — „ეინდჰოვენმა" და „ფეიენოორდმა" მეტოქეები მიწასთან გაასწორა.

ჩემპიონი „ფეიენოორდი" ლიგის დებიუტანტმა „დენ ბოსხმა" პარასკევს მიიღო, თუმც უჯობდა, როტერდამელებისთვის სულ არ ემასპინძლა.

არგენტინელმა ხულიო კრუსმა ჰეთ-ტრიკით და დანიელმა იონ დალ ტომასონმა ერთი გოლით მასპინძლებს ბოლო ერთი კვირის მანძილზე მეორედ დაუბნელეს მზე.

ეინდჰოვენელთა მატჩშიც გავიდა ჰეთ-ტრიქი — წინა პირველობის საუკეთესო ბომბარდირი რუუდ ვან ნისტელროოი, როგორც ჩანს, ჩვეულ ფორმაშია და მეტოქეთა რბევას ძველებურად განაგრძობს. ამაზე მეტყველებს ის სამი გოლი, თავდამსხმელმა „მაასტრიხტს" რომ გაუტანა.

იმარჯვა გასული სეზონის ვიცე-ჩემპიონმა „ტილბურგმა". თბილისის „დინამოს" ევროისტორიისთვის ყველაზე ავადმოსაგონარმა კლუბმა ჩემპიონთა თანაქალაქელი „სპარტა" იმსხვერპლა. მორიგ ტურში „ტილბურგი" ალბათ კვლავ გაიმარჯვებს — მისი მეტოქე ხომ, წყალწაღებული „სიტარდია".

ლაშა გოდუაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ეინდჰოვენი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ტილბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| აიაქსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ალკმარი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| უტრეხტი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| კამბური | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ვიტესი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ვალვაიკი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ტვენტე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| გრააფსხაპი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| როდა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ჰერენვენი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| სიტარდი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ნაიმეგენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სპარტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| მაასტრიხტი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| დენ ბოსხი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

## თურქეთი

II ტური. ვანი — ერზურუმი 0:2; ტრაბზონი — გალათასარაი 1:2; გაზიანთეფი — ანთალია 1:2; ისთანბული — ბურსა 1:0; ქოჯაელი — ფენერბაჰჩე 1:1; დენიზლი — გენჩლერბირლიგი 1:3; ბეშიქთაში — სამსუნი 4:0; ალთაი — გიოზთეფე 0:0; ანკარაგიუჯიუ — ადანა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენჩლერბირლიგი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ანთალია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ალთაი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ბეშიქთაში | 2 | 1 | 0 | 1 | 4:1 | 3 |
| ერზურუმი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ტრაბზონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| გაზიანთეფი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| გალათასარაი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ისთანბული | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| დენიზლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| სამსუნი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ქოჯაელი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| გიოზთეფე | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ადანა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ანკარაგიუჯიუ | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ვანი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ბურსა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

## იტალია

თასის გათამაშება

I წრის პირველი მატჩები

ტერნანა (სერია B) — ფიდელის ანდრია (C) 2:2, ლუკეზე (C) — ლეჩე 0:1, სავოია (B) — სამპდორია (B) 1:3, პალერმო (C) — ჩეზენა (B) 2:3, ჯენოა (B) — ლუმეძანე (C) 2:1, მონცა (B) — ემპოლი (B) 1:4, ატალანტა (B) — კრემონეზე (C) 2:1, კიევო (B) — პისტოიეზე (B) 0:1, გუალდო (B) — რეჯინა 0:1, სალერნიტანა (B) — ნაპოლი (B) 2:0, კომო (C) — ფერმანა (B) 3:1, იუვესტაბია (C) — ბრეშა (B) 1:0, პესკარა (B) — რეჯანა (C) 7:2, სპალი (C) — ალძანო (B) 0:0, რავენა (B) — ვიჩენცა (B) 2:0

## პორტუგალია

სუპერთასი. საპასუხო მატჩი

**პორტუ 3:1 ბეირა მარი**

1:0 ჟარდელი (5), 1:1 მორაესი (28პ), 2:1 ჟარდელი (81), 3:1 კარვალიო (84ს.კ.)

*„პორტუ" სუპერთასს დაეუფლა. კლუბმა ორი მატჩის ჯამში მეტოქეს 5:2 მოუგო.*

## ესპანეთი

სუპერთასი. საპასუხო მატჩი

**ბარსელონა 3:3 ვალენსია**

1:0 კლუივერტი (13), 1:1 ალბელდა (14), 2:1 რ. დე ბური (20), 2:2 ხუან სანჩესი (53), 3:2 კლუივერტი (63), 3:3 ფარინოსი (65)

*„ვალენსია" სუპერთასს დაეუფლა. გუნდმა ორი მატჩის ჯამში მეტოქეს 4:3 სძლია.*

## უკრაინა

VII ტური. პრიკარპატია — ზაპოროჟიე 0:0; მარიუპოლი — ვორსკლა 2:1; ჩორნომორეცი — მეტალურგი 0:1; კარპატი — ზირკა 3:0; მეტალისტი — ტავრია 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრივბასი | 6 | 5 | 1 | 0 | 13:4 | 16 |
| მეტალისტი | 7 | 5 | 1 | 1 | 10:6 | 16 |
| დინამო | 5 | 4 | 1 | 0 | 12:4 | 13 |
| მარიუპოლი | 7 | 4 | 0 | 3 | 15:8 | 12 |
| კარპატი | 7 | 4 | 0 | 3 | 12:7 | 12 |
| მეტალურგი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:8 | 11 |
| ცსკა | 6 | 3 | 1 | 2 | 8:3 | 10 |
| შახტარი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:2 | 10 |
| ვორსკლა | 7 | 3 | 1 | 3 | 11:8 | 10 |
| ზაპოროჟიე | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 10 |
| ტავრია | 7 | 2 | 1 | 4 | 8:11 | 7 |
| ნივა | 6 | 1 | 3 | 2 | 7:6 | 6 |
| პრიკარპატია | 7 | 0 | 4 | 3 | 4:10 | 4 |
| ზირკა | 7 | 0 | 3 | 4 | 4:14 | 3 |
| ჩორნომორეცი | 7 | 1 | 0 | 6 | 2:19 | 3 |
| დნიპრო | 6 | 0 | 2 | 4 | 4:13 | 2 |

# ფრთხილად, მაღალი ძაბვაა!



**ხრისტო სტოიჩკოვს** დენმა დაარტყა და ფეხბურთელი კინაღამ მოკლა.

ბულგარეთის საინფორმაციო სააგენტო BTA-ს ცნობით, ქვეყნის ყველა დროის უძლიერესი ფეხბურთელი ხრისტო სტოიჩკოვი, რომელიც დენის დარტყმის შემდეგ სოფიის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს, უახლოეს დღეებში ჰოსპიტალს დატოვებს.

— სტოიჩკოვის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, თუმცა არც მისი გამოწერაა საჩქარო. რამდენიმე დღეში იგი კიდევ ერთხელ გაივლის სამედიცინო შემოწმებას და მერელა გადავწყვეტთ, დარჩება იგი საავადმყოფოში თუ არა — განაცხადა რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ზდრავკო მილენკოვმა.

ბულგარული ბულვარული პრესა აცხადებს, რომ 33 წლის ფეხბურთელი სოფიის გარეუბანში შეძენილ ახალ სახლში დენის კაბელს შემთხვევით შეხებია და გონება უმალ დაუკარგავს. დარტყმა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ ფეხბურთელი სამ მეტრზე გადაუგდია.

შეგახსენებთ, რომ გაზაფხულზე, ინგლისელებთან შეხვედრაში ნაკრებში 83-ედ გამოჩენის შემდეგ, სტოიჩკოვი ფეხბურთს დაემშვიდობა.

ხრისტო სტოიჩკოვი ბულგარული ფეხბურთის ლეგენდაა. 1994 წელს, როცა ბულგარულმა ფეხბურთმა არნახულ სიმაღლეს მიაღწია — მსოფლიოს ჩემპიონატზე ქვეყნის ნაკრებმა მეოთხე ადგილი დაიკავა, გუნდს სწორედ სტოიჩკოვი ლიდერობდა. იმავე წელს იგი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

# გვთხოვეთ და მოგცემთო

**იაპონიის** „ექსპორტ-იმპორტ" ბანკმა განაცხადა, რომ მზადაა, 200 მილიონი დოლარი ასესხოს კორეას, რათა ქვეყანა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სათანადოდ მოემზადოს.

— მზად ვართ, კორეელებს 200 მილიონი დოლარი ვასესხოთ, მაგრამ ამისთვის მათი ფორმალური თხოვნაა საჭიროო — განუცხადა „ექსპორტ-იმპორტ" ბანკის წარმომადგენელმა საინფორმაციო სააგენტო „როიტერს".

კორეამ, რომლის ეკონომიკა აზიის ფინანსურმა კრიზისმა 1997 წელს ძალიან დააზიანა, იაპონიას უკვე მიმართა თხოვნით, სეულიდან ოცი კილომეტრით დაშორებულ ქალაქ სუვონში ახალი სტადიონის აგებაში დახმარებოდა.

„ექსპორტ-იმპორტ" ბანკის წარმომადგენლის თქმით, კორეელთაგან ფორმალური თხოვნის მიღების შემდეგ 200 მილიონი დოლარი ქვეყანას უმალ გამოეყოფა და ფულიც იმდღესვე ჩაირიცხება კორეის აღმშენებლობის ბანკში.

იაპონური ბანკის ხელმძღვანელების განცხადებით, თუ კორეელები მეტ ფულს მოითხოვენ, შესაძლოა, მათი თხოვნა დაკმაყოფილდეს.

ჩვენის მხრივ გაცნობებთ, რომ 1997 წლის შემდეგ, „ექსპორტ-იმპორტ" ბანკმა, რომელიც უმსხვილესია იაპონიაში, კორეაში 3,2 მილიარდი დოლარი დააბანდა.

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის კორეელებს ათი ახალი სტადიონის აგება აქვთ განზრახული.

ირაკლი ილაშვილი

# გაიყიდა მერვე ბარსელონელი

**ესპანეთის** ჩემპიონმა „ბარსელონამ კიდევ ერთი ფეხბურთელი გაასხვისა — კატალონიური კლუბის ვეტერანი, მცველი მიგელ ანხელ ნადალი დღეიდან „მალიორკაში" იასპარეზებს.

ნადალი უკან ბრუნდება — 1991 წელს იგი „ბარსელონამ" სწორედ „მალიორკადან" შეიძინა. 33 წლის მცველმა ახალ, მაგრამ ამავე დროს ძველ კლუბთან, „მალიორკასთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„მალიორკას" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ მიგელ ანხელ ნადალი სრულფასოვნად შეცვლის მარსელინო ელენას, რომელიც რამდენიმე ხნის წინ ინგლისის „ნიუკასლ იუნაიტედში" გადავიდა.

იმ რვა წლის მანძილზე, რაც ნადალმა „ბარსელონაში" გაატარა, მან ექვსჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი, ორჯერ ქვეყნის თასი, თასების მფლობელთა თასი, თუმცა ყველაზე დიდ მიღწევად ფეხბურთელის კარიერაში, რაღა თქმა უნდა, 1992 წელს მოგებული ჩემპიონთა თასი ითვლება.

# რაიკაარდი უპირო კაცია



მიხაელ მოლსი



ფრენკ რაიკაარდი

**ფრენკ რაიკაარდს** უპირო კაცი უწოდეს.

შოტლანდიის ყველაზე ტიტულიანი კლუბის „გლაზგო რეინჯერსის" ჰოლანდიელ თავდამსხმელ მიხაელ მოლსის თქმით, ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი ფრენკ რაიკაარდი შეჰპირდა, დანიელებთან შეხვედრისთვის აუცილებლად ნაკრებში მიგიწვევო, მაგრამ სიტყვა გატეხა.

ხვალ, 18 აგვისტოს, ჰოლანდია, ევროპის 1988 წლის ჩემპიონი, დანიას, კონტინენტის 1992 წლის ჩემპიონს, ამხანაგურ მატჩში მასპინძლობს.

მოლსმა რაიკაარდს უპირო კაცი სწორედ მას შემდეგ უწოდა, რაც „გლაზგო რეინჯერსმა" შოტლანდიის ჩემპიონატის მეორე ტურში „მოზერველი" დაამარცხა 4:1 და ოთხივე გოლი მან გაიტანა. შეგახსენებთ, რომ მიხაელ მოლსი გლაზგოურ კლუბში ამ ზაფხულს გადავიდა ჰოლანდიური „უტრეხტიდან". სქოთებს თავდამსხმელის შეძენა 6,4 მილიონი დოლარი დაუჯდათ.

— როცა ჰოლანდიის ნაკრები ამხანაგური მატჩების სათამაშოდ ბრაზილიაში გაემგზავრა, გუნდს ვერ გავყევი, რადგან მაშინ ვიქორწინე. რაიკაარდმა მითხრა, მომავალ მატჩში აუცილებლად ითამაშებო, მაგრამ დანაპირები არ შეასრულა. ის უპირო კაცია — ამბობს 27 წლის ფეხბურთელი და განაგრძობს — ძალიან დამწყდა გული, მაგრამ უახლოეს მომავალში მიზეზსაც გავარკვევ. მწვრთნელს თავად შევეხმიანები.

„გლაზგო რეინჯერსის შემადგენლობაში მიხაელ მოლსმა უკვე სამი ოფიციალური მატჩი ითამაშა და ხუთი გოლი გაიტანა, ხუთივე შოტლანდიის ჩემპიონატში. იგი იმედებს სწორედ ამ კლუბზე ამყარებს: „თუ ნაკრებში არ მიმიწვევენ, „გლაზგო რეინჯერსში" თამაშს განვაგრძობ. იმედია, ბევრ გოლს გავიტან და ბოლოს და ბოლოს ნაკრებში მიმიწვევენ".

სანამ ექსუტრეხტელი მიხაელ მოლსი სქოთურ პირველობაზე გოლების გატანითაა დაკავებული, ჰოლანდიური პრესა აცხადებს, რომ არ არის გამორიცხული, ფეხბურთელის განცხადებას ფრენკ რაიკაარდის მხრიდან მძაფრი რეაქცია მოჰყვეს.

ჯოტე ვაიტაძე

## ევროპული ტრანსფერები

### ესტონეთი

# ქარაბაკის პერსპექტივა: ორსახელიანი გუნდი და საპორტას თასი

საქართველოს ნაკრების ფორვარდი ლევან ქარაბაკი ამჟამად ესტონეთშია და ქალაქ ტარტუს გუნდში (წინა სეზონში „პოლარისი" ერქვა) ვარჯიშობს. მისი ბედი ამ დღეებში გადაწყდება: თუკი ლევანი თავს მოაწონებს ტარტუელთა ხელმძღვანელობას, მაშინ კონტრაქტსაც მიიღებს და საპორტას თასზე იასპარეზებს.

წესით, საპორტას თასზე მეორე ესტონურ გუნდს, ტალინის „კალევს" უნდა ეთამაშა, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო გადაიფიქრა. ესტონეთის კალათბურთის ფედერაციამ დიდი ფიქრის მერე „კალევის" შემცვლელად ტარტუს გუნდი დაასახელა. ესტონეთის ბოლო ჩემპიონატში ტარტუელებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს.

გადაწყდა, რომ ტარტუს გუნდს „პოლარისის" ნაცვლად ორი სახელი ექნება. საპორტას თასზე მას „ესტონიან ტელეკომი" ერქმევა, ხოლო ქვეყნის ჩემპიონატში — „ტარტუ დელტა". ესტონეთის ტელეკომი გუნდის გენერალური სპონსორი გახლავთ. საპორტას თასისთვის ტარტუელებმა გადაწყვიტეს, სხვადასხვა გუნდებიდან ითხოვონ უძლიერესი ესტონელი კალათბურთელები: აივარ კუუსმაა, გეერტ კულამი, მარგუს მეცტაკი და ინდრეკ რუმა. სავარაუდოდ, ტარტუში დარჩება ტანელ ტეინი, რომელმაც შარშანდელი სეზონი ამერიკის სტუდენტურ ლიგაში გაატარა.



ლევან ქარაბაკი

გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

### ლიტვა

# ზიდეკი ისევ ჟალგირისელია

ჩეხი ცენტრი ირჟი (გეორგ) ზიდეკი შარშან ევროლიგის ჩემპიონი გახდა კაუნასის „ჟალგირისის" შემადგენლობაში. აღნიშნული ტურნირის დამთავრების შემდეგ ზიდეკი თავისუფალი აგენტი გახდა და ახალი გუნდის ძებნა დაიწყო. „ჟალგირისმა" ჯერ კიდევ მაისში შესთავაზა ჩეხს ახალი კონტრაქტი, მაგრამ უარი მიიღო: ზიდეკს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაში სურდა.

გამოხდა ხანი. ამერიკიდან ზიდეკს არავინ შეხმიანებია და მანაც ევროპის გუნდებს გაუმართა მოლაპარაკებები. იყო სერიოზული საუბარი მოსკოვის ცსკა-ში ჩეხის გადასვლის შემდეგ, მაგრამ...

წინა კვირაში „ჟალგირისმა" კვლავ შესთავაზა ზიდეკს კონტრაქტი და ამჯერად დადებითი პასუხი მიიღო. რა პირობებს დათანხმდა ჩეხი, უცნობია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ კალათბურთელი ისრაელში გაფრინდა, სადაც შეკრებაზე მყოფ „ჟალგირისს" შეუერთდა.

212-სანტიმეტრიანი ზიდეკი უდავოდ გააძლიერებს „ჟალგირისის" წინა ხაზს, სადაც მის გარდა ეურელიუს ჟუკაუსკასი, ტომას მასიულისი და ხორვატი ივან გრგატი არიან. ამპლუით ოთხივე ცენტრია, მაგრამ კაუნასური კლუბი უარს არც ერთზე ამბობს. სავარაუდოდ, გრგატს თავდამსხმელად ათამაშებენ.

ამასობაში „ჟალგირისის" მწვრთნელს იონას კაზლაუსკასს მოთმინების ფიალა აევსო და კლუბის პატრონებს უთხრა, კორი ბეკი აღარ გამაგონოთ და სასწრაფოდ მისი შემცვლელი მომინახეთო. 191-სანტიმეტრიანი ბეკი აპირებდა „ჟალგირისში" გადასვლას და კლუბს წინასწარი თანხმობაც მისცა, მაგრამ მას შემდეგ მისი კვალი გაქრა. ეს კალათბურთელი შარშან ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის „შარლოტ ჰორნეთსში" გამოდიოდა, ხოლო ამჟამად თავისუფალი აგენტია. ლიტველებს მის სანაცვლოდ, ანუ გამთამაშებლის ადგილზე სამი კანდიდატურა ჰყავთ: 26 წლის და 188-სანტიმეტრიანი რენდოლფ ჩაილდრესი (შარშან თურქულ „კომბასანში" თამაშობდა), 34 წლის და 190-სანტიმეტრიანი ტონი ვაითი (შარშან ისრაელის „მაკაბი რიშონში" თამაშობდა) და 23 წლის და 193-სანტიმეტრიანი შონ როჯერსი (ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, აშშ). სამივე კალათბურთელი ეროვნებით ამერიკელია.



გრანტ ჰილი

სარბიელის არქივიდან

# ვარიაციები გრანტ ჰილის მომავალზე

2000 წლის 1 ივლისს „დეტროიტ პისტონზის" ფორვარდი გრანტ ჰილი თავისუფალი აგენტი გახდება და მის ხელში ჩაგდებას თითქმის ყველა გუნდი შეეცდება. აგერ, „ჩიკაგო ბულზი" წლეულს არავის ყიდულობს, რათა მომავალი წლისთვის ჯიბე სავსე ჰქონდეს. ჩიკაგოელები გაისად აპირებენ ძლიერი თავისუფალი აგენტების შეძენას. მათ გრანტ ჰილზეც უჭირავთ თვალი.

თავისუფალ აგენტად ქცევამდე 10 თვით ადრე ჰილმა განაცხადა, რომ გადაჭრით ვერაფერს იტყვის, თუმცა „დეტროიტში" დარჩენისა და კარიერის გაგრძელების სურვილი აქვს. ამასობაში ხალხში ხმა დაირხა, გაისად ჰილი „პისტონზს" დატოვებსო. კალათბურთელს გულშემატკივართა დამშვიდება მოუხდა: „ერთს გეტყვით: დედამიწაზე უფრო დიდი და საინტერესო ამბები ხდება, ვიდრე ჩემი გადასვლა ერთი გუნდიდან მეორეში. ასე რომ, ძალიან ნუ ინერვიულებთ. დეტროიტში ყოფნა მომწონს და გამარჯვებებსაც „პისტონზის" სახელით მინდა მივაღწიო". გრანტი გაკვირვებული იყო, საიდან მოიტანეს, რომ წასვლას ვაპირებო: „ასეთი რამ მე არ მითქვამს, მამაჩემს არ უთქვამს, ჩემს მეგობრებს არ უთქვამთ, ჩემს ადვოკატს არ უთქვამს".

იქამდე კი შორია, მაგრამ ჭორები უკვე ჰილის სამომავლო კონტრაქტის შესახებაც დაირხა. მომავალ წელს გრანტს ექვსი სეზონი ექნება ლიგაში ნათამაშევი. სავარაუდოდ, ჰილის კონტრაქტი ექვსწლიანი გამოცდილების მქონე კალათბურთელისთვის მაქსიმალური იქნება: შვიდ წელიწადში 86,6 მილიონ დოლარს მიიღებს. პირველ წელიწადს 9 მილიონს ჩაიჯიბავს, ხოლო ყოველ მომდევნო წელიწადს წინა წლის ხელფასს 1,12 მილიონი დაემატება. 2007 წელს მისი წლიური ხელფასი 15,7 მილიონი იქნება.

არის მეორე ვარიანტიც: 2000 წელს ჰილის ერთწლიან კონტრაქტს დაუდებს „პისტონზს" და 9 მილიონს აიღებს. 2001 წელს კი უკვე მრავალწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ამის მიზეზი მარტივია: 2001 წელს ჰილს შვიდი წელი ექნება გატარებული ლიგაში. ხოლო მოთამაშეს, რომელსაც ლიგაში შვიდიდან ათ წლამდე გაუტარებია, შეუძლია გააფორმოს შვიდწლიანი და 105,9 მილიონიანი კონტრაქტი. თუ ასე მოხდა, გრანტი კონტრაქტის პირველ წელიწადს 11 მილიონ დოლარს მიიღებს.

ამჟამად ჰილის წლიური ხელფასი 7,5 მილიონი დოლარია.

# ნიუ ჯერსი კუბელს ცდის

„ნიუ ჯერსი ნეთსმა" შეიძლება კუბელი მოთამაშე აიყვანოს. ლაპარაკია 26 წლის ლასარო ბორელზე, რომელმაც პუერტო რიკოში გამართული ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირისას, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა.

აქამდე ბორელი პუერტო რიკოში იმყოფებოდა (ეს ქვეყანა აშშ-ისადმი დაქვემდებარებული ტერიტორიაა), პარასკევს კი ნიუ იორკის თვითმფრინავს მოაჯდა და თავი „ნეთსის" ვარჯიშზე ამოყო. მწვრთნელებმა გასინჯეს ბორელი, მეორე დღეს ვარჯიშზე დაიბარეს, რომლის შემდეგ კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯონ ნეშმა თქვა: „ბორელი კარგი კალათბურთელია. ზუსტად ესვრის, ფიზიკურად საკმაოდ ძლიერია და მზადაა ფრთის პოზიციაზე ითამაშოს". გადაწყდა, რომ „ნეთსი" შეკრებაზე მიიწვევს კუბელს და საბოლოო გადაწყვეტილებას მისი დამთავრების შემდეგ მიიღებს.

206-სანტიმეტრიან ბორელს „ნეთსის" მწვრთნელებმა 25 სამქულიანი ასროლინეს. კუბელმა ცამეტჯერ ივარგა. კალათბურთელს საუბარში თარჯიმანი ეხმარებოდა. ბოლო ორი სეზონი ბორელმა არგენტინულ კლუბში გაატარა — კუბის კალათბურთის ფედერაციამ მას ამის ნება მისცა. არგენტინის ბოლო ჩემპიონატში მან მატჩში საშუალოდ 20,8 ქულა გააკეთა, იმის წინა წელს — 29,8 ქულა.

# ძმა თირკმელს აძლევს ელიოტს

შონ ელიოტს თირკმლის გადანერგვა სჭირდება — ეს ვერდიქტი ექიმებმა დაახლოებით ერთი თვის წინ გამოუტანეს ეროვნული საკალათბურთოვ ასოციაციის ჩემპიონს, „სან ანტონიო სფურზის" ფორვარდს შონ ელიოტს. საჭირო იყო დონორის მოძებნა და ეს პროცესი არ გაჭიანურდა. ელიოტის ადვოკატის ბარტ კინერკის თქმით, კალათბურთელის ერთ-ერთი ძმა თირკმელს იძლევა. რომელ ძმაზეა საუბარი, ნოელზე თუ რობერტზე, ადვოკატს არ დაუკონკრეტებია. შეგახსენებთ, რომ 31 წლის ელიოტს 1993 წელს დაუდგინდა თირკმლის დაავადება. აქამდე იგი ასე თუ ისე, ახერხებდა თამაშს, ახლა კი მდგომარეობა გართულდა და ოპერაცია აუცილებელი გახდა.

ამჟამად ექიმები დონორის სამედიცინო მონაცემებს აზუსტებენ. ოპერაცია კი გამოკვლევის დამთავრებიდან ორი კვირის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

## თავისუფალი აგენტების ბაზარი

13-14-15 აგვისტო —

**ფილადელფია 76:** ჯერ შეინარჩუნა, მერე კი „ორლანდოში" გაყიდა ფორვარდი ბილი ოუენსი

**ჰიუსტონ როკიტსი:** აიყვანა უგუნდო ფორვარდ-ცენტრი კენი თომასი

*უქმეებზე, როგორც წესი, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის თავისუფალ აგენტთა ბაზარზე კარგი ვაჭრობა არ გამართულა. არც გუნდებს შორის მომხდარა რამე სერიოზული გარიგება. ის კი არა, სულ ერთი გაცვლა მოეწყო, რომელიც, გვინდა თუ არა, ყველაზე მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ.*

# ორ თვეში ორჯერ გაყიდული ოუენსი

22 იანვარს „სიეტლ სუპერსონიქსმა" თავისუფალი აგენტის სტატუსით აიყვანა ფორვარდი ბილი ოუენსი.

30 ივნისს „სიეტლ სუპერსონიქსმა" ჰორას გრანტი გადმოიყვანა „ორლანდო მეჯიქიდან", სანაცვლოდ კი ოთხი მოთამაშე გაიღო. მათ შორის ბილი ოუენსი.

13 აგვისტოს „ფილადელფია 76"-მა ჯერ შეინარჩუნა ჰარვი გრანტი (ჰორას გრანტის ტყუპისცალი), მერე მას ენტონი პარკერი შეუამხანაგა და ორივე „ორლანდო მეჯიქში" გაუშვა. სანაცვლოდ მიიღო ბილი ოუენსი.

206-სანტიმეტრიანი ფორვარდი ბილი ოუენსი ორ თვეში ორჯერ აღმოჩნდა გაყიდული. „ფილადელფია" მისთვის მეექვსე კლუბი იქნება „გოლდენ სტეიტის", „მაიამის", „საკრამენტოს", „სიეტლის" და „ორლანდოს" შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ოუენსს „ორლანდოში" საერთოდ არ უთამაშია — ვერ მოასწრო.

„ბილის მრავალფეროვნება დიდ უპირატესობას მოგვიტანს. ოუენსი კარგად ფლობს ბურთს, შესანიშნავი მომხსნელია და, რაც მთავარია, კალათბურთის მცოდნე კაცია" — თქვა „ფილადელფიის" გენერალურმა მენეჯერმა ბილი კინგმა. ოუენსმა შარშან ხელი მოიტეხა და ამიტომ მხოლოდ 21 მატჩი ითამაშა „სიეტლის" შემადგენლობაში. მატჩში საშუალოდ 7,8 ქულა და 3,8 მოხსნა (კარიერაში ყველაზე ცოტა) გააკეთა, სულ კი, რვაწლიან კარიერაში მისი საშუალო მაჩვენებლები 13 ქულა და 7 მოხსნაა.

206-სანტიმეტრიანი ფორვარდი ჰარვი გრანტი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 11 წლის წინ მივიდა. შარშან მან პირველი სეზონი გაატარა „ფილადელფიაში", სადაც 47 მატჩში საშუალოდ 3,1 ქულა და 2,3 მოხსნა გააკეთა. 198-სანტიმეტრიანი უკანახაზელი ენტონი პარკერი „ფილადელფიამ" 1997 წლის დრაფტის პირველ წრეში აირჩია. სადებიუტო სეზონში მან 37 მატჩი ითამაშა, მომდევნოში — მხოლოდ ორი. მომავალ წელს პარკერი თავისუფალი აგენტი ხდება.

# გრიუნფელდი მილუოკელთა გენერალია

არც „მილუოკი ბაქსი" დარჩა დიდხანს გენერალური მენეჯერის გარეშე და არც ერნი გრიუნფელდს უვლია დიდხანს უმუშევრად. პარასკევს აღნიშნული კაცი აღნიშნულ თანამდებობაზე დაინიშნა.

„მილუოკიმ" ოთხაშაბათს გაათავისუფლა გენერალური მენეჯერი ბობ ვეინჰაუერი და თანამდებობა გუნდის მთავარ მწვრთნელს ჯორჯ კარლს შესთავაზა. კარლმა მოუცლელობა მოიმიზეზა. შემდეგი კანდიდატი გრიუნფელდი იყო, რომელიც დათანხმდა „ბაქსის" წინადადებას.

44 წლის გრიუნფელდი 21 აპრილს დაითხოვეს „ნიუ იორკ ნიქსის" გენერალური მენეჯერის პოსტიდან. ერთხანს კლუბის ადმინისტრაციაში იმუშავა, მაგრამ მერე იქიდანაც წამოვიდა.

იგი წამსვე გამოეხმაურა „მილუოკის" წინადადებას და დანიშვნის მერე თქვა: „ძალიან კარგია, როცა ვინმეს სჭირდები. მეამაყება, რომ „ბაქსს" მე დავჭირდი და ჩემი დახმარების იმედი აქვს".

ერნი გრიუნფელდი რუმინეთში დაიბადა, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ცხრა სეზონი ითამაშა. კარიერა 1986 წელს, „ნიუ იორკ ნიქსში" დაასრულა. გრიუნფელდი „ნიქსში" დარჩა და მუშაობა ჯერ ტელეკომენტატორად, მერე კი მწვრთნელად განაგრძო. 1990 წელს გრიუნფელდი „ნიუ იორკის" ხელმძღვანელობაში გადავიდა. ჯერ ადმინისტრაციის დირექტორად იყო, მერე და მერე კი პრეზიდენტობას და გენერალურ მენეჯერობას მიაღწია. 21 აპრილს კი მისი და „ნიქსის" 17-წლიანი ურთიერთობა დასრულდა.

# ბარკლი ჰიუსტონში რჩება

როგორც ჩანს, ჩარლზ ბარკლის ბედი გარკვეულია. იგი კვლავ „ჰიუსტონ როკიტსში" ითამაშებს და ამ დღეებში ახალ, ერთწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. ამის თაობაზე განაცხადა „როკიტსის" მფლობელმა ლეს ალექსანდერმა და დააყოლა: „ჩვენი წარმომადგენლები ესაუბრნენ ჩარლზს და მისგან კლუბში დარჩენის პირობა მიიღეს".

შეგახსენებთ, რომ პლეი ოფის პირველ წრეში „ლეიკერსთან" დამარცხების შემდეგ, ბარკლის კალათბურთიდან წასვლა სურდა. შემდეგ მას „ლეიკერსი", „სიეტლი" და „იუტა" იწვევდნენ, მაგრამ კალათბურთელმა თქვა, ჰიუსტონში დარჩენა მირჩევნიაო.

ალექსანდერმა სკოტი პიპენის თაობაზეც თქვა ორიოდ სიტყვა: „იმედი მქონდა, რომ სკოტი ჩვენთან დარჩებოდა, მაგრამ ახლა გაოცებული ვარ. რაც კლუბს ვფლობ, პიპენი პირველი კაცია, რომელმაც გაყიდვა მოითხოვა". შეგახსენებთ, რომ სკოტი პიპენმა „როკიტსის" ხელმძღვანელობას „ლეიკერსში" გაყიდვა სთხოვა.



ჩარლზ ბარკლი

სარბიელის არქივიდან

# სერენამ დევენპორტი ააგდო

**ცინცინატი. GREAT AMERICAN INSURANCE ATP CHAMPIONSHIPS. პარდი. საპრიზო 2 450 000 $**

დავიწყოთ იმით, რომ პიტ სამპრასი უძლიერესი ჩოგბურთელია მთელ პლანეტაზე, ამაში ვერავინ შემოგვედავება. დღესდღეობით მას ნამდვილად არ ჰყავს ბადალი. ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ სამპრასმა ერთი, თუნდაც საკმაოდ პრესტიჟული ტურნირი მოიგო, არა, პიტმა ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი პირველობა. იგი ხომ ყველაზე ხშირად იგებს ტურნირებს, რაც, რა თქმა უნდა შემთხვევითი სულაც არ არის. აი, ბოლოს, ოთხ ტურნირში მონაწილეობდა და ოთხივე მოიგო, სულ 60 გამარჯვება დაუგროვდა კარიერაში. ამ მაჩვენებლით კი მას მოქმედ ჩოგბურთელთაგან ახლოსაც ვერავინ გაეკარება. ნურც იმას დავივიწყებთ რომ სამპრასი უკვე 273-ე კვირაა, საკლასიფიკაციო სიის მწვერვალზეა. ეს კი სამი კვირით სჭარბობს ივან ლენდლის მიღწევას... და მერე პიტმა რა ხალხი დაამარცხა, ვიდრე ცინცინატის მთავარ ჯილდოს და მასთან ერთად 361 000 დოლარს დაეპატრონებოდა?! მეოთხედფინალში მან რიჩარდ კრაიჩეკი იმსხვერპლა, კაცი რომელთანაც ადრე რვა შეხვედრიდან ექვსი წააგო, ნახევარფინალში კორტზე მისი დაუძინებელი მტერი, თვისტომი ანდრე აგასი, ფინალში პატრიკ რაფტერი, ვისთანაც შარშან ამავე ტურნირის ფინალში წააგო. სამივე უძლიერესი ჩოგბურთელია და სამპრასს სამივესთან უჭირს თამაში, ხშირადაც აგებს, მაგრამ ამ უქმეებზე მისი უპირატესობა აშკარა იყო. განსაკუთრებით იოლად ყველაზე უხერხული მეტოქე, ჰოლანდიელი კრაიჩეკი დაამარცხა. ნახევარფინალში კი... თუმც მივყვეთ თანმიმდევრულად და სხვა მეოთხედფინალური შეხვედრებზეც ვთქვათ.

მეოთხედფინალებში ყველა საინტერესო ორთაბრძოლებს ელოდა და ამის წინაპირობა ის იყო, რომ იქ ტურნირზე მოთამაშე უძლიერეს ჩოგბურთელთა უმრავლესობა მოხვდა. განუთესავი მხოლოდ მაიკლ ჩანგი იყო. ბრძოლა შედგა, მაგრამ ყველა მოულოდნელობების გარეშე დამთავრდა — ძლიერებმა ანუ კლასიფიკაციაში დაწინაურებულებმა იმარჯვეს, ოთხივე ნახევარფინალისტი — სამპრასი, აგასი, რაფტერი და კაფელნიკოვი — ATP-ის კლასიფიკაციაში პირველ ოთხ ადგილს ინაწილებენ. მეოთხედფინალში ყველაზე უფრო კაფელნიკოვს გაუჭირდა მეტოქის — ტიმ ჰენმანის ძლევა. ჟენია, ცოტა არ იყოს, მძიმედ თამაშობდა და ჰენმანთან ბრძოლით მოღლილმა ნახევარფინალში ტურნირის შარშანდელ ჩემპიონ პატრიკ რაფტერთან ვერაფერი გააწყო — პირველი სეტი 6:4 დათმო, მეორეშიც ვერ ივარგა და რაფტერსაც ფინალისკენ გზა გაეხსნა. მაშ ასე, ავსტრალიელი კვლავ ფინალშია და მეტოქეს ელის. ვინ იქნება ის? შარშან ძლეული სამპრასი თუ მისი ექსტრავაგანტული თანამემამულე აგასი, ძნელი სათქმელია, ოზს რომელი ერჩივნა, მაგრამ ბედისწერამ სამპრასთან საბრძოლველად გაწირა.

ანდრე აგასის, ვისაც სამპრასისთვის 10 შეხვედრა მოუგია, მაგრამ ამავე დროს მასთან 15 წაუგია, მათ შორის წლეულს ორი ტურნირის ფინალი (ჯერ უიმბლდონის, შემდეგ კი ლოს ანჯელესის), პიტის ბოლმა ახრჩობდა და, როგორც მატჩამდე დაიქადნა, ჯოჯოხეთური ბრძოლა გაუმართა პირველ ჩოგანს. შეხვედრის პირველი სეტი ღირდა საცქერლად. ვერ გაიგებდი, რომელი ჩოგბურთელისკენ გადაიხრებოდა სასწორი. „მოსისხლე მტრები" რიგრიგობით იგებდნენ გეიმებს და სეტიც ტაიბრეიკში გადავიდა. იქაც კარგა ხანს არ შეწყვეტილა მძიმე ბრძოლა, თუმცა ბოლოს ტაიბრეიკის 9:7 მოგებით სამპრასმა სეტიც მოიგო და ერთი ნაბიჯი გადადგა ფინალისკენ. მეორე სეტი სულ სხვანაირად წარიმართა — სამპრასი ერთბაშად 4:1 დაწინაურდა. აქ ხოტორა ამერიკელმა ბოლოსლა გაიბრძოლა — 4:3 წამოეწია მეტოქეს, შემდეგ 5:3-ზე, ერთი გეიმი კიდევ მოიგო და ... დამარცხებულმა ჩამოართვა ხელი მძლეველს, რომელიც ამ დროს ფინალზე და პატრიკ რაფტერზე ფიქრობდა.

...ფინალი ზუსტად ისეთივე გამოდგა, როგორც ახლახან აღწერილი ნახევარფინალი, რაფტერი კი დაახლოებით ისეთივე მეტოქე სამპრასისთვის, როგორიც აგასი. ასე რომ, მოიგო უძლიერესმა და თავისი მარჯვე მარჯვენა მორიგი ტიტულით დაიმშვენა.

„ძალიან მძიმე კვირა მქონდა — სამპრასი ფინალური ბრძოლის შემდეგ დაღლილი ჩანდა — მაგრამ, რაც მთავარია, მოვიგე, არ გეგონოთ იოლად, აქ გამარჯვებას დიდი სლემის ტურნირის მოგების ფასი აქვს". აქ სამპრასმა ცოტა გადააჭარბა, თუმც ერთი კვირის შემდეგ წლევანდელი დიდი სლემის ბოლო ტურნირი — ამერიკის ღია პირველობა იწყება. იქ კორტის საფარი ისეთივეა, როგორიც სამპრასის მიერ ახლახან დაპყრობილ ცინცინატში. პიტი იქაც უეჭველად შეეცდება თავისი პირველობის დამტკიცებას, მანამდე კი ჩოგბურთის მოყვარულებს ამ კვირაში ერთი დიდი ტურნირი ელით, რომელიც ინდიანაპოლისში დღეს დაიწყება.

**მეოთხედფინალი: პიტ სამპრასი (1 აშშ) — რიჩარდ კრაიჩეკი (7 ჰოლანდია) პატრიკ რაფტერი (2 ავსტრალია) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:2, 6:1; ანდრე აგასი (3 აშშ) — გუსტავო კუერტენი (6 ბრაზილია) 6:2, 7:6; ევგენი კაფელნიკოვი (4 რუსეთი) — ტიმ ჰენმანი (5 ბრიტანეთი) 7:5, 7:5.**

**ნახევარფინალი: პიტ სამპრასი — ანდრე აგასი 7:6, 6:4; პატრიკ რაფტერი — ევგენი კაფელნიკოვი 6:4, 6:2**

**ფინალი: პიტ სამპრასი — პატრიკ რაფტერი 7:6, 6:3**


REUTERS მანჰეტენ ბიჩიდან

სერენა უილიამსი


REUTERS ცინცინატიდან

პიტ სამპრასი

**მანჰეტენ ბიჩი. კალიფორნია. საპრიზო 520 000 $**

ამ ორიოდე წლის წინ სერენა უილიამსის სახით უნიჭიერესი ჩოგბურთელი მოევლინა ქალთა ჩოგბურთს უცროსმა უილიამსმა უკვე საკმაო პრაქტიკაც შეიძინა და თავისი ძალისმიერი თამაშით მძლავრად მიარღვევს საჩოგბურთო ტალღებს. მანჰეტენ ბიჩის ტურნირის მეოთხედფინალში პატარა ზანგის წერა გამოცდილი ესპანელი არანჩა სანჩეს-ვიკარიო გახდა, ნახევარფინალში კი სერენამ მისი თაობის, მაგრამ უკვე მწვერვალებმოვლილი პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი დასცა. სანამ მას შევხვდებოდი, მანამდე მქონდა მოგებული ეს შეხვედრაო, იქადნებოდა 17 წლის უილიამსი ჰინგისთან მატჩის შემდეგ. ძნელი სათქმელია, ახმახი ზანგის გონონა მართლა წინასწარ გრძნობდა თუ არა გამარჯვებას, მაგრამ დაიწყო თუ არა მისი და ჰინგისის შეხვედრა, ყველამ იფიქრა, პატარა შვეიცარიელი მეტოქის უძლიერეს შემოტევებს დიდხანს ვერ გაუძლებსო და ვერც გაუძლო. მეექვსე ნომრად განთესილმა სერენამ ფინალში კი ფრანგი ჟული ალარის იოლად დამარცხებით თავისი მესამე ტიტული მოიგო, თუმცალა უილიამსს ვერ ჩავთვლით ტურნირის მთავარ სენსაციად. სენსაციის და თან არაერთის, ავტორი უილიამსის მიერ ფინალში ძლეული ჟული შეიქნა. არცთუ მქუხარე სახელის მქონე ფრანგმა მეოთხედფინალში გზიდან სახელოვანი თანამემამულე, მესამე ნომრად განთესილი, ტანკენარი მარი პირსი ჩამოიცილა და ნახევარფინალში განუთესათაგან მხოლოდ ის გავიდა. თუმცა ალარი ამას არ დასჯერდა და მესამე ნომერს მეორე, თავად ლინდსი დევენპორტი მიაყოლა. ამ მცირე გმირობის შემდეგ მან კლასიფიკაციაში მე-16 ადგილიდან მე-11-ზე აინაცვლა, მისმა მძლეველმა უილიამსმა კი მეთერთმეტედან ათეულში, მერვე ადგილზე ამოყო თავი. ასე რომ, ამ ტურნირმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ქალთა კლასიფიკაციაში, რომელთაგან, რაღა თქმა უნდა, უმთავრესი მაინც პირველი ჩოგნის შეცვლაა. ჰინგისმა ერთი კვირა დაჰყო პირველ ადგილზე და მიუხედავად იმისა, რომ ამ ტურნირზე ისიცა და ლინდსი დევენპორტიც ნახევარფინალიდან გავარდნენ, პირველობა მაინც ამ უკანასკნელს დარჩა.

**მეოთხედფინალი: მარტინა ჰინგისი (1 შვეიცარია) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:7, 6:3, 6:3; ლინდსი დევენპორტი (2 აშშ) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 6:7, 6:3, 6:2; ჟული ალარი (საფრანგეთი) — მარი პირსი (3 საფრანგეთი) 7:5, 6:1**

**ნახევარფინალი: ჟული ალარი — ლინდსი დევენპორტი 6:3, 7:5; სერენა უილიამსი (აშშ) — მარტინა ჰინგისი 6:3, 7:5**

**ფინალი: სერენა უილიამსი — ჟული ალარი 6:1, 6:4**

**ივანე ქობიაშვილი**



# ჭკუანასწავლმა მალეტიმ გუდას პირი მოხსნა

Tri Nations

კეიპტაუნი 14 აგვისტო

**სამხრეთ აფრიკა — ავსტრალია**
**10:9 (3:3)**

**სამხრეთ აფრიკა: დურანი (ლერუ), დროცკე ვისაჯი, ბუმი (ენდრიუსი), ვან დენ ბერგი, ვოსი, ა. ვენთერი, ერასმუსი (კრუგერი), ფან დერ ვესტჰოიზენი, დე ბირი, როსოუ, ბ. ვენთერი, ფლეკი, კაიზერი, მონტგომერი**

**1ლ — ფლეკი; 1გ და 1ს — დე ბირი**

**ავსტრალია: ჰარი (ნორიეგა), კერნსი, ბლეიდსი, გიფინი, ბოუმანი (კონორსი), კოკბეინი, ვილსონი, კეფუ (სტრაუსი), გრეგანი, ჰორანი, როფი, გრეი, ჰერბერტი, თიუნი, ბურკი.**

**3ს — ბურკი**

როგორც იქნა, სამხრეთაფრიკელებმაც მოიგეს და ოთხმატჩიანი დამარცხებათა სერიაც შეწყვიტეს. წლევანდელი სამი ერის გამარჯვებულიც ერთი ტურით ადრე გამოვლინდა. ბოლო ტურში ავსტრალია ახალზელანდიას ბლედისლოუს თასისთვისღა შეერკინება, თორემ სამი ერის პირველობაზე ყველაფერი გარკვეულია — ახალი ზელანდია ბოლო ოთხ წელში მესამედ გახდა პირველობის გამარჯვებული.

ტურნირის დაწყებამდე „ოლ ბლექსის" გამარჯვებისა ცოტას თუ ეეჭვებოდა, პირველი წრის შემდეგ კი ასეთი თითქმის არავინ იყო. ერთიკია, სეირის მოყვარულნი ბოლო ტურში დიდ ბრძოლას ელოდნენ, მაგრამ არც ამაში გაუმართლათ.

ავსტრალიელებთან დაპირისპირებამდე „ქურციკების" მწვრთნელმა ნიკ მალეტმა პირველად წლევანდელ გათამაშებაში პროგნოზისგან თავი შეიკავა. წინა მატჩებში რამდენჯერაც თქვა, მოვიგებთო, იმდენჯერ წააგო. ახლა სხვანაირად მოიქცა და როგორც მერე გაირკვა, არც შემცდარა. სამაგიეროდ, შეხვედრის შემდეგ იმდენი ილაპარაკა, ბარე ორ ინტერვიუს ეყოფოდა.

„ვოლაბების" თავკაცის როდ მაკქვინის საქმე სხვაგვარად იყო. მწვრთნელს, რომელიც მატჩამდე ქომაგებს მოგებას შეჰპირდა, თამაშის შემდეგ დანა პირს არ უხსნიდა. არადა, გამარჯვების შანსი სტუმრებს ნაღდად ჰქონდათ. მატჩის მე-3 წუთზე ავსტრალიელ თიუნს ლელო უნდა გაეტანა, მაგრამ ბოლო მომენტში ვერ ივარგა. მასვე მატჩის მიწურულს საჯარიმო რომ არ გაეცუდებინა, შეხვედრის გმირად იქცეოდა — ავსტრალიელთა ცხრავე ქულა ხომ მის ანგარიშზეა. თუმცა „ვოლაბთა" მარცხში მარტო თიუნის დადანაშაულება, რა თქმა უნდა, უსამართლობაა. იმ დღეს გუნდმა აშკარად ვერ აჩვენა იმ დონის თამაში, ავსტრალიელებს რომ ეკადრებათ, თუმცა, როგორც ამბობენ, ყველა გუნდი ისე თამაშობს, რის საშუალებასაც მოწინააღმდეგე აძლევს.

მოწინააღმდეგედ კი „ვოლაბებს" სამხრეთაფრიკელი „ქურციკები" ჰყავდათ. ზედიზედ ოთხი მარცხის მიუხედავად, უდიდესი პოტენციალის გუნდი. აფრიკელებმა სარაგბო სამყაროს აჩვენეს კიდეც თავიანთი ძალა და შეახსენეს, რომ მათი მსოფლიოს თასის ფავორიტობიდან ჩამოწერა ჯერ ნაადრევია.

**ბაატა თოთაძე**


REUTERS კეიპტაუნიდან

სამხრეთაფრიკელთა კაპიტანი იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი ავსტრალიელ ჯორჯ გრეგანს გაურბის

**სადღეისო ვითარება**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ახალი ზელანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 96:33 | 6:4 | 0 | 12 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 0 | 2 | 56:50 | 6:2 | 2 | 6 |
| სამხრეთ აფრიკა | 4 | 1 | 0 | 3 | 34:103 | 3:9 | 0 | 4 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველამ თავისი მიითვალა
# ჰაკინენმა — ჰეთ თრიკი
# ფერარიმ — ელდა

REUTERS ბოლოპუბლიკიდან



ყველაზე ერთგული ქომაგის ყველაზე ალალი კოცნა:
მიკა ჰაკინენმა გახარებული მეუღლის, ერიას ამბორიც დაიმსახურა

შაბათის „სარბიელში", უნგრეთის დიდი პრიზის წარდგენისას, ვივარაუდეთ, წინა რბოლების სტატისტიკა გვკარნახობს, რომ კვირას „ჰუნგარორინგზე" უნდა გაიმარჯვოს მიკა ჰაკინენმა და არა, ვთქვათ, ჩემპიონატის ლიდერმა ირვინმა, ფრენცენმა, კულჰარდმა ან მაჩანჩალა ბოლიდებით მოასპარეზე ჰილმა და ვილნევმა.

საამისო მიზეზი კი ის გახლდათ, რომ წინა 13 უნგრული რბოლიდან 12 სწორედ ჩემპიონებმა მოიგეს. სამი გამარჯვებით რეკორდი ეკუთვნის ლეგენდარულ აირტონ სენას, რომელიც ოთხჯერაც მეორე ადგილზე გავიდა. ბუნებრივია, სენას ქულებიც ყველაზე მეტი დაუგროვდა — 53. 42 ქულით მეორეა დეიმონ ჰილი, რომელმაც ორჯერ გაიმარჯვა, სამჯერ მეორე იყო, ერთხელ კი მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა. დეიმონი არც ამჯერად დარჩენილა უქულოდ და ამით კერძო რეკორდიც დაამყარა — შვიდჯერ იასპარეზა უნგრეთში და შვიდივე რბოლა ჩასათვლელ ექვსეულში დაასრულა.

„ფერარის" ხელმძღვანელობას ბუდაპეშტში ორჯერ ეცა ელდა. ორჯერვე თავისი პილოტების გამო — მთავარი კონკურენტი „მაკლარენი" აქ არაფერ შუაშია. შაბათს საკვალიფიკაციო საათი რომ გაილია, იტალიელთა ახალ იმედს მიკა სალოს საშინელი შედეგი — მხოლოდ მე-18 დრო აღმოაჩნდა.

ამ უსუსური მაჩვენებლით მან, ფაქტობრივად, გაწირა თავისი თანაგუნდელი ირვინი და მარტო ჩაუგდო ხახაში „მაკლარენებს", რადგან პირველ რიგში მდგომ ირვინს მე-18 პოზიციიდან აბა, როგორ დაეხმარებოდა.

კვირას კი, რბოლის მიწურულს, უკვე თავად ირვინმაც „იყოჩაღა". თუმცა, ამაზე ქვემოთ.

კვალიფიკაცია ამჯერადაც ჰაკინენმა მოიგო (წლეულს უკვე მეცხრედ). დიდი უპირატესობითო, ვერ ვიტყვით, რაკი ირვინს მხოლოდ წამის მეათედით აჯობა, მაგრამ მთავარი ხომ ის იყო, რომ სარბოლოდ პირველი სასტარტო პოზიცია დაიბევა. ამას „ჰუნგარორინგზე" გადამწყვეტი თუ არა, უდიდესი მნიშვნელობა მაინც აქვს, რადგან იქაურ ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ტრასაზე გასწრება თითქმის შეუძლებელია.

ჰოდა, მიკამაც სტარტიდანვე აიშვა. თავიდანვე ფეთიანივით გავარდა წინ და ყოველ წრეზე თითქმის წამით ზრდიდა უპირატესობას მდევრებთან.

სალომ ის უბადრუკი მე-18 ადგილიც ვერ შეინარჩუნა და პირველი წრის მერე ბოლოდან მესამე, ანუ მე-20 პოზიციაზე აღმოჩნდა. კულჰარდმაც ორი ადგილით ქვევით ჩაიჩოჩა. ეულად დარჩენილი ირვინი კი თავისი მეორე პოზიციის გამაგრებითა და ჯანკარლო ფიზიკელას შეტევების მოგერიებით იყო დაკავებული.

რბოლის მესამედი ისე გაილია, საინტერესო არაფერი მომხდარა და არც ლიდერთა ექვსეული შეცვლილა: ჰაკინენის უპირატესობა ირვინთან 15 წამამდე გაიზარდა, მომდევნონი იყვნენ ფიზიკელა, ფრენცენი, კულჰარდი და ჰილი. ნამდვილი რბოლა და ბრძოლა ბოქსებში შესვლის მერე გაჩაღდა. ჰაკინენი 7,4 წამი შეყოვნდა, ირვინი — წამით მეტს. საუკეთესო დრო კი ფრენცენის მექანიკოსებისა იყო — 6,4 წამი. საწვავის ჩამატების შემდეგ კულჰარდი კუდში ჩაუდგა ირვინს და გასაქანს აღარ აძლევდა. მთელ რბოლაში მათი ეს სამეორეადგილო დუელი იყო ყველაზე მძაფრი და საინტერესო. ირლანდიელი კარგა ხანს მაგრად იდგა და ყოჩაღადაც იგერიებდა შოტლანდიელის იერიშებს. მაგრამ, ფინიშამდე 60-მდე კილომეტრით ადრე „ფერარის" მამებს მეორე შოკის დრო დაუდგათ — ირვინის ბოლიდმა წამით დაკარგა წონასწორობა, ოდნავ მოიქნია კუდი და ტრასიდან ბალახში გადახოხდა. მართალია, ედი მალევე დაბრუნდა ასფალტზე, მაგრამ წინ გაჭრილ კულჰარდს რაღას დაეწეოდა. ის კი არა, ერთი ორჯერ მთვრალივით მობარბაცე თავისი ბედაური რომ ვერ დაემორჩილებინა, იქნებ მესამე ადგილიც დაეკარგა და საერთო ჩათვლაში ლიდერობასაც გამომშვიდობებოდა.

ჰაკინენმა კი ბოლომდე დიდებულად იასპარეზა და ზედიზედ სამეტაპიანი ჩავარდნის შემდეგ ერთობ შთამბეჭდავად გაიმარჯვა. მიკას „დიდი სლემიც" თითქმის ჯიბეში ედო, მაგრამ მუხანათმა თანაგუნდელმა კულჰარდმა 69-ე წრეზე საუკეთესო დრო აჩვენა და ჩემპიონიც ოდენ „ჰეთ თრიკს" დასჯერდა. ფორმულაში „დიდი სლემად" ითვლება კვალიფიკაციის მოგება, თავად რბოლაში გამარჯვება, სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობა და უსწრაფესი წრე. ეს იოლი საქმე სულაც არ გახლავთ. მაგალითად, შარშანდელ ჩემპიონატში ორად-ორი „სლემი" შესრულდა და ორივე ჰაკინენის ანგარიშზე იყო.

ფინელმა მრბოლმა შვიდი უშედეგო ცდის შემდეგ, როგორც იქნა, გაიმარჯვა ბუდაპეშტში. ეს მის კარიერაში მე-13 დიდი პრიზია და ჰაკინენი ამ მაჩვენებლით მე-15 ადგილზე დადგა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ალბერტო ასკარის გვერდით.

თუმცა, უდროოდ დაღუპულმა იტალიელმა ამ შედეგს 32 რბოლაში მიაღწია, მიკას კი საამისოდ თითქმის ოთხჯერ მეტი — 123 დასჭირდა.

„ჰუნგარორინგმა" კი კიდევ ერთხელ დაადასტურა უნიათო ტრასის რეპუტაცია, სადაც 100-წუთიან რბოლაში საინტერესო თითქმის არაფერი ხდება და მორიგი კოზირი უბოძა მათ, ვინც უნგრეთის დიდი პრიზის გაუქმებას ითხოვს.

**ირაკლი ნიკოლაძე**

## რბოლის შედეგები

**უნგრეთის დიდი პრიზი**

15 აგვისტო ბუდაპეშტი

დისტანცია — 77 წრე — [illegible]0.042 კმ

1. ჰაკინენი (მაკლარენი) 1:46.23,536 (172,524 კმ/სთ) 10 ქულა
2. კულჰარდი (მაკლარენი) ჩამორჩა 9,706 წმ 6 ქულა
3. ირვინი (ფერარი) 27,228 4 ქულა
4. ფრენცენი (ჯორდანი) 31,815 3 ქულა
5. ბარიკელო (სტიუარტი) 43,808 2 ქულა
6. ჰილი (ჯორდანი) 55,721 1 ქულა
7. ვურცი (ბენეტონი) 61,012
8. ტრული (პროსტი) 1 წრით
9. რ. შუმახერი (უილიამსი) 1 წრით
10. პანი (პროსტი) 1 წრით
11. ჰერბერტი (სტიუარტი) 1 წრით
12. სალო (ფერარი) 2 წრით
13. ზონტა (BAR) 2 წრით
14. ბადოერი (მინარდი) 2 წრით
15. დე ლა როსა (ეროუსი) 2 წრით
16. ალეზი (ზაუბერი) 3 წრით
17. ჟენე (მინარდი) 3 წრით

**საუკეთესო წრე**

კულჰარდი (1.20,699)

**ლიდერი**

1-77 წრე ჰაკინენი

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ვილნევი ((BAR) გაიარა 60 წრე | |
| ფიზიკელა (ბენეტონი) | 52 |
| ტაკაგი (ეროუსი) | 26 |
| დინიცი (ზაუბერი) | 19 |
| ძანარდი (უილიამსი) | 10 |
| ტაკაგი (ეროუსი) | 15 |

## განლაგება სტარტზე

21 ჟენე 1.21,867 მინარდი
15 ტაკაგი 1.21,675 ეროუსი
14 დე ლა როსა 1.21,328 ეროუსი
20 ბადოერი 1.20,961 მინარდი
3 სალო 1.20,369 ფერარი
23 ზონტა 1.20,060 BAR
6 რ.შუმახერი 1.19,945 უილიამსი
5 ძანარდი 1.19,924 უილიამსი
18 პანი 1.19,841 პროსტი
19 ტრული 1.19,788 პროსტი
12 დინიცი 1.19,782 ზაუბერი
11 ალეზი 1.19,390 ზაუბერი
17 ჰერბერტი 1.19,389 სტიუარტი
22 ვილნევი 1.19,127 BAR
16 ბარიკელო 1.19,095 სტიუარტი
10 ვურცი 1.18,733 ბენეტონი
7 ჰილი 1.18,667 ჯორდანი
8 ფრენცენი 1.18,664 ჯორდანი
9 ფიზიკელა 1.18,515 ბენეტონი
2 კულჰარდი 1.18,384 მაკლარენი
4 ირვინი 1.18,263 ფერარი
1 ჰაკინენი 1.18,156 მაკლარენი

| FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 7 მარტი | ბრაზილია 11 აპრილი | სან მარინო 2 მაისი | მონაკო 16 მაისი | ესპანეთი 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | საფრანგეთი 27 ივნისი | დიდი ბრიტანეთი 11 ივლისი | ავსტრია 25 ივლისი | გერმანია 1 აგვისტო | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ევროპის დიდი პრიზი 26 სექტემბერი | მალაიზია 17 ოქტომბერი | იაპონია 31 ოქტომბერი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 **ირვინი** (ირლანდია) ფერარი | 10 | 2 | – | 6 | 3 | 4 | 1 | 6 | 10 | 10 | 4 | | | | | | 56 |
| 2 **ჰაკინენი** (ფინეთი) მაკლარენ მერსედესი | – | 10 | – | 4 | 10 | 10 | 6 | – | 4 | – | 10 | | | | | | 54 |
| 3 **კულჰარდი** (ბრიტანეთი) მაკლარენ მერსედესი | – | – | 6 | – | 6 | – | – | 10 | 6 | 2 | 6 | | | | | | 36 |
| 4 **ფრენცენი** (გერმანია) ჯორდან მუგენ ჰონდა | 6 | 4 | – | 3 | – | – | 10 | 3 | 3 | 4 | 3 | | | | | | 36 |
| 5 **მ.შუმახერი** (გერმანია) მაკლარენ მერსედესი | – | 6 | 10 | 10 | 4 | – | 2 | – | – | – | – | | | | | | 32 |
| 6 **რ.შუმახერი** (გერმანია) უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | – | – | 2 | 3 | 3 | 4 | – | 3 | – | | | | | | 22 |
| 7 **ფიზიკელა** (იტალია) ბენეტონ სუპერტეკი | 3 | – | 2 | 2 | – | 6 | – | – | – | – | – | | | | | | 13 |
| 8 **ბარიკელო** (ბრაზილია) სტიუარტ ფორდი | 2 | – | 4 | – | – | – | 4 | – | – | – | 2 | | | | | | 12 |
| 9 **სალო** (ფინეთი) ფერარი | – | – | – | – | – | – | – | – | – | 6 | – | | | | | | 6 |
| 10 **ჰილი** (ბრიტანეთი) ჯორდან მუგენ ჰონდა | – | – | 3 | – | – | – | – | 2 | – | – | 1 | | | | | | 6 |
| *ვურცი (ბენეტონი), დინიცი (ზაუბერი) — 3 ქულა; ჰერბერტი (სტიუარტი), პანი (პროსტი) — 2; დე ლა როსა (ეროუსი), ალეზი (ზაუბერი) და ტრული (პროსტი) — 1* | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 10 | 8 | 10 | 16 | 7 | 4 | 3 | 6 | 10 | 16 | 4 | | | | | | 94 |
| 2 მაკლარენ მერსედესი | – | 10 | 6 | 4 | 16 | 10 | 6 | 10 | 10 | 2 | 16 | | | | | | 90 |
| 3 ჯორდან-მუგენ-ჰონდა | 6 | 4 | 3 | 3 | – | – | 10 | 5 | 3 | 4 | 4 | | | | | | 42 |
| 4 უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | – | – | 2 | 3 | 3 | 4 | – | 3 | – | | | | | | 22 |
| 5 ბენეტონი | 3 | – | 2 | 3 | – | 6 | – | – | 2 | – | – | | | | | | 16 |
| *სტიუარტი — 14; ზაუბერი — 4; პროსტი — 3; ეროუსი — 1* | | | | | | | | | | | | | | | | | |

კრივი



მამუკა წიკლაურმა და კობა გოგოლაძემ ფრენკ მელოუნს (შუაში) „დინამოს“ დიღმის ბაზაზე უმასპინძლეს

# უპარტიო ფრენკ მელოუნი უბნის ერთგულია

ფრენკ მელოუნთან სასაუბროდ ამჯერად თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ბაზას ვეწვიეთ. არა, პროფესიონალ მოკრივეთა ცნობილ მენეჯერს ფეხბურთთან არაფერი ესაქმება. უბრალოდ, კობა გოგოლაძე „დინამოს“ დირექტორატის დახმარებით დიღომში ვარჯიშობს და კობას მენეჯერმა მამუკა წიკლაურმა ბატონი მელოუნი და ქართული მედიაც ამიტომაც მიგვიწვია დინამოელთა ნავსაყუდელში.

სწორედ მამუკა წიკლაური წარუძღვა პრესკონფერენციას და უპირველესად გიორგი კანდელაკის სიმამრს ვახტანგ ყანჩაველს გადაუხადა მადლობა ფრენკ მელოუნის ვარიანიდან თბილისში ჩამოყვანისთვის. მერე სიტყვა ბატონ მელოუნს დაუთმო და ინგლისელმა, ამასწინათ ვარიანში ჟურნალისტებმა იმდენი კითხვა დამაყარეთ, ერთი თარჯიმანი საქმეს ვერ აუვიდა, ახლა მეორე თარჯიმანიც ვიახლე და მიდით, ყურადღებით გისმენთო.

ცხადია, ჯერ ფრენკ მელოუნის თბილისში ჩამოსვლის მიზეზით დავინტერესდით, რაზეც თავაზიანმა ბრიტანელმა გვითხრა — მინდოდა მენახა, სად ვარჯიშობს კობა გოგოლაძე, მერე კიდევ, ვიცი, მამუკა წიკლაურმა საქართველოს დედაქალაქში პროფესიონალ მოკრივეთა კლუბი დაარსა, დარბაზის მოწყობა-გარემონტებას აპირებს და ეს დარბაზიც უნდა მოვინახულო. ერთიცაა, თბილისზე ბევრი მსმენია და ქალაქის დათვალიერებაც ძალიან მსურსო.

საუბარში მამუკა წიკლაური ჩაერთო: ლაპარაკია კლუბ „მამუკაზე“, რომელიც ჩემი და კობა გოგოლაძის თაოსნობით და საფეხბურთო კლუბ „დინამოსა“ და ფირმა „ირაოს“ დახმარებით დაფუძნდა. განზრახული გვაქვს ვერის ბაღში მდებარე კრივის დარბაზის იჯარით აღება. სწორედ ეს დარბაზი უნდა ვაჩვენოთ ბატონ მელოუნს. იქ ბევრი რამაა გასაკეთებელი, ინგლისელი სტუმარიც ისეთ რჩევებს მოგვცემს, მომავალში რომ სასიკეთოდ წაადგება საქმეს.

რჩევა თავისთავად კარგია, ფინანსურად თუ დაეხმარებით ქართველებსო, ვკითხეთ ფრენკ მელოუნს. ბრიტანელს გაეღიმა და... ჯერ დარბაზს ვნახავ და მაგაზე მერე ვილაპარაკოთო.

ვარიანიდან ჩამოსულს, ცხადია, გიორგი კანდელაკზეც დავეკითხეთ — გიორგი მისივე სახელობის კლუბ „ჩემპიონში“ ვარჯიშობს, 21 აგვისტოს ბათუმში გასამართი ბრძოლისთვის ემზადება, ჩინებულ ფორმაშია, ვფიქრობ, ამერიკელ კიმ ოუდემის დამარცხება არ გაუჭირდება. 18 აგვისტოს მისი ბულგარელი მწვრთნელი მიხაილ ტაკოვიც ჩამოვა და კანდელაკის ვარჯიშებსაც ის წაუძღვება.

მერე ბატონ მელოუნს ორიოდ კითხვით პირად ცხოვრებაზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა.

**— ვიცით, რომ ერთ დროს სამოყვარულო კრივში სცდიდით ძალას, პროფებში კარიერა რატომ აღარ გააგრძელეთ?**

— კარგად ვიცოდი ჩემი შესაძლებლობები და იმიტომ. ხომ მიყურებთ, დაბალი ვარ, პროფებში ჩემი სიმაღლის პატრონი ვერაფერს გავაწყობდი. მეც მენეჯერობა ვარჩიე.

**— ერთი ხანობა ლონდონის მერობა მოისურვეთ, ხომ არ გადაიფიქრეთ? ისიც გვითხარით, ლეიბორისტი ხართ თუ კონსერვატორი?**

— არ გადამიფიქრებია, აუცილებლად ვიყრი კენჭს. არც ლეიბორისტებს ვწყალობ და არც კონსერვატორებს. რომ იტყვიან, უპარტიო, თავისუფალი კაცი ვარ.

**— ბატონო მელოუნ, ფეხბურთელთა ბაზაზე ვიმყოფებით, თან ლონდონელ კაცს ფეხბურთზე რომ არ გკითხოთ, არ იქნება. რომელ გუნდს ქომაგობთ?**

— „მილუოლს“, მეორე დივიზიონში თამაშობს. ჩემი უბნის გუნდია.

ბოლოს, ბატონ მელოუნს პიჯაკის ისტორია კიდევ ერთხელ შევახსენეთ. გეხსომებათ, დაგვპირდა, კანდელაკი და გოგოლაძე ჩემპიონები რომ გახდებიან, ქართული დროშის ფერებით გაწყობილ პიჯაკს მოვისხამო. ჩვენ კი ვურჩიეთ, თუ ეგრეა, ბარემ ქართული ეროვნული სამოსი — ჩოხა მოისხით ქამარ-ხანჯლით დამშვენებულიო. კობამ და გიორგიმ იმედები გამიმართლონ და მაგაზეც ყაბულსა ვარო — სიცილით გვითხრა ფრენკ მელოუნმა და დაგვემშვიდობა.

სოსო ძოტორეიშვილი

ჭადრაკი

# კაზინოს პრინციპი?

ლას ვეგასში სენსაციათა შადრევანმა მერვედფინალებიდან ამოხეთქა და სადღეისოდ კულმინაციასაც მიაღწია. ჩვენგან უკვე არაერთგზის ნახსენებმა და ნაქებმა რუმინელმა ლივიუდიტერ ნისიპეანუმ მეოთხედფინალში ივანჩუკის კვალს ახლა შიროვიც გაუყენა. აქამდე არცთუ სახელგავარდნილმა რუსმა ხალიფმანმა კამსკისა და გელფანდის შემდეგ იუდით პოლგარიც დაამარცხა. ჩემპიონატს გამოეთიშა თვით პირველ ნომრად განთესილი კრამნიკი, რომელიც თუმც თითქმის მასსავით ქებულმა ადამსმა გაისტუმრა შინ, მაგრამ ვოვას გამარჯვებას უფრო ელოდნენ. ნახევარფინალების პირველ პარტიებში კიდევ ერთი განსაცვიფრებელი ამბავი მოხდა: სომეხი აკოფიანსგან ადამსის ძლევა. ამ და სხვა სიახლეებზე ვრცლად ხვალინდელ „სარბიელში“ გიამბობთ.

# სიუ ჟუნს სამშობლოს ჰავა მოუხდა

ჩრდილოჩინურ შენიანში განახლდა ქალთა მსოფლიოს პირველობის ფინალური მატჩი ჩინელ სიუ ჟუნსა და რუს ალისა გალიამოვას შორის. ყაზანის ნახევარი თანაბრობით დასრულდა — 4:4, მე-9 პარტიაში კი, შინაურ კედლებში სიუ ჟუნმა გაიმარჯვა და მატჩშიც დაწინაურდა 5:4.

ველორბოლა

# სელესტინო ქარისა და ფავორიტების წინააღმდეგ

გერმანიის ჩრდილოეთში, ჰამბურგთან გამართული მსოფლიოს თასის მეშვიდე ეტაპი ძლიერ ქარში ჩატარდა, რამაც შეჯიბრებას თავისი დაღი დაასვა. ყველასთვის მოულოდნელად, რბოლა 25 წლის იტალიელმა მარკო სელესტინომ (პოლტი) მოიგო. ეს ჯერჯერობით მისი ყველაზე დიდი გამარჯვებაა. მან საბოლოო სპრინტი ფინიშამდე დაახლოებით ერთი კილომეტრით ადრე წამოიწყო და მოწინავე ჯგუფის დანარჩენი შვიდი წევრი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.



მარკო სელესტინო

სელესტინო გამოდგა ის კაცი, 251-კილომეტრიანი გზის ბოლოს ყველაზე მეტი ძალა რომ შერჩა. ძლიერმა ქარმა მრბოლებს დიდძალი ენერგია წაართვა და პელოტონის სიჩქარეც ძალიან დაავდო. ფრანგი კრისტოფ მორო (ფესტინა) შუა გზაში წაიქცა კიდეც და შეჯიბრს გამოეთიშა. მასავით ვერ დაამთავრეს რბოლა გერმანელებმა იან შაფრატმა და შტეფან ვესერმანმა (ორივე ტელეკომი), ოღონდ ისინი კი არ წაქცეულან, არამედ ძალა გამოელიათ. 1997 წლის „ტურ დე ფრანსის“ მომგებმა იან ულრიხმა (გერმანია, ტელეკომი) ფინიშის ხაზი სელესტინოსთან შედარებით 3 წუთითა და 5 წამით გვიან გადაკვეთა. რბოლის დაწყებამდე მან განაცხადა, რომ წარმატებაზე ვერც კი იფიქრებდა და ყოველნაირად ეცდებოდა, თავისი თანაგუნდელისა და თვისტომის, ერიკ ზაბელის დახმარებას. თუმცა ამ უკანასკნელმაც ვერ შეძლო გამარჯვებისთვის ბრძოლა, მხოლოდ პელოტონის სპრინტი მოიგო და მეცხრე ადგილს დასჯერდა.

რბოლა საათნახევრის დაწყებული იყო, თითქმის უცნობმა დანიელმა მარკ ტუნე მადსენმა იერიში რომ განახორციელა. მან კარგა ხანს იქროლა მარტომ და 10 წუთითა და 44 წამითაც ჩამოიტოვა დანარჩენები, მაგრამ უპირატესობის ბოლომდე შენარჩუნება მაინც ვერ მოახერხა.

ბოლო 50 კილომეტრზე თითქოს ჯგუფური სპრინტი გარდაუვალი ჩანდა და „ტელეკომიც“ ზაბელს გამარჯვებას უმზადებდა, მაგრამ ფინიშამდე 15 კილომეტრით ადრე 8 მრბოლის წამოწყებული იერიშის გაუვნებლება გერმანული გუნდის წევრებმა ვერ შეძლეს.

საერთო ჩათვლის სათავეში კი არანაირი ცვლილება არ მომხდარა.

**მსოფლიოს თასის მეშვიდე ეტაპი. ჰამბურგის კლასიკური რბოლა, 251 კმ**

1. მარკო სელესტინო (იტალია) — 6სთ 20წთ 39წმ
2. რაფაელ შვედა (გერმანია) — +3წმ
3. რომანს ვაინტეინსი (ლატვია)
4. იოჰან მუსეუვი (ბელგია)
5. ჯორჯ ჰინკეპი (აშშ) — ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ანდრეი ჩმილი (ბელგია) — 217 ქულა
2. ფრანკ ვანდერბრუკი (ბელგია) — 199
3. მიქაელ ბოგერდი (ჰოლანდია) — 190
4. პეტერ ვან პეტეგემი (ბელგია) — 145
5. იოჰან მუსეუვი — 124

# მთას დაუბრუნდა მთიელი

პარასკევს ესპანეთში „გალიციის ტური“ დასრულდა. ბოლო, მეხუთე ეტაპი 144,2 კილომეტრი იყო. მრბოლები კანგას დო მორასოდან მონტე ალოიას უღელტეხილამდე უნდა მისულიყვნენ. ეტაპზე ყველას ესპანელმა მარკოს სერანომ (ონსე) აჯობა და საბოლოო ჩათვლაშიც სწორედ ის გავიდა პირველ ადგილზე.

სერანოსთვის ეს პირველი დიდი წარმატება იყო მას შემდეგ, რაც მან პროფესიად პედლების ტრიალი ირჩია. ფინიშის ხაზი გამარჯვებულმა მარტოობაში თავისი გუნდის ლიდერ აბრაამ ოლანოზე 25 წამით ადრე გადაკვეთა.

თავიდან პელოტონის ჩამოტოვება ვერავინ მოახერხა, არადა, ძალიან ბევრმა სპორტსმენმა წამოიწყო იერიში დისტანციის სხვადასხვა მონაკვეთზე. ასე რომ, მრბოლების ძირითადი ჯგუფი პირველი კატეგორიის სიძნელის უღელტეხილ მონტე ალოიას ერთად მიადგა. აღმართი 9,5 კილომეტრი სიგრძისა იყო და მისი ავლა სულაც არ იყო იოლი.

სერანომ, რომელიც გალიციაშია დაბადებული და კარგად იცნობს ამ მთებს, უმალ სცადა შეტევა თავისი თანამემამულის, რობერტო ერასის (კელმე) კომპანიაში. მოწინავე დუეტმა დაახლოებით ექვსი კილომეტრი ერთად განვლო, მაგრამ მერე ერასს ველოსიპედმა უმტყუნა და კოლეგის მიტოვებაც მოუხდა. გალიციელმა დარჩენილი მანძილი კარგად გაიარა და არავის მისცა თავისთან მიახლოების საშუალება.

პირველიდან ბოლო ეტაპამდე საერთო ჩათვლის ლიდერმა პაოლო ბეტინიმ (მაპეი), რომელმაც „ონსეს“ წევრების შეთავაზებულ რიტმს ვერ გაუძლო, გამარჯვებულთან წუთზე მეტი დათმო და საბოლოო ჩათვლაში მეექვსე ადგილამდე დაქვეითდა.

გაგი გურული

მძლეოსნობა

# ეს კაცი ალალია თუ სულელი?

ოთხშაბათს შვეიცარიულ ციურიხში რომ „ოქროს ლიგის“ მეხუთე ტურნირი გაიმართა და მილიონი დოლარის მაძიებლები (ვინც შვიდივე ტურნირში გაიმარჯვებს) კვლავინდებურად ოთხნი დარჩნენ, „სარბიელის“ წინა ნომერში მოგახსენეთ. ამერიკელი მარიონ ჯონსი (200 მ), რუმინელი გაბრიელა საბო (3000 მ), დანიელი უილსონ კიპკეტერი (800 მ) და კენიელი ბერნარ ბარმასაი (3000 მ წინაღობებით) სწორედ ის ოთხეულია, რომელიც, სავსებით შესაძლებელია, მომავალ ტურნირამდე სამეულად იქცეს.

რატომ? იმიტომ, ბატონებო, რომ სპორტი სუფთა საქმეა (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად) და თუ რაიმე თაღლითობა ქვეყანას მოედება, დიდ-დიდი ჩინოსნები ყოველთვის ცდილობენ დამნაშავის საკადრისად დასჯას და უმეტეს შემთხვევაში აღწევენ კიდეც მიზანს. ჰოდა, როგორ გგონიათ, რას მოიმოქმედებს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (IAAF), რომელმაც შეიტყო, რომ ბარმასაის მისმა თანამემამულე კრისტოფერ კოსგეიმ გამარჯვება დაუთმო, რათა მას მილიონი დოლარის თუ არა, მისი ნაწილის დაუფლების შანსი მაინც არ დაეკარგა (საბოლოოდ შვიდივე ტურნირის გამარჯვებულები საპრიზო ფონდს ტოლად გაიყოფენ).

„ამან შეიძლება კენიელის დისკვალიფიკაცია გამოიწვიოს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გამოძიებას ჩავატარებთ“ — განაცხადა IAAF-ის პრესცენტრის ხელმძღვანელმა.

იცით, როგორ გამჟღავნდა ეს „დათმობა?“ ხომ არ გგონიათ, მავანმა ჟურნალისტმა იწვალა და სენსაციური მასალა მოიპოვა? თავად ბარმასაიმ, დიახ, თავად მან წამოროშა ფინიშის შემდეგ: „არ მეგონა, თუ კრისტოფერი ზუსტად ჩემს უკან იყო, სანამ სტადიონის ეკრანზე არ მოვკარი თვალი. მას კარგად ვიცნობ, ფინიშისას ძალიან ძლიერია. სცადა კიდეც ჩემი გასწრება, მაგრამ ვთხოვე, გამარჯვება ჩემთვის დაეთმო. ამიტომაც შეანელა სირბილი. კრისს ამ საღამოს მოგება ნამდვილად შეეძლო, მაგრამ რადგან ის ჩემი მეგობარია და რადგან ერთად ვცხოვრობთ... ჯეკპოტი ხომ ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვისაა“.

ეჰ, კაცი, რომ თავს დამართებს... გაეჩერებინა ენა და ჯეკპოტის მოგებაც ასე სათუო აღარ ექნებოდა.

გაიოზ თალაკვაძე




REUTERS

ბერნარდ ბარმასაი და კრისტოფერ კოსგეი

## გერმანია.

II ბუნდესლიგა. I ტური

**კარლსრუე 1:3 ბოხუმი**

## დანია

IV ტური

**აგფ 1:0 კოპენჰაგენი**

### ამხანაგური მატჩი

**საბერძნეთი 3:2 მექსიკა**

1:0 ნინიადისი (21), 1:1 მარკესი (48), 1:2 როხასი (50), 2:2 მავროგენიდისი (60), 3:2 გეორგიატოსი (70)

## კასპაროვი — მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7 კd4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5



## რავანელიდან გიუსტჰალტერამდე

ფაბრიციო რავანელი, შენ რა გითხარი! რა მოიგონე ეს მაისურას აწევა, თავზე უკუღმა ჩამოცმა და ისე სირბილი. ვითომ გოლის სხვანაირად ზეიმი არ შეიძლებოდა?

შენს თავს ვინ ჩივის, მაგიტომ კი არ გეუბნები, რაც გინდა, ის გიქნია. მე სხვებს ვდარდობ, შენ რომ გადარიე, იმათ.

არა, ბიჭო, რა მოგივიდა, რით ვერ მიგახვედრე, ფოტოს მაინც დახედე, რა შუაშია პიროვნების თავისუფლება. ვიცი, ჩემო კარგო, შენი მოგონებული ზეიმი ბიზნესად რომ აქციეს და ქვედა მაისურაზე ათას რაღაცას იწერენ: ბიზნესი კი არა, პოლიტიკაც კია ჩარეული. ხომ გახსოვს, რა დღეში იყვნენ იუგოსლაველი ფეხბურთელები, აიწევდნენ მაისურას და ქვეშ ეწერა: „ნატო, შეწყვიტე ჩვენი ქვეყნის დაბომბვა", მაგრამ...

კიდევ შენსას მიერეკები? ეგ იმის ბრალია, ადრე რომ გაჭალარავდი. ქალებზე გეუბნები. აგერ, ამერიკელი ბრენდი ჩესტინი, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ჩინელებს გადამწყვეტი გოლი რომ გაუტანა... შენ რომ არ უყურე, სხვებმა ნახეს... ამანაც შენსავით ქნა და ლიფჩიკი გამოაჩინა.

რას ილიმები. რა თქვა, იცი? „ნაიკის" ლიფჩიკების რეკლამას ვაკეთებო. თუ არ გჯერა და, გიმეორებ, ამ ფოტოს დახედე, ერთი ხნის მერეა გადაღებული.




REUTERS სან ფორდიდან



REUTERS ფინიქსიდან

## მათთვის ვისაც...

მათთვის, ვისაც ბეისბოლი არ უყვარს, ის, რაც არიზონას შტატში, ქალაქ ფინიქსში ხდება, სისულელეა. მათთვის, ვისაც ელვისი უყვარს და ბეისბოლი არა, იგივეა. აი, ვისაც ბეისბოლი უყვარს და ელვისი არა, არა უშავს, ხოლო ორივეს მოყვარულისთვის დიდებულია.

მოკლედ, ეს ელვისის ორეულები თუ მიმბაძველები მისი გარდაცვალების დღეს ცოტა ხანს ასე იქცევდნენ მაყურებელს, მერე კი მოედანზე „არიზონა დაიმონდბექზი" და „მილუოკი ბრიუერზი" გამოვიდნენ.

## ქება და დიდება

მშვიდობა შენს ცას, იორდანიის დიდო სამეფო, სადაც მეცხრე პანარაბული თამაშები დაიწყო. თვალ-მარგალიტი და ოქრო-ვერცხლი შენ, ამანო, ალ ჰუსეინის სახელობის სპორტ-ქალაქი რომ აგიგია და გახსნის ცერემონიალი მოგიწყვია. და ღრუბელთ სარდლობა შენ, იორდანელო უცნობო პარაშუტისტო, ამ ცერემონიალზე სამახსოვროდ რომ გადმომხტარხარ ქექა-ქუხილის საემიროებიდან.



REUTERS ამანიდან

## ფრაგმენტი წიგნიდან

თურმე — წერს ამანდა მიკელსონი მოგონებებში — ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების პირველ დღეებში დედას, ემის, სამშობიაროდან მედინაში გოლფის მოედანზე წავუყვანივარ, სადაც მამაჩემს, ფილს, PGA-ს ჩემპიონატის მეორე რაუნდი დაუძლევია. მამას ხელში ავუყვანივარ და მილოცვისთვის ჩემთვის მადლობა უთქვამს...



## გულისგასახეთქი

ერთსა კაცს, სინგაპურელსა, ედი აბდულ კადირსა მალაიზიელი ზაბიდი შარიფის საშინელი დარტყმა აუღია ფრენ-ფეხბურთის ნახევარფინალში სამხრეთ აზიის მე-20 თამაშების დროს, ბრუნეიში. ჰოდა, სინგაპურსაც 15:3, 15:3 მოუგია.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli